


მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА



სამხატვროთის ძირი ქ რ თ ნ ი კ ა

გამოცემა მესამე

1949

БУДВАРМО 27 ВЫПУСК

საქართველოს სახ. მუნიციპალურ აკადემიუმ გამოცემაში
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი-1949-მაისი

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

სამეცნიერო გარემონტის აუს ქრონიკა

ჩამ-კლარჯეთის განგრევითი გასახვება

გამოცემა მესამე

რ P-10527

თექსტი გამოსცა ვიცელი ზესავლით, ზენიცენით და ორი გენერალობისაი
მასულით საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემიის ნამდვილება ზოგრაფი

ე. თაყაიშვილმა



1949

ნოემბრი 27 ВЫПУСК



საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემიის გამოცემლება
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1949 — ТБИЛИСИ

შემჩერული შეცდომების გასწორება

გვერდი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
6 (მე-10 პწყარი ქვემოდან)	გარდანტით არის წარმოდგენილი	გარდანტით არის წარმო- დგენილი, მაგრამ ეს უკვე ყოფილი ჭალაშვილის ნუს- ნაში, საიდანაც მაჩაბელს ის გადმოუწერია.
8 (უკანასკნელი პწყარი ქვე- მოდან)	ჭალაშვილს	მაჩაბელს
63 (§ 39)	867	857
64 (§ 40)	869	. 859
80 (მე-7 შენიშ- ვნაში, ორ ად- გილას)	867	857

NB! მე-10 შენიშვნაში (გვ. 81) მოქცეული ფრაზა: „მარკვარ-
ტის ტაბულაზე აშორის ქალი გამოცხადებულია კლარჯეთის შტოის
წარმომადგენლის სუმბატ I დიდის ცოლად, მაგრამ ეს შეცდომაა“
ეკუთვნის ამავე გვერდზე მოყვანილს მე-11 შენიშვნას.

ამას გარდა, ორივე გენერალოგიურ ტაბულაზე აშორ II ქვემდას
გარდაცვალება (კლარჯეთის შტოისა) აღნიშნულია 867 წლით; უნდა
იყოს 857.

აშორ III გარდაცვალება (ტარს შტოისა) აღნიშნულია 869 წლით
უნდა იყოს 859.

ს ა რ ჩ ე ბ ი

85.

I.	შესავალი	3
1.	ცნობები იმ გამოცემათა და ხელნაწერთა შესახებ, რომლებშიაც ეს ქრონიკა მოიპოვება	3
2.	ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ქრონიკის ავტორი	11
3.	სუმბატის ქრონიკის წყაროები	13
4.	ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგია სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობების მიხედვით	16
5.	ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნო- ბები ქართველ ბაგრატიონთა შესახებ	21
6.	ჯუანშერის ცნობა პირველი ბაგრატიონის ქართლში მოსელის შესახებ	35
7.	ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის ლეგენდები სომხურ წყაროებ- ში და ამ საკითხის გაშუქება თანამედროვე შევლევართა მიერ . .	38
8.	საზოგადო შენიშვნები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ .	42
II.	სუმბატ დავითის ძის ქრონიკის სათაური	55
III.	ქრონიკის ტექსტი	57
IV.	ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიის II ტაბულის შენი- შენები	74
V.	პირთა საძიებელი	91
	გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	93
VI.	ტაბულა I. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგია სუმბატ და- ვითის ძის ქრონიკის მიხედვით.	
VII.	ტაბულა II. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგია ყველა არსე- ბული ცნობების მიხედვით.	

II. ვ ე ს ა ვ ა ლ ი

1. ცნობები იმ გამოცემათა და ხელნაწერთა შესახებ, რომლებშიც ეს ქრონიკა მოიპოვება

სუმბატ დავითის ძის ქრონიკა პირველად ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეული ხელნაწერის მიხედვით გამოვეცით 1890 წელს, წიგნში, რომელსაც ეწოდება „სამი ისტორიული ქრონიკა“ (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა) ¹.

მეორე გამოცემა მოთავსებულია ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში, რომელიც ჩვენივე რედაქტორობითაა გამოცემული, იმრიგად, როგორც ეს ხელნაწერშია წარმოდგენილი ². ჩვენ ღრმას სუმბატის ქრონიკა ცნობილი იყო როგორც ცალკე თავი მხოლოდ მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ვარიანტში. ორივე ჩვენი გამოცემა მასზე იყო დამყარებული. მაგრამ რაკი აღმოჩნდა, რომ ვახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა“ კომისიას სუმბატის ისტორიის ტექსტი ნაწილ-ნაწილ და სხვადასხვა აღგილას, მაგრამ თითქმის მთლიანად, შეეტანა მის მიერ შესწორებულ ტექსტში ქართლის ცხოვრებისა, ჩვენს პირველ გამოცემაში, სქოლიოებში აღნიშნეთ შესწორებული ქართლის ცხოვრების ვარიანტები.

მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ჩვენ. მიერ გამოცემის შემდეგ აღმოჩნდა ქართლის ცხოვრების სამიოდე ხელნაწერი, რომელიც მარიამისეულ ხელნაწერში მოქცეულ მატიანეთა ნაწილებს შეიცავენ. ამით ძველი ქართლის ცხოვრების ტექსტები თვალსაჩინოდ გამრავლდა.

¹ ამ ქრონიკების რუსული თარგმანი, ჩვენ მიერვე შესრულებული, დაგენტდეთ 1900 წელს (იხ. „Источники грузинских летописей. Три хроники“, კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, ვып. XXVIII. იმავე წელს გამოვიდა ცალკე ამონაბეჭდი).

² იხ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა № 79: „ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით“. ტფილისი, 1906 წ. გვ. 336—361. მარიამ დედოფლის ვარიანტი გადაწერილია 1639—1646 წლებში. მისი დეტალური აღწერილობა იხ. ჩვენს წიგნში: „Описание рукописей Общества Грамотности“, том II, стр. 27—47 და შემდეგ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ი. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ანა-დედოფლისეული ნუსხა ქართლის ცხოვრებისა, რომელიც, აღმომჩენის აზრით, 1479—1495 წლებში უნდა იყოს გადაწერილი (იხ. „ქართლის ცხოვრება, ანა-დედოფლის ნუსხა“, ს. ყაუხებიშვილის რედაქტორობით გამოცემული). თბი-ლისი, 1942, გვ. XV), ხოლო დედანი, რომლიდანაც ხელნაწერია გაღმოწე-რილი, 1222—1223 წლებში უნდა იყოს დაწერილი (იქვე, გვ. XVI). ხელნაწერს თავში აკლია 60 გვერდი. ს. ყაუხებიშვილის აზრით, შესაძლოა, რომ ამათგან 10—15 გვერდი, მსგავსად მარიამისეული და მაჩაბლისეული ხელნაწერებისა, აპოკრიფულ მოთხრობას სკეროდა, ხოლო დანარჩენი ლეონტი მროველის ისტორიის დასაწყისს. ლეონტის თხზულების გაგრძელება ბოლომდის არის დაცული. მას მოსდევს გახტანგ გორგასლის ისტორია და არჩილ II წამება, რომელთა ავტორად ჩვეულებისამებრ გამოცხადებულია ლეონტი მროველი; შემდეგ ე. წ. „მატიანე ქართლისაც“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, ე. ი. დავით ალმაშენებლისა; დასასრულ მოდის ლაშა გიორგის ღრიანდელი მემატიანის თხზულება, რომელიც შეიცავს სულ მოკლე ისტორიას დემეტრე (I) მეფისა, გიორგი (II) მეფისა, თამარ დედოფლისა და მისი ძის ლაშა გიორ-გისა (იღ. გამოცემის გვერდები 237—245).

ხელნაწერს ბოლოს დართული აქვს ჯერ ათსამეტ სირიელ მამათა სია-და შემდეგ „ცხოვრება წმიდისა მამისა ოთანე ზედაზნელისა“. ტექსტის ბო-ლო დაცული არ არის. ს. ყაუხებიშვილი ფიქრობს, რომ აქ სხვა ასურელ მა-მათა ცხოვრებანიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ შენახულა.

ამრიგად, ამ, მე-15 საუკუნის დამლევის ქართლის ცხოვრებაში არ არის შეტანილი სუმბატ დავითის ძის ქრონიკა და სრული ისტორიული ტექს-ტები დავით აღმაშენებლის მომდევნო მეფეებისა მე-15 საუკუნემდის, რო-მელნიც მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში მოიპოვება. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი თხზულებანი მაშინ არ არსებობდანენ. ისინი ყოფილან, მაგრამ ქართლის ცხოვრების კრებულში ჯერ კიდევ არ შეუტა-ნიათ. რაც შეეხება თვით დაცული ტექსტების სისტორეს და მთლიანობას, სამწუხაროდ, ისინი არა ნაკლებ გარყვნილად და ნაკლოვანად არის წარმოდ-გენილი, ვიდრე მარიამისეულ ვარიანტში. მაგრამ ბევრია სიტყვები, ფრაზები და ადგილები, რომელნიც აქ უკეთ არიან დაცული, ვიდრე მარიამისეულში. თავის მხრივ იგივე ითქმის მარიამისეული ხელნაწერის შესახებაც, რომლის ტექსტი ზოგ ადგილას უფრო სწორია და ჯეროვანი სახით ჩვენამდე მოლ-წეული. ერთი სიტყვით, ამ ორი ხელნაწერის ტექსტები ერთი მეორეს აკსე-ბენ და ასწორებენ.

მეორე და მესამე ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ორივე რუსეთშია გადაწერილი—პირველი ერაჯ ჭალაშვილის მიერ 1731 წელს, მეორე გიორგი ამილლამბარის შვილის მაჩაბლის მიერ 1736 წელს. ერთიცა და მეორეც ნაწი-ლობრივ შეიცავს ძველ ტექსტებს, ნაწილობრივ ვახტანგ მეფის სწავლულ კაც-თა შეოგენილს „ახალ ქართლის ცხოვრებას“ და მათ შესწორებულ ტექსტებს „ძველი ქართლის ცხოვრების“ დასაწყისისა.

ერაჯ ჭალაშვილის ხელის ეცული ხელნაწერი (ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის № Q-207) შემთხვევით აღმოჩნდა „კავკასიის მუზეუმთან“ არსებული საჯარო ბიბლიოთეკის წიგნებს შორის და პირველად გაარჩია და აღწერა იყ. ჯავახიშვილმა¹.

ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. ძველი ნაწილი XVI—XVII საუკუნეებშია გადაწერილი. მეორე ნაწილს წარმოადგენს გახტანგის რედაქტირის დასაწყისი, რომელიც შეიცავს დაკარგული ძველი ხუთი რვეულის შინაარსს და ბოლოს დართულს „ახალ ქართლის ცხოვრებას“. დანართი ტექსტები, როგორც აღნიშნეთ, 1731 წელს არის დაწერილი.

ძველი ნაწილი შეიცავს: 1) ლეონტი მროველის ისტორიას, 2) ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას, 3) არჩილ II მეფის წამებას, 4) მატიანეს ქართლისას, 5) დავით აღმაშენებლის ცხოვრებას, 6) დემეტრე I და დავით III ისტორიის ისეთსავე ტექსტს, როგორიც ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებაშია და 7) თამარ მეფის ისტორიას (ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებას, რომელიც აქ დამთავრებული არ არის, შუაზე წყდება, ვინაიდან ხელნაწერი ნაკლოვანია).

გიორგი მაჩაბლის ეცული ხელნაწერი, რომელიც 1923 წელს ლენინგრადიდან და მოსკოვიდან თბილისში ჩამოტანილ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა, რუმიანცევის მუზეუმიდან უნდა იყოს, ვინაიდან მას ამ მუზეუმის ბეჭედი აზის, მაგრამ თავდაპირველად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში, ითანხმდებოდა მატონიშვილის ეცულ კოლექციაში ყოფილა. მაჩაბლის ეცული ხელნაწერი (საქ. მუზეუმის № 87—2135) აღწერილი აქვს სიმონ ყაუხეჩიშვილს (იხ. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლის ნუსხა. თბილისი, 1942. გვ. XXVII—XXXIII).

ს. ყაუხეჩიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერზე პირველად უმუშავნიათ ნ. ბერძენიშვილს და ილია აბულაძეს, ხოლო ბოლო დროს მას წერილი უძლვნა კ. გრიგოლიაშ (იხ. „ქართლის ცხოვრების მაჩაბლის ეცული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“. საქართ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 7, 1947 წ. გვ. 487—494).

ხელნაწერის ანდერძიდან და მინაწერებიდან შემდეგი ირკვევა: გიორგი მაჩაბლის ეს ნუსხა 1736 წელს დაუწერია ქ. მოსკოვში. 1761 წელს სექტემბრის 24 ხელნაწერი უნახავს საქართველოდან მოსკოვში ჩასულს შილკნელ მიტროპოლიტს ქრისტეფორეს, ლეონ მუსრან ბატონის ძეს, რომელიც მაშინ 47 წლისა ყოფილა. შემდეგი მინაწერი გვამცნევს, რომ 1774 წელს ხელნაწერი რუსეთიდან საქართველოში გამოუგზავნია რუსთველს (ე. ი. რუსთავის ეპისკოპოზეს). ხელნაწერის მიმღები, როგორც ჩანს, ყოფილა მდივანი ოთარი, ხოლო გამომგზავნელი რუსთველი კი მისი ბიძა. ერთი მინაწერის მიხედვით ოთარი 1777 წელს გარდაცვლილა. სხვა მინაწერებიდან ირკვევა, რომ ოთარის გარდაცვალების შემდეგ მდივნობა დავითს მიუღია. ბოლო დროს, მე-19

¹ იხ. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, III, 1923, გვ. 186—216, და „აზალი ჭალის ცხოვრება“, ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით. თბილისი, 1940, გვ. XVII და შემდეგნი.

საუკუნის დასაწყისში, ხელნაწერი, ეტყობა, იოანე ბატონიშვილს რუსეთში წაულია და ამრიგად მის ხელნაწერთა კოლექციაში მოქცეულა.

მაჩაბლისეული ვარიანტის დედონების გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს გადამწერის ანდერძს და კიდევ ერთ მინაწერს (თამარ მეფის ისტორიაში). ანდერძი მოთავსებულია უამთააღმწერელის ისტორიის ტექსტის ბოლოს, იმ ადგილას და იმ სიტყვების შემდეგ, სადაც ეს ისტორია შეწყეტილია მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში (იხ. მარიამის ვარიანტი, გვ. 785). იგი ასე იკითხება: „მე ფრდ ცოდვილ გიორგი მაჩაბელმან დავწერე წმიდა ესე ქართლის ცხოვრება. დიალ ხველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი. ამის მეტი არ ეწერა. მოსკოვის ქალაქს დაიწერა ათას შვიდას ოცდა თექვსმეტს 1736, დასაბამითგან შვიდი ათას ორას ორმოცდა ოთხს 7244“ (იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. XXVIII; ქ. გრიგოლიას დასახ. წერილი, გვ. 488; ხელნაწერის გვ. 655).

თამარის ისტორიის მინაწერი წითლურია, აშიაზეა მოთავსებული (გვ. 400) და იკითხება ასე:

„ორი: ქართლის: ცხოვრება: მქონდა
ამ ერთში: თამარ: მეფის: ამბავი: სხვა: რიგად
ეწერა: ამ: მეორის: სხვა: რიგად: ორივე: დავწე
რე: ამ რვეულში: ამიტომ: გამოიცვალა: სიტყვა: ორ[ივე]სი“¹.

ამ ორ ხელნაწერთაგან ერთი ყოფილა „დიალ ძველი, არჩილ მეფის ნაქონი“, რომელშიც, როგორც ირკვევა, მოთავსებული ყოფილა ყველა ის ტექსტი, რომელიც გვაქვს მარიამისეულ ვარიანტში, ხოლო მეორე ყოფილა ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შესწორებული და „ასალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტით შევსებული ხელნაწერი. ამიტომაც მაჩაბლისეულ ვარიანტს წინ მიუძღვის ვახტანგ მეფის წინასიტყვაობა.

იბალება საკითხი: რომელი ვახტანგისეული რედაქტირით არის წარმოდგენილი დასაწყისი მაჩაბლისეულ ხელნაწერში?

ამის შესახებ ეხლა გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასიტყვაობა და ტექსტის დასაწყისი მაჩაბლისეულ ხელნაწერში რუმიანცევისეული ვარიანტით არის წარმოდგენილი. ამის დასამტკიცებლად უნდა მოვიყვანოთ ცნობები რუმიანცევისეული ვარიანტის შესახებ.

რუმიანცევისეულ ქართლის ცხოვრებას ვრცელი ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენ მოკლედ აღნიშნავთ და ისიც მხოლოდ იმას, რაც უკვე გამორკვეულად მიგვაჩნია.

როგორც პირველ გვერდზე მინაწერიდან ჩანს, ეს ხელნაწერი „ნაშოვნი ყოფილა ანა დედოფლის ლვაწლდებით“.

ანა დედოფლალი არის გიორგი არაგვის ერისთვის ქალი, მეულლე ვახტანგ VII ძის ბაქარ მეფისა (+1750).

¹ ნიშნებს დედონისას ვიცავთ.

ამ მინაწერს მოსდევს თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი:

„ეს ქართლის ცხოვრება საქართველოს მეფის ძემ თეიმურაზ ვიყიდე სანქტეპერბურგს წელსა 1817, ივნისის 11.“.

ქვემოთ თეიმურაზისავე ხელით სწერია:

„საქართველოს მეფისძის თეიმურაზის არის.

წელსა 1817, ივნისის 15.

შლიგი ნ.-მე იხნისა გან ნასყიდი არის სანქტეპერბურგს“.

(იხ. ჩემი ობიექტი იხ. გვ. 1—7).

ხელნაწერი თეიმურაზ ბატონიშვილს 1821 წ. უძლვნია მაშინდელი კანცულერის გრაფ ნიკოლოზ პეტრეს-ძე რუმინაცევისათვის. მაგრამ ამ ძღვენს თავში ერთი პირველი ძველი რვეული აქლია და მისი ტექსტი დართული აქვს სხვა ქალალდზე, სხვა ხელით დაწერილი (იხ. ხახანოვ. ობიექტი რუმინელი რეპისეი რუმინელი მუზეუმი, გვ. 12).

ამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ პირველი ძველი რვეული, რომელიც ამ ხელნაწერს აქლია და რომელიც შეიცავს 16 გვერდს, დაკარგული კი არაა, არამედ პროფესორ დავით ჩუბინაშვილის უძლვნია ბიბლიოთეკაში ყოფილა დაცული, დ. ჩუბინაშვილის ქართული ხელნაწერები მისმა შვილმა წერაკითხვის საზოგადოებას შემოსწორა და ხსენებული რვეული ჩვენ აღვწერეთ. ეს ის რვეულია, რომლის ცნობები და თეიმურაზის მინაწერები ჩვენ ზემოთ მოვიყეანეთ. რუმინაცევის უძლვნია ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა 1923 წ. მიიღო. კ. გრიგორიამ ის შეადარა დ. ჩუბინაშვილის უძლვნია ბიბლიოთეკაში დაცულსა და ჩვენს მიერ აღწერილ რვეულს და მართებულად შენიშნა, რომ ეს უკანასკნელი ეკუთვნის რუმინაცევის უძლვნია ხელნაწერს.

ძნელი სათქმელია, თუ როგორ მოხვდა ეს რვეული დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში. შესაძლოა თეიმურაზს ის დაკარგულად მიაჩნდა, როდესაც ხელნაწერს რუმინაცევს უძლვნიდა, ან (ეს უფრო საფიქრებელია) თეიმურაზმა იგი განზრას მოაშორა ძველ ხელნაწერს, რადგანაც იგი შეიცავს ცნობებს სომეხთა მამამთავრის პაოსის ქართველთა მამამთავრის ქართლოსის მიმართ უპირატესობის შესახებ და აგრეთვე ცნობებს ქართული ენის წარმოშობის თაობაზე, რაც არ შეესაბამებოდა მის რწმენას და პატრიოტულ სულისკვეთებას. ამითვე უნდა აიხსნებოდეს ყველაფერი ზემოჩამოთვლილის შეცვლა, ქართველთა სასარგებლოდ, დამატებულ ახალ რვეულში. ასეა შეცვლილი ეს ადგილები იმ ასლში, რომელიც გადმოწერილია სრულად რუმინაცევის უძლვნია ვარიანტიდან და რომელიც აღმოჩნდა დ. ჩუბინაშვილის უძლვნია ხელნაწერებში (იხ. ჩვენი ობიექტი, II, გვ. 8—21).

რომ მაჩაბლის უძლვნია ვარიანტის დასაწყისი რუმინაცევის უძლვნია ნუსხიდან არის გადმოწერილი, ამას, პირველ ყოვლისა, ამტკიცებს მისი წინასიტყვაობა, რომელიც აქ მოკლედა წარმოდგენილი შემდეგნაირად:

„შესავალი წიგნისა ამის ქართლის ცხოვრებისა:

პატიოსანნო და დიდებულნო ქართულნო, უმთა ვითარებისაგან ქართლსა შინა, ქართლის-ცხოვრება შემცირებულ იყო: ხ' მე მეფემან ვახტანგ,

ქემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევკერიბენ სწავლულნი კაცნი, და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და ჩლნიმე სხუათა ენათაგან-ცა გამოვილევით, და ესრეთ შევთხენით და აღვსწერეთ“.

ეს წინასიტყვაობა ასეთი მოკლე ვარიანტის სახით გვხვდება შარტო რუ-მიანცევისეულ ხელნაწერში.

ს. ყაუხჩიშვილის განცხადება, ვითომც ეს წინასიტყვაობა მაჩაბლისეულ ვარიანტში ვრცელი სახით იყოს წარმოდგენილი, სწორი არ არის (ქართლის ცხოვრება, ანნა დელოფლის ნუსხა. გვ. XXIX).

ყველა სხვა ნუსხაში (თეიმურაზისეულში, ავალიშვილისეულში, ბარათა-შვილისეულში, დაღიანისეულში და სხვ.) ვხედავთ წინასიტყვაობის ვრცელ ვარიანტს.

ამას გარდა, მთელი ტექსტი და აშეებზე მიწერილი გეოგრაფიული და ქრონოლოგიური შენიშვნები სიტყვა-სიტყვით ეთანხმება რუმიანცევისეულ ვარიანტს.

კ. გრიგოლიას თავიდან ბოლომდე შეუდარებია ერთი მეორისათვის მა-ჩაბლისეული და ჭალაშვილისეული ხელნაწერები და მისულა გარკვეულ და-კვნამდე, რომელიც ქვემოთ მოგვყავს:

„მაჩაბლისეული ხელნაწერის გარკვეული ნაკვეთები—ლეონტი მროველის თხზულების დასაწყისი ნაწილი, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების შესავა-ლი, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება და ოცდაათმეტეიდმეტე მეტე ფარ-სმანის ნაკვეთიც ჭალაშვილისეულიდან მომდინარე ჩანს. რაც შეეხება მაჩა-ბლისეული ნუსხის მთელ დანარჩენ ნაწილს, ლეონტი მროველის თხზულების ნაკვეთიდან მოკიდებული: „შემოსვლა სპარსთა და მეფობა მირიანისი“ ქამთა-ალმწერლის სიტყვებამდე: „და დაიწყო მთიებმა აღმოჭირვებულად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკურველისა და საშინელისა თქმად“, არჩილისეული ნუსხიდან მომდინარებს და მის პირს წარმოადგენს. ერთადერთი ცვლილე-ბა, რომელიც მას (მაჩაბელს) შეუტანია, თამარის ცხოვრების დასაწყისს შეი-ხება და ისიც გადამწერს აშიაზე საგანგებოდ აღნიშნული აქვს; არავითარი სხვა ცვლილება ამ ნაკვეთში მას არ მოუხდენია“ (გვ. 498—499).

ჭალაშვილისეული ხელნაწერი ეხლა მე-7 რევულით იწყება და პირველი ექვსი რვეული დაკარგულია. კ. გრიგოლიას დაკვირვებით და ტექსტის მოცუ-ლობის ანგარიშით, ამ დაკარგულ რვეულებზე ის ტექსტი უნდა ყოფილიყო მოთავსებული, რომელიც მაჩაბლისეულ ნუსხას დაუცავს, ე. ი. ვახტანგ მეფის კომისიის შესავალი, აპოკრიფული მოთხრობა და ლეონტი მროველის თხზუ-ლების ტექსტის დასაწყისი (იქვე, გვ. 492). ეს დასკვნა სწორია. თუ საერთოდ, როგორც მართებულად აღნიშნავს კ. კრიგოლია, მაჩაბლისეული ნუსხის თავი და ბოლო ვახტანგისეული რედაქციის თავისებური ვარიანტითაა წარმოდგე-ნილი, ასეთი ვარიანტით უნდა ყოფილიყო მოცული ჭალაშვილისეული ნუსხაც.

მაშასადამე, გიორგი მაჩაბელს თავისი ხელნაწერის თავი და ბოლო ჭა-ლაშვილისეული ხელნაწერიდან გაღმოუწერია 1736 წელს, ე. ი. ხუთი წლის შემდეგ ჭალაშვილის ნუსხის დაწერისა. მაშინ, რა თქმა უნდა, ჭალაშვილის ნუსხა მთლიანი ყოფილა. მეორე, ძველი ნაწილი მატიანესი ჭალაშვილს, რო-

გორც თვითონ ამბობს, არჩილ მეფის ნაქონი ქართლის ცხოვრებიდან გად-
მოუწერია, რომელიც „დიალ ძველი ყოფილა.“

არჩილ მეფის ნუსხას ჩვენამდე არ მოუწევია, მაგრამ ეხლა, გიორგი მა-
ჩაბლის წყალიბით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. გრიგოლიაც, ხელ-
თა გვაქვს პირი ანუ ასლი არჩილ მეფის ქართლის ცხოვრებისა. ამას უდი-
დესი მნიშვნელობა აქცს ჩვენთვის. ეტყობა, არჩილ მეფის ხელნაწერს გიორგი
მაჩაბლის დროს თავი ჰქონდებოდა და ნაკლული ტექსტი მაჩაბელს, როგორც
გამოირკვა, რუმიანცევისეული ქართლის ცხოვრებიდან შეუესია.

თვით არჩილისეული ქართლის ცხოვრება მარიამისეულის ტიპისა ყო-
ფილა. ამას აშკარად ამტკიცებს მათი შემადგენელი ნაწილების ერთგვარობა
და პირველ ყოვლისა კი სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, რომელიც სხვა ძველ
ხელნაწერებში, ანასეულში და ჭალაშეილისეულში, არ მოიპოვება. ამას
ამტკიცებს კიდევ ის ფაქტი, რომ თამარ მეფის ისტორია იმ ნუსხაში პირვე-
ლი („აზმანი შარავანდელთანი“-ს) ვარიანტით ყოფილა წარმოდგენილი. ამის
მაჩვენებელია ის გარემონბაც, რომ არჩილის ნუსხას, მარიამისეულის მსგავსად,
წინ მიუძღვდა აგრეთვე აპოკრიფული მოთხრობა. მაგრამ ეს ლეგენდა სრუ-
ლებით სხვა არის, ვიდრე მარიამისეულში მოქცეული ლეგენდა და სულ სხვა
ტენდენციას ატარებს: მას აზრად აქცს პირდაპირ დაუკავშიროს ლეონტი
მროველის ისტორია ბიბლიურ ისტორიას და როლესაც იხსნიებს ნოეს შთამო-
მავალს თარგამოს, მის ისტორიას განაგრძობს, მროველის სიტყვებით:
„ესე თარგამოზ იყო მამა სომეხთა და ქართველთა და რანთა და მოვაკანელ-
თა, ცერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიელთა“.

ამით ლეგენდის ავტორი უკავშირებს ქართულ ისტორიას იმ დროს მი-
ლებულ მსოფლიო ისტორიას, რომელიც ჩვეულებრივ აღამიდან იწყებოდა.
ეს სწორადა აქცს აღნიშნული ს. ყაუხეჩიშვილს (იხ. „ქართლის ცხოვრება“
და „მსოფლიო ისტორია“. ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრომები; ტ. VII,
1947 წელი).

ეტყობა, ეს შემოკლებული აპოკრიფი ყოფილა ჭალაშეილისეულ ხელნა-
წერშიც, რომლიდანაც მაჩაბელს ის გადმოუწერია. ამის მაგიერ მარიამისეულ
ვარიანტში მოთავსებულია მთლიანად და თავდაპირველი სახით აპოკრიფი
ქვაბი საგანძური, რომელსაც არა აქცს პირდაპირ დამოკიდებულება
ქართლის ცხოვრებასთან, მითუმეტეს, რომ ხსნებულ აპოკრიფს მოსდევს სხვა
აპოკრიფიც: „შიშველ-მართალთათვის და ქვეყნის საზომისათვის“ (იხ. მარია-
მისეული ვარიანტი, გვ. 846—849).

როგორც ჩანს, ძველი ტექსტი არჩილის ხელნაწერისა ზოგ რამეში განირ-
ჩეოდა ანასეული და მარიამისეული ვარიანტებისაგან. ყოველ შემთხვევაში,
ერთ ადგილას (გვ. 23) მაჩაბლისეულ ვარიანტში შემდგომ სიტყვებისა—
„მაშინ პოვეს უამი მარჯვე ქართლოსიანთა ბერძნთასა“—ცარიელი ადგილია
დატოვებული და წითლურით აღნიშნულია: „აქა ფურცლები აკლია“—ო. ასეა
ეს ადგილი რუმიანცევის და თეიმურაზის ვარიანტებშიც. ანასეულში და
მარიამისეულში კი ნაჩვენები არ არის, რომ აქ დედნებს ფურცლები აკლია.
ამ ორ უკანასკნელ დედანში მოყვანილია ტექსტი ალექსანდრე მაკედონელის

საქართველოში შემოსვლის თავიდან, რომელიც იწყება სიტყვებით: „ამან ალექსანდრემ დაიბყრნა ყოველნი კიდენი...“ (იხ. ანასეული ვარიანტი, გვ. 11,28 და მარიამისეული, გვ. 14,1).

მაჩაბლისეულ ხელნაწერში კი ცარიელი ადგილის შემდეგ ტექსტი იწყება სიტყვებით: „ხოლო ეგრის წყალს ქვემოთ დარჩა ბერძნთა, რამეთუ მკუიდრთა მის ადგილისათა ეზრახნეს ოვსთ[ა], გარდმოიყვანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე და კნისობდა (დედანში: „დავნ სობალ“) და მოკლეს იგი, და რომელი პოვეს სპარსი, ყოველივე მოსწყვიტეს ოვსთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხოლო რანი და ტრეთი¹ დარჩა სპარსთა, და შემდგომად ამისსა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს სპარსნი და განდიდნა (დედანში: „განადიდნა“) მეფე² სპარსთა, რომელსა ერქუა ქეკაპოს. ხოლო ამას უამსა ქექეოს იყო ლეკეთის კაცი მგრძნებელი³.

სამწუხაროდ, აქ ერთი ფურცელი აქლია მაჩაბლისეულ ვარიანტს⁴ (გვ. 49-50) და ეს მით უფრო სავალალოა, რომ ამ ადგილას ანასეულსა და მარიამისეულ ხელნაწერებში ტექსტი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი.

ხაზგასმული სიტყვები ანასეულსა და მარიამისეულ ხელნაწერებში სრულიად გამოტოვებულია (ანასეულის გვ. 9, მარიამისეულის გვ. 11) და არა ჩანს, თუ ვინ დააბრმავა ქეკაპოსი და წაგებინა მას ლეკეთის ომი. ეს ყოფილა, როგორც ვხედავთ, ლეკი ქექეოს მგრძნებელი.

მაჩაბლისეული ტექსტი ჩვენ მთლიანად არ შეგვიდარებია სხვა ვარიანტებისათვის, ხოლო სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ტექსტი სრულად შევუდარეთ მაჩაბლისეული ხელნაწერის ტექსტს. მოველოდით თვალსაჩინო შესწორებას, ვინაიდან მარიამისეულ ტექსტში ზოგი სიტყვა და ფრაზა დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა: ორივე ხელნაწერში სუმბატის ქრონიკის ტექსტი თითქმის იდენტურად არის. წარმოდგენილი. მაჩაბლისეულშიც იგივე შეცდომებია, იგივე დამახინჯება. სიტყვებისა და იგივე ნაკლოვანება ფრაზებისა, რაც მარიამისეულ ხელნაწერში.

ის მცირეოდენი განსხვავებანი, რომელიც აღმოჩნდა, მოყვანილი გვაქვს. შენიშვნებში. ზოგჯერ სიტყვების მართლწერა შეცვლილია. მაგალითად, მარიამისეულ ხელნაწერში პირველი ერისთავის სახელი ყოველთვის წარმოდგენილია. ფორმით „გუარამ“, მაჩაბლისეულში სწერია ყოველთვის „გურამ“, ხოლო თეომურაზის ვარიანტში ზოგჯერ „გურამ“, ზოგჯერ „გვარამ“; „ვარაზ-ვარდ“ წარმოდგენილია, როგორც „ვარზა-ვარდ“; ზოგჯერ მაჩაბლისეულ ხელნაწერში სიტყვები უფრო დამახინჯებულია, ვიდრე მარიამისეულში — მაგალითად „ესრეთ“-ის მაგიერ სწერია „ერეთს“ (გვ. 21, შენ. 8); „ზაკოთ“-ის მაგიერ სწერია „ზაკიცით“; „დისწულისანი“-ს მაგიერ „ძმისწულისანი“ (გვ. 17, შენ. 6)..

¹ ანასეულსა და მარიამისეულ ხელნაწერებში: „ერთი“.

² ანასეულსა და მარიამისეულ ხელნაწერებში: „მეფობა“.

³ უკანასკნელი ხუთი სიტყვა წითლურით სწერია.

⁴ ეს არა აქვთ აღნიშნული არც ს. ყაუჩჩიშვილს და არც კ. გრიგოლიას.

მაჩაბლისეულში კავშირი „და“ ხშირად გამოშვებულია და სხვ. ბიზანტიური ხარისხი „კურაპალატი“ ორსაეე ხელნაწერში სულ სხვადასხვანაირად იწერება: ხან „კულატპალატია“, ხან „კურად პალატი“ და ხან „კურატპალატი“. ძეველი ხანისათვის სწორი უნდა იყოს ეს უკანასკნელი ფორმა, ვინაიდან იშხნის X საუკუნის ფრესკის წარწერაში ყველგან „კურატპალატი“ გვხვდება.

2. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ქრონიკის ავტორი

როგორც სათაურიდან ჩანს, ქრონიკის ავტორი სუმბატ დავითის ძე ყოფილია. ავტორის ვინაობის ასე ლაკონიურად აღნიშვნა არა სჩევევია ქართულ ძეგლებს: აქ მისი გარი და შთამომაცვლობა არა ჩანს. ასეთივე წესით აღნიშნავს ჩვენი ავტორი ქრონიკაში თითოეული ბაგრატიონის გარდაცვალებას—მხოლოდ სახელისა და მამის სახელის მითითებას სჯერდება და დარწმუნებულია, რომ ეს საქმარისია მკითხველისათვის, რათა მან გაიგოს, რომ ბაგრატიონზეა საუბარი. ამგვარადვე აღნიშნა ავტორმა თავისი ვინაობა და ეს იმას მოასწავებს, რომ იგიც ბაგრატიონია, სახელად სუმბატი და მამით დავითის ძე. ეს სახელებიც ხომ ორივე ძალიან ხშირად გვხვდება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ქრონიკაში.

ავტორი რომ ბაგრატიონი არ ყოფილიყო, ის უსათუოდ გვეტყოდა თავის გვარს. ამიტომ უნდა ვითიქროთ, რომ იგი ბაგრატიონია და, კერძოდ, ტაოს შტოისა, ვინაიდან კლარჯეთის შტო ბაგრატ მე-III-ის დროს მოისპო.

თვით ქრონიკაშიც მოხსენებულია ერთი სუმბატ დავითის ძე, რომელიც 988 წელს გარდაცვლილა. დიმ. ბაქრაძის აზრით, შესაძლებელია სწორედ ეს სუმბატი იყოს ჩვენი ქრონიკის დამწერი, და თუმცა სუმბატის ისტორია ამის სიკედილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო (იხ. „საქ. ისტორია“, გვ. 55). ჩვენი აზრით კი ეს არ უნდა იყოს სწორი: თუ ამას გავიზიარებთ, მაშინ გამოვა, რომ სუმბატს ეკუთვნის მხოლოდ ნახევარი იმისა, რასაც ჩვენამდე მოულწევია, ხოლო მეორე ნახევარი სხვისი დაწერილია. ქრონიკა კი თავიდან ბოლომდე ერთი რიგით, ერთი სტილთაა გამართული და საეჭვოა, რომ ორი სხვადასხვა ავტორის ნაშრომს ასე სრულებით ერთგვარი ხასიათი ჰქონდეს. სუმბატის ისტორია არა თუ გაგრძელებული არაა, არამედ, პირიქით, ისე მოულოდნელად წყდება—საბერძნეთში ბაგრატ IV დედის მარიამ დედოფლის გამგზავრების ამბაზე—თითქოს რაღაც აკლიაო. უნდა ვითიქროთ, რომ ავტორი ამ დროს უეცრად გარდაცვლილა და მისი ქრონიკაც შემწყდარა. ეტყობა, ავტორი მომსწრება ბაგრატ III მეფობის ბოლო ხანისა და გიორგი I და ბაგრატ IV მეფობისა—1032 წლამდე, როდესაც მისი ქრონიკა წყდება. ამიტომაა, რომ ამ მეფეთა ისტორია მას, როგორც თანამედროვეს, უფრო დაწვრილებით აქვს აღწერილი.

თ. უორდანიას აზრით სუმბატის ქრონიკა დაწერილია საბერძნეთში, ათონის აღაპებში (№ № 56, 96 და 121) მოხსენებულის, სუმბატ კურაპალატისა და მისი შეილის, გურგენის მიერ. ეს სუმბატ კურაპალატი გარდაცვლილა ათონის მთაზე, ბერობაში, 992 წელს. სუმბატის ქრონიკაშიც იხსენიება ერთი სუმბატი, რომელიც 992 წელს გარდაცვლილა და აღბათ ამან მისცა საბაბი უორდანიას,

რომ აღაპებში მოხსენებული სუმბატი ეცნო ქრონიკაში მოხსენებულ სუმბატაღ. მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნა დ. კარიჭაშვილმა, ქრონიკაში მოხსენებული სუმბატი ძე არის არა დავითისა, არამედ ქართველთა მეფის ბაგრატ III რეგენისა (958-994). ამას გარდა, ქრონიკის სუმბატს არა ჰყოლია ძე გურაგენი და იგი საერთოდაც უშვილოდ გარდაცვლილა (იხ. ჩვენი ტაბულა I, ტაოს შტო). მაშასადამე, როგორც კარიჭაშვილიც ამბობს, ეორდანიას მოსაზრება მცდარია და უსაფუძვლო¹.

მაგრამ ქრონიკის ავტორის შესახებ თვით დ. კარიჭაშვილის მოსაზრებაც მიუღებლადაა მიჩნეული ივ. ჯავახიშვილის მიერ. დ. კარიჭაშვილის აზრით, ანუ როგორც იგი თვით სწერს, ჰიპოთეზით, სუმბატი უნდა იყოს შვილი ტაოს შტოის დავით (IV) მცირისა, რომელიც იყო აღარნასე IV კურაპალატის (+983) ძე² (იხ. ტაბ. I). ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ სწერს: „როდესაც მკელევარმა დანამდვილებით არ იცის, ჰყავდა თუ არა დასახელებულ პირს (დავით IV) შეილი, რა ფასი აქვს ცალიერ შესაძლებლობას? ვიდრე თვით სუმბატის არსებობის შესახებ გარკვეული ცნობები არ გვექნება, ამგვარ სათუო საბუთებით, რასაკვირველია, საკითხს ვერ გამოგარკვევთ“ (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი, 1916, გვ. 135, შენ. 1).

მართალია, ჰიპოთეზური მოსაზრებით ისტორიული ფაქტი დანამდვილებით ვერ გამოირკვევა, მაგრამ როდესაც ნამდვილი საბუთი არ მოგვეპოვება, ზოგჯერ მოსაზრებას და ჰიპოთეზას უნდა ჰქონდეს ადგილი. ჩვენ საკითხშიც დ. კარიჭაშვილის ჰიპოთეზი მისაღებია. ყოველ შემთხვევაში, თუ საერთოდ ქრონიკაში მოხსენებული რომელიმე დავითი ქრონიკის ავტორის, სუმბატის მამაა, ეს უნდა იყოს უსათუოდ დავით IV მცირე. მისი გარდაცვალების თარიღი ქრონიკაში აღნიშნული არ არის. ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც დ. კარიჭაშვილიც მართებულად ამბობს, დავითი შეილის გარდაცვალების დროს ცოცხალი იყო და სუმბატი მის გარდაცვალებას ვერ აღნიშნავდა. სწორედ დავით IV მცირის შეილი უნდა ყოფილიყო ბაგრატ III და გიორგი I მეფობისა და ბაგრატ IV მეფობის დასაწყისის თანამედროვე. სხვა დავითი იმ დროს არა ჩანს.

ყველა ზემოთქმულის მიხედვით დ. კარიჭაშვილის მოსაზრება სინამდვილესთან ახლო უნდა იყოს და ამიტომ ჩვენც ტაბულაზე, ფრჩხილებში და კითხვის ნიშნით, ქრონიკის ავტორი სუმბატი აღნიშნული გვყავს, როგორც დავით IV მცირის ძე (იხ. ტაბ. I).

ასეა თუ ისე, უდავოა, რომ ქრონიკის ავტორი ყოფილა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი მმართველ ბაგრატიონებთან დაახლოებული და მას ხელთ ჰქონია ამ ბაგრატიონთა მოკლე საგვარეულო ქრონიკები და სხვა საბუთები.

¹ დ. კარიჭაშვილი. „ვინ უნდა იყვეს სუმბატის ქრონიკის ავტორი“? „ძველი საქართველო“ ტ. I, 41—48.

² იქვე, გვ. 39.

3. სუმბატის ქრონიკის წყაროები

პირველი წყარო არის დაბადების ქართული თარგმანი. ბაგრატიონთა გენეალოგიას სუმბატი იწყებს ადამიიდან და მოჰყავს იგი ჯერ დავით მეფე წინასწარმეტყველამდის და შემდეგ დან-ის ძე სოლომონამდის, რომელსაც ვითომ ჰყოლია ტყვეობაში შეძენილი შეიდი შეილი. ესენი წამოსულან პალე-სტინიდან და მოსულან სომხეთში ეკლესი (ბერძნული „აკილისენე“, მდინარე ეფრატის სათავეში), ისტორიაში უცნობ რაქაელ დედოფალთან, რომელსაც ისინი მოუნათლავს. სამი მათგანი სომხეთშივე დარჩენილა. ამ სამ ძმაში ერთს რქმევია ბაგრატი და იგი გამხდარა სომეხთა ბაგრატიონების მამამთავარი.

დანარჩენი ოთხი ძმა წამოსულა ქართლს. ერთი მათგანი, სახელად გუარამი, ქართველებს თავიანთ ერისთავად დაუსვამთ. აქ სუმბატი უმატებს: „ესენ ქართლისა ბაგრატიონიანი შვილისშვილი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი“-ო (იხ. § 3).

მეორე ადგილას სუმბატი ამავე აზრს უფრო ვრცლად და განსხვავებით იმეორებს. „მას უამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოველ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი, და გამოარჩიეს გუარამი მ დავითის ნათესავისაგან, მოწევნული ძმათა მისთა თანა ოსამს და ვარაზ-ვარდს, რომელნი იგი ზემო ეახსენენით“ (§ 8). აქ, როგორც ვხედავთ, გუარამი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის შთამომავლად არის აღიარებული. ასეთი ლეგენდა მართლაც არსებობდა. იგი ბიზანტიის მეფე კონსტანტინე პორფიროგენეტმა შემოგვინახა თავის ცნობილ წიგნში „De administrando imperio“, რომელიც დაწერილია 952 წელს.

კონსტანტინეს ლეგენდას ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ, ხოლო აქ აღვნიშნავთ, რომ სუმბატი სახოგადოდ გვერდს უხევეს მის ლეგენდას და აქ მხოლოდ გაკვრით, ყრუდ აღნიშნავს ქართველ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობას და მალავს. რომ ისინი მომდინარეობენ დავითის, უკანონო ცოლის, საყვარელის, ური დედაკაცისაგან: ჩანს, რომ მას ამის აღიარება ეთავილება. რაც შეეხება გუარამის სამ ძმას, სუმბატის თქმით, ისინი წასულან და დამეკიდრებულან კახეთსა და კამბეჩოვანში და იქ ერისთავები გამსდარან. მათი შთამომავალნი, დასძენს სუმბატი, მას შემდეგ დღემდე მთავრობენ იქაო (§ 5). სუმბატის მიერ ხელოვნურად შეთხზულს დასაწყისს გენეალოგიისას, რა თქმა უნდა, არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს.

მეორე წყარო არის ქრონიკა „მოქცევად ქართლისად“, საიდანაც სუმბატს მოჰყავს ქართველთა დიდი ერისთავების სია-გუარამი კურაპალატიდან დაწყებული აშოტ I კურაპალატამდე, რომელიც სუმბატს ტენდენციურად ამ გუარამ კურაპალატის შთამომავლად გამოჰყავს.

ერისთავთა სია სუმბატს თავის ქრონიკაში თავისებურად გადაუკეთებია: ქართლის მოქცევაში ყოველთვის როდია აღნიშნული, თუ რომელი ერისთავი რომლის შვილია, ხოლო სუმბატს დაუწყია გუარამიდან და ყოველი მომდევნო ერისთავი წინამორბედის შეილად გამოუწადებია. ერთ ადგილას სუმბა-

ტის სის რამოდენიმე ერისთავი აქლია და ამით გენეალოგია შეწყვეტილია, მაგრამ ეს ნაკლი სუმბატის ქრონიკის ჩვენამდე არასრულად მოღწევით აიხსნება. ცნობილია, რომ სუმბატის ქრონიკაში ზოგი სიტყვა და ფრაზა გამოშვებულია. დედანშიც რომ გენეალოგია შეწყვეტილი ყოფილიყო და, მაშასადამე, აშოტ კურაპალატი პირველი დიდი ერისთავის შთამომავალი არ გამოსულიყო, სუმბატი ვერ იტყოდა—„ეს ე ბა გრატონიან ნი შვილი ს-შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი“-ო.

ეს იყო პირველი ტენდენციური გადაკეთება ქართლის მოქცევის ქრონიკის ცნობებისა სუმბატის მიერ. მეორე ტენდენცია იმაში გამოიხატა, რომ გუარამი სუმბატმა ბაგრატიონად გამოაცხადა, რაც ქართლის მოქცევის ქრონიკაში სრულიად არა ჩანს. მესამე ტენდენცია ის იყო, რომ სუმბატმა ბაგრატიონთა გვარის ქართლში გამთავრება VIII საუკუნიდან VI საუკუნი დან VII საუკუნიდან მეორე ნახევარში გადმოიტანა. უკეთ რომ ვთქვათ, მან ეს ტენდენცია დაადასტურა, ვინაიდან იგი კონსტანტინე პორფიროგენეტისაც აქვს დაცული, როდესაც მოგვითხრობს, რომ ბაგრატიონთა საქართველოში მოსალიდან მისი წიგნის დაწერამდე, ე. ი. 952 წლამდე გასულა 400 ანუ 500 წელი.

თუ 400 წელს მივიღებთ, მაშინ გამოვა, რომ ბაგრატიონები მოსულან საქართველოში 552 წელს და ეს თარიღი უახლოვდება გუარამ პირველის გამთავრებას ქართლში.

როგორც ქრონიკის სათაურიც მქაფიოდ გვიჩვენებს, სწორედ ეს ტენდენციები ყოფილა სუმბატის ერთი მთავარი მიზანი, როდესაც იგი თავის ქრონიკას სწერდა: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქუეყანასა და იგი ნი, ანუ რომ ლით უამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“. ამით გადასჭრა, რომ ბაგრატიონები ებრაელების შთამომავლებად დასახა და პალესტინიდან სომხეთსა და ქართლში მოიყვანა; მეორე იმით, რომ ბაგრატიონთა ქართლში მოსვლა მერვე საუკუნიდან მეექვსე საუკუნეში გადატანით დაადასტურა. სუმბატმა კარგად იცოდა, რომ რაც უფრო ძველი წარმოშობისა იყო დინასტია, მით უფრო მეტი პატივი ენიჭებოდა მას ხალხის წარმოდგენაში. ამით აიხსნება ამ თარიღების შეცვლა, მიუხედავად იმისა, რომ სუმბატის დროს უკეე არსებობდა ჯუანშერის ქრონიკა, რომელშიც პირველი ბაგრატიონის, აშოტ I კურაპალატის მამის ადარნა სეს ქართლში მოსვლა მერვე საუკუნის პირველ ნახევარშია აღნიშნული, არჩილ II დროს (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამას გარდა, სუმბატი დიდ ულოიკობას იჩენს, როდესაც ამბობს: „ეს ქართლისა ბაგრატიონიანი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი-ო“. თუ ქართლის ბაგრატიონები გუარამისაგან ანუ გურამისაგან მომდინარეობენ, მაშინ ამ დინასტიის სახელი „გვარამიანი“ ანუ „გურამიანი“ უნდა ყოფილიყო და არა „ბაგრატიონი“. ეს მართებულად აქვს აღნიშნული ჩვენ ისტორიულს ვახუშტისაც, რომელიც აცხადებს, რომ „გურამისაგან ჯერ იყო გურამიანობა და არა ბაგრატიონობა“ (ქართ. ცხოვრ., II, გვ. 153). რათა როგორმე გაამართლოს გადმოცემა, ვახუშტის შემოაქვს მოსაზრება, ვითომც

ამ გურამს მირდატმა, ვახტანგ გორგასლის ძემ, შერთო ცოლად თვისი დაი, რომლისაგან გურამს „ტაოს ერისთაობასა შინა“ ეყოლა ძე ბაგრატი. ამ ბაგრატს ეყოლა შეილი გურამ, რომელიც იყო „მორჩილებასა შინა ძეთა მირდატისათა, ხოლო ძენი მირდატისანი უძეოდ გარდახდენ და დაუმკვიდრეს სამკვიდრებელი თვისი გურამს და უწოდეს მირდატოვანი, და ამან გურამ, ძემან ბაგრატისამან, შემდგომად მათსა დაიპყრა ნაქონები მათი ტაშისარ—ფარავნიდამ, ვიდრე ზღვამდე და მერმე შეიცვალა სახე ლი მირდატოვანი ბისა ბაგრატიონად მამისა თვისი სა სახე ლი სათვის“ (ქართ. ცხოვრ., II, გვ. 148). ამას ვახუშტი ამართლებს კიდევ იმის ჩვენებით, რომ მატიანეს თქმით, „დავით აღმაშენებელი იყო მესამეოცდაათოვრამეტე ნათესავი დავით წინასწარმეტყველისაგან, და უკეთუ ესრეთ არ იყო, ვითარცა აღვსწერეთ, გურამ, ბაგრატ და გურამ, მოაკლდების ორნი ნათესავი დავით წინასწარმეტყველიდამ აღმაშენებლისამდე, და არღარა სწორე იქნების თქმული“ (იქვე, გვ. 153). რა თქმა უნდა, ვახუშტის ეს მოსაზრება ყოვლად მიუღებელია. საკვირველი და საოცარია, რომ ვახუშტი ზოგჯერ ასეთს, თვითნებობით შეთხეულ ფაქტებს ისტორიულ ფაქტებად აცხადებს.

მესამე წყარო სუმბატის ისტორიისა, ჩვენთვის ყველაზე უფრო ძვირფასი და გამოსადევი, არის მოკლე ისტორიული საგვარეულო ქრონიკები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებისა. ეტყობა, ყველა ოჯახში ყოფილა წესად შემოლებული ალენიშნათ ხელნაწერებში დაცულ დაუწერელ ფურცლებზე, ან ეგებ ცალკე რვეულებშიც, თუ ვინ როდის გარდაიცვალა, რამდენი შვილი დასტოვა, ვისთან ჰქონდა ომი თუ ზავი, რომელი ეკლესია თუ მონასტერი აღაშენა, რა ქართულსა თუ ბიზანტიურ პატივს ატარებდა და სხვა. ამ ხასიათის მოკლე ცნობები გვაქვს ჩვენ შემდევი დროისათვის, 1561—1687 წლებისათვის, ეგრეთწოდებული „მესტური დავითინის“ ქრონიკაში (იხ. ჩვენი „სამი ისტორიული ხრონიკა“. ტფილისი, 1890, გვ. 81—115, წინასიტყვაობა, CXCVI!—CLIX). ამას გარდა, სუმბატი, ეტყობა, ზოგჯერ გამოყენებული აქვს მრავალრიცხოვანი წარწერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა, რომელიც მოვითხოვდენ ამა თუ იმ ბაგრატიონის ღვაწლს, მოქმედებასა თუ გარდაცვალებას. ამას ნაწილობრივ ცხადყოფენ ჩვენი და აგრეთვე სხვათა ექსპედიციების მიერ შეკრებილი ზასალები.

მატიანეთა შესადგენად ქრონიკებისა და სხვა ისტორიული მასალების შეკრების იდეა უნდა აღძრულიყო ბაგრატ III დროს, როდესაც გაერთიანდა ცალკეული ქართული სამეფონი და სამთავრონი. ასეთი მისწრაფება ბაგრატმა ცხადჲო, როდესაც აფხაზეთში გახელმწიფდა და გამოსცა დიდი სიგელი ანუ, უკეთ ვთქვათ, მანიფესტი, რომელშიაც ჩამოსწერა აფხაზთა მთავრებისა და მეფეების სია და აღნიშნა თითოეულის ზეობის ხანგრძლივობა. სუმბატ დავითის ძემ მის დროს და შემდეგ შეკრებილი მასალა ჯეროვანად, ქრონიკლოგიურ რიგზე დაალაგა და შექმნა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ის ძვირფასი ქრონიკა, რომელმაც—როგორც ჩანს, დაზიანებული სახით—ჩვენამდის მოაღწია.

4. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგია სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობების მიხედვით

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლობითი ნუსხა საზოგადოდ პირველად შეაღინა ბროსემ, მის დროს ცნობილი ყველა წყაროს მიხედვით (ქართულის, ბიზანტიურის და სომხურისა) და შეიტანა იგი, როგორც ნაწილი, საქართველოს მეფეთა, მთავართა, ერისთავთა და გამგებელთა მის მიერ ვრცლად დამუშავებულს შთამომავლობითს ნუსხაში, ტაბულების სახით (იხილეთ Hist. de la Géorgie, II, 1, pp 622—629). ბიზანტიური და სომხური წყაროები ცალკეც აქვს შეკრებილი და გამოცემული ბროსეს (იხ. Additions, pp 138—173).

ბროსეს გენეალოგია, მეფე გიორგი VIII-მდე, გადმოთარგმნილი და გადმობეჭდილი აქვს დ. ბაქრაძეს და, მოკლე ისტორიული ფაქტების მიმატებით, დართული აქვს მის მიერ 1885 წელს გამოცემულს ვახუშტის ისტორიას.

ბროსეს დამსახურება სხვა მრავალ დარგთა შორის ამ დარგშიაც დიდია, ვინაიდან მისი ზემოხსენებული გენეალოგია დღემდისაც ერთ-ერთი მთავარი და უსრულესი სახელმძღვანელოა საქართველოს ისტორიის მკვლევართა და მკითხველთათვის.

მაგრამ ბროსეს შემდეგ ლიდალი ქრონიკები, მატიანები, გუჯრები, წარწერები, ხელნაწერთა მინაწერები და სხვა საბუთები გამოიცა და საქართველოს მეფეთა, მთავართა, ერისთავთა და გამგებელთა გენეალოგიაც შეიქსოდა შესწორდა, ოლონდ ეს შესწორებანი გაბნეულია, შენიშვნების სახით, სხვადასხვა სპეციალურ გამოცემებში და გამოკვლევებში. მათი შეკრება, გადასინჯვა, კრიტიკული განხილვა და სრულად გამოცემა მორიგ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.

ჩვენ აქ ვეხებით მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საკითხს—აშოტ დიდი კურაპალატიდან დაწყებული მე-XI საუკუნის დასაწყისამდის (780-დან 1033 წლამდის)—და განზრახული გვაქვს ზოგიერთი საჭირო შესწორების შეტანა მათს გენეალოგიაში.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების გენეალოგია სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით პირველად გამოსცა ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა და დაურთო იგი თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნს (1914 წ.). ივ. ჯავახიშვილის ტაბულა შედგენილია ჩვენ მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით (იხ. „სამი ისტორიული ხრონიკა“).

ივ. ჯავახიშვილის ტაბულაზე ზოგი რამ სწორად არ აღმოჩნდა აღნიშნული. ეს გასაგებიცა პირველი გამოცემისათვის და მეტადრე იმ ინტენსიური და დაულალავი მუშაობის პირობებში, რომელსაც ეს გამოჩენილი მკვლევარი აწარმოებდა ჩვენი კულტურისა და ისტორიის მრავალ სხვადასხვა დარგში.

თარიღებში კორექტურული შეცდომებიც შეიმჩნევა. ამასთანავე ბაგრატიონთა საგვარეულოს ორი წევრი სრულიად არ არის აღნიშნული; ზოგის

ხარისხი ანუ პატივი სუმბატის ქრონიკის მიხედვით სწორად არ არის ნაჩერენები და სხვა. ხელახლად ვაქვეყნებთ რა ამ ტაბულას, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ პირველად მისი შედგენა უფრო ძნელი იყო, ვიღრე შემდეგ მასში შესწორების შეტანა.

ეს შესწორება შემდეგში მდგომარეობს:

კლარჯეთის ბაგრატიონთა სიაში სუმბატ მამფალის, არტანუჯელის, ადარნასე I ძის, გარდაცვალება ნაჩერენებია 890 წელს, უნდა იყოს 889 წ. (§ 48).

ადარნასე II, გურგენ I ძის გარდაცვალება ნაჩერენებია 898 წ., უნდა იყოს 896 წ. (§ 52).

ბაგრატ II არტანუჯელის, სუმბატ III ძის გარდაცვალება ნაჩერენებია 908 წ., უნდა იყოს 988 წ. (§ 74).

გურგენ V, გურგენ III ძის, გარდაცვალება ალნიშნულია 958 წ., უნდა იყოს 968 წ. (§ 71).

სუმბატ IV კლარჯის, არტანუჯელის გარდაცვალება ნაჩერენებია 1012 წ., უნდა იყოს 1011 წ. (§ 83).

ამის ძმის, გურგენ VI კლარჯის გარდაცვალება ალნიშნულია 1015 წ., უნდა იყოს 1012 წ. (§ 83).

აქვთ სუმბატის ქრონიკას ცოტა შეუსაბამობა ემჩევა. სუმბატ IV კლარჯის გარდაცვალება თმოგვის ციხეში დათარილებულია სლა ქორონიკონით (=1011), ხოლო მისი ძმის, გურგენის შესახებ სწერია: „და ეგრეთვე მასკე წელსა შინა გურგენცა გადაიცვალა ძმა სუმბატისა, ქორონიკონსა სლა“ (=1012). თუ გურგენი სუმბატის გარდაცვალების წელსვე გარდაიცვალა, აქაც 1011 წელი უნდა ყოფილიყო ნაჩერენები, მაგრამ რაკი ქორონიკონი გარდა დაულად სწერია, ჩვენ გურგენ VI გარდაცვალების თარიღად ვტოვებთ ქორონიკონის ჩვენებას, ესე იგი 1012 წელს.

ბაგრატ I არტანუჯელი კურაპალატად არის წოდებული, მაგრამ მას სუმბატი ამ ხარისხით არ იხსენიებს, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტი მაგისტროს უწოდებს.

ადარნასე III კლარჯი, მონაზონობაში ბასილი, ბაგრატ I არტანუჯელის, მამფალის ძე, იხსენიება კურაპალატის პატივით, მაგრამ სუმბატის ქრონიკა მას კურაპალატს არ უწოდებს (§ 53). კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით კი არის იგი კურაპალატი, მაგრამ ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს შეცდომაა.

ადარნასე III კლარჯის ძმები, გურგენ III და დავით III, ერისთავთ ერისთავებად იწოდებიან; ნამდვილად კი სუმბატის ქრონიკა მათ მარტო ერისთავის პატივით იხსენიებს (§§ 53, 57). დავით II ერისთავთ ერისთავი, ადარნასე მეორეს ძე, ძმა გურგენ IV დიდის, ერისთავთ ერისთავისა, სრულებით არ არის ალნიშნული ტაბულაზე, ხოლო მისი არსებობა უმცველია, ვინაიდან ქრონიკაში სწერია: „შემდგომად გურგენ მამისა თვისისა კულაბალატისა (ა1c) გარდაიცვალა (ადარნასე) ქორონიკონსა რიგ (=896) და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი, დავით ერისთავთა ერისთავი და გურგენ, რომელი შემდგომად დიდი ერისთავთა ერისთავი იყო“ (§ 52).

2. ე. თაყაიშვილი



დავით III ერისთავი, ბაგრატ I მამფალის, არტანუჯელის ძე, ივ. ჯავახიშვილის ტაბულის მიხედვით უძეოდ გარდაცვლილა 908 წელს. ჩვენს ტაბულაზე კი მისი გარდაცვალება დათარიღებულია 922 წ. და აღნიშნულია მისი ძე, ბაგრატ III.

ეს საკითხი საცილობელია და განმარტებას თხოულობს. საქმე ის არის, რომ დავითი, ბაგრატ არტანუჯელის ძე, ორჯერ და სხვადასხვაგვარად არის მოხსენებული სუბბატის ქორნიკაში.

პირველად ვკითხულობთ: „გარდაიცვალა: დავით: ძე: ბაგრატ: არტანუჯელისა: მამფალისა: ადარნასეს ძისა: გურგენ კურაპალტისა: ძმა: დიდისა გურგენისი: ქორნიკონსა: რ: კ: ც: -და არა დაუტევა შვილი:“ (§ 54, მე-4-ე—მე-6-ე პრეკარები ზემოდან). ეს ქორნიკონი უდრის 908 წელს.

მეორე ადგილას სწერია: „გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორნიკონსა რმბ (=922) და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისასა, რომელსა იგი ეწოდა ბაგრატ“ (§ 57, 13-14 პრეკ. ზემოდან).

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ტექსტი არეულად და გარევნილად არის მოლწეული ჩვენამდის და საეჭვოა, ხოლო მეორე მარტივია, როგორც შეეფერება სუმბატის ქორნიკას, და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ თუ ეს ორივე ტექსტი მართლა იმ დავითს გულისხმობს, რომელიც ბაგრატ არტანუჯელის ძე იყო, მაშინ აქ დიდი წინააღმდეგობა გამოდის—როგორც თარიღში, ისე გენეალოგიაში. ჯერ თარიღები განვიხილოთ და გავარკვით, თუ რომელი მათგანი უნდა იყოს მისაღები დავით ბაგრატ არტანუჯელის შვილისათვის: 908 წელი, როგორც პირველი ტექსტი უჩვენებს, თუ 922, როგორც მეორე ტექსტი აღნიშნავს? ჩვენის აზრით, სწორია მეორე, და აი რატომ: თუ დავითის გარდაცვალებას 908 წელს მივაკუთვნებთ, მაშინ გამოვა, რომ დაეითი თავის მამაზე, ბაგრატზე ერთი წლით აღრე გარდაცვლილა (ბაგრატი 909 წელს მიიცვალა; იხ. I ტაბულა). ასეთ შემთხვევაში სუმბატი ზოგჯერ აღნიშნავს ხოლმე: „გარდაიცვალა სიცოცხლესაც შინა მამისა თვისისიაო“. მაგრამ ასეთი ფრაზა ამ დავითის შესახებ არა გვაქვს; პირიქით, ბაგრატ არტანუჯელის შესახებ ნათქვამია: „გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი (sic) არტანუჯელი, ძე სუმბატისა, ქორნიკონსა რკო (=909), თვესა აპრილსა კ(=20), დღესა აღვებისა, და დაუტევნა ძენი ითხოვთ: ადარნასე, რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელი ედვა მას, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით“ (§53). რომ დავითი 908 წელს გარდაცვლილი ყოფილიყო, როგორდა მოისხენებდნენ მას ცოცხლებს შორის 909 წელს? ეს ხომ ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელია. ამიტომ ის დავითი, რომელიც 908 წელს გარდაცვლილა, ბაგრატ არტანუჯელის ძე ვერ იქნებოდა. ამასვე აშკარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ პირველ ტექსტში ბაგრატ არტანუჯელი ადარნასეს ძედ არის მოხსენებული, ნამდვილად კი ის სუმბატ მამფალის, არტანუჯელის ძე იყო (იხ. I ტაბულა). ამის მიხედვით პირველ ტექსტში სულ სხვა დავითი, სხვა მამის შვილი უნდა იხსენიებოდეს, ხოლო მეორეში ნამდვილი ბაგრატ არტანუჯელის ძე დავითი, რომელიც 922 წელს გარდაცვლილა

და რომელსაც დაუტოვებია „ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისისასა“, მომავალი ბაგრატ III.

გახტანგ მეფის კომისიის, რასაკეთოველით, პირველი ტექსტის გარევნილობა შეუმჩნევია და ასე შეუსწორებია იგი: „გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ბაგრატ მამთალ-არტანუჯელისა და მმა აღარნასე ყოფილ ბასილისა, ქორანიკონსა რეც (=908)“ (იხ. ქართ. ცხოვრ.; ბროსეს გამოცემა, გვ. 193).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს შესწორებაც მცდარია. იმავე კომისიის მეორე, მარტივი და სწორი ტექსტი დავითის შესახებ სულ გამოუშვია, უკუუგდია, ხოლო თეიმურაზის ვარიანტს, რომელშიაც სუმბატის ქრონიკის ნაწილი უცვლელად არის შეტანილი, შემოუნახავს (იხ. „ქართლის ცხოვრება, აკადემიკოს ნიკო მარის თვალმიდევნით გამოცემული,“ 1923 წ. პეტროგრადს გვ. 199). ბროსეს თავის „Additions“-ში (გვ. 155) დავით ბაგრატ არტანუჯელის ძის გარდაცვალება ორივე თარილით აქვს აღნიშნული და მოხსენებული ჰყავს აგრეთვე მისი შვილი ბაგრატი, ხოლო მეორე გამოცემაში, საერთო გენეალოგიაში, მისი გარდაცვალება აღნიშნულია 908 წლით, უძეოდ (Hist. de La Géorg., II, 1, გ. 623). როგორც ვთქვით, ასევე აქვს ეს აღნიშნული თავის ტაბულაზე ივ. ჯავახიშვილსაც.

რაკი გამოირკვა, რომ შეუძლებელია პირველ ტექსტში მოხსენებული დავითი იყოს ბაგრატ არტანუჯელის შვილი, დგება საკითხი, თუ ვინ არის, ვისი შვილია ის დავითი, რომელიც უძეოდ გარდაცვლილა 908 წელს? ამის გამორკვევა შეიძლება იმავე პირველ ტექსტში მოხსენებული მისი ნათესავების მიხედვით. ამ დავითს ჰყოლია ძმა, დიდი გურგენი („ძმა დიდისა გურგენისი“); ამას გარდა, დავითი ყოფილა შთამომავალი გურგენ კურაპალატისა, ვინაიდან სწერია, „ძისა გურგენ კურაპალატისა“-ო და ეს სიტყვები განმარტავს სახელს „აღარნასე-“ს. ცხადია, რომ აღარნასე ყოფილა ამ გურგენ კურაპალატის შვილი და ჩვენი დავითის მამა. სწორედ ასეთი გენეალოგია მოგვებოვება ჩვენ ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოის ტაბულაზე.

აშოტ დიდის უხუცესი შვილი იყო ადარნასე I; ამისი შვილი იყო გურგენ I კურაპალატი (+891); გურგენის შვილი იყო ადარნასე II (+896); ამას ჰყავდა ორი შვილი: დავით II ერისთავთ ერისთავი და გურგენ IV ერისთავთ ერისთავი, დიდი (+941) (იხ. ტაბულა I, კლარჯეთის შტო). აქ მოხსენებული დავითი ის დავითია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის ტაბულაზე არ არის. ბროსეს ივი აღნიშნული ჰყავს, მაგრამ მისი გარდაცვალების თარილი არ უწერია (Hist. de La Géorgie, II, გ. 622), ვინაიდან ეს თარილი მან დავით ბაგრატ არტანუჯელის ძეს მიაწერა. ახლა კი მისი 908 წელს გარდაცვალება გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. საკვირველია, რომ ბროსეს 1851 წელს გამოცემულ ტაბულაზე ამ დავითის გარდაცვალება, თეიმურაზის ვარიანტის მიხედვით, სწორად. 908 წელსა იქვს აღნიშნული (იხ. Additions გ. 155), ხოლო შემდეგს, 1856 წლის გამოცემაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თარილს სულ აღარ უჩვენებს.

პირველ განხილულ ტექსტში სიტყვები „ბაგრატ არტანუჯელისა მამუალისა“ შეცდომით სხვა აღგილიდან არის შემოტანილი და ზედმეტია, ხოლო ტექსტი ამ ადგილისა შეძლევნაირად უნდა შესწორდას და აღდგეს:

„გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ადარნასესი, ძისა გურგენ კურაპალატისა, ძმა დიდისა გურგენისი, ქორანიკონსა ჩუმ და არა დაუტევა შეილი“.

ამას შემდეგ ჩვენ გამორკვეულად მიგვაჩინია, რომ სუმბატის ქრონიკის ზემოთ მოყვანილ ორ ტექსტში ერთი და იგივე დავითი კი არ იხსენიება, როგორც ეს ბროსეს და ივ. ჯავახიშვილს ჰგონიათ, არამედ ორი სხვადასხვა დავითი—სახელდობრ, პირველ ტექსტში დავით ერისთავი (ანუ ერისთავთ ერისთავი, როგორც სუმბატი სწერს), ადარნასე II ძე, გურგენ I კურაპალატის შეილიშვილი და გურგენ დიდი ერისთავთ ერისთავის ძმა, უძეოდ გარდაცვლილი 908 წელს; ხოლო მეორე ტექსტი გულისხმობს დავით III ერისთავს, მამფალ ბაგრატ არტანუჯელის შეილს, რომელიც გარდაცვლილი 922 წელს და რომელსაც დარჩენია „ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისასა, რომელსა იგი ეწოდა ბაგრატ“ (ჩვენს ტაბულაზე ბაგრატ III).

შემდეგ: არც ივ. ჯავახიშვილისა და არც ბროსეს ტაბულაზე ტაოს ბაგრატიონთა შორის არ არის აღნიშნული აშოტ V, სუმბატ I კურაპალატის ძე, რომელიც მისი ბიძის, აშოტ IV გარდაცვალების წელს გარდაცვლილა, ე. ი. 954 წელს. ამის შესახებ სუმბატის ქრონიკაში ვკითხულობთ: „გარდაიცვალა აშოტ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა ჩოდ (=954) და არა ესვა შეილი, და ამას ვე წელსა აშოტ, ძე სუმბატისა, გარდაიცვალა და არა ესვა ძე“ (§67). ეს აშოტი არის სუმბატ I კურაპალატის (+958) ძე. სხვა აშოტ სუმბატის ძე ჩვენს ისტორიაში ცნობილი არ არის. ის გარდაცვლილი 954 წელს, ე. ი. მამის სიცოცხლეშივე და ამიტომ მამის მიერ დატოვებულ შეილთა შორის, რა თქმა უნდა, მოხსენებული არ არის. ამ ადგილას სწერია: „ და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა ჩოდ (=958) და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთა ერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასვეს, რეგვენი და ადარნასე კურაპალატი“ (§ 68). ამათი ძმა ყოფილა აშოტ V, რომელიც გარდაცვლილი 954 წ., ესე იგი თავისი ბიძის, აშოტ IV გარდაცვალების წელს.

ამას გარდა სუმბატი პირდაპირ სრულებით არ იხსენიებს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ასულებს, მაგრამ ორ შემთხვევაში გაკერით აღნიშნავს ნათესაობას, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ ვისი ქალი ვის ჰყავდა ცოლად.

პირველ შემთხვევაში ბაგრატ I აფხაზთა მეფე მოხსენებულია, როგორც დის ძე გუარამ მამფალის შეილის, ნასრესი: „და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, დის ძე ნასრესი“ (§ 46). მაგრამ აქ გადამწერის შეცდომაა, „დის ძე“ მაგიერ უნდა იყოს „სიძე ნასრესი“, ვინაიდან ბაგრატს ჰყავდა ცოლად გუარამ მამფალის ქალი, ნასრეს დაი, ნაცოლარი აფხაზთავე მეფის აღარნასესი, რომელიც ბაგრატმა მოჰკლა (იხ. „მატიანე ქართლისად“, მარ. ვარ., გვ. 225).

შეორე შემთხვევაში კლარჯი ხელმწიფენი, სუმბატ IV და გურგენ VII, მეფე ბაგრატ III მამის დისწულებად არიან გამოცხადებულნი (§ 83j. გაშა.. სადამე, ამათი დედა, ბაგრატ II არტანუჯელის ცოლი, ყოფილა დად გურგენ მეფეთ მეფისა და ასული მეფის ბაგრატ II რეგვენისა.

ამ ორ მანდილოსანს ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენს ტაბულაზე. ივანე ჯავახიშვილის ტაბულაზე ისინი აღნიშნული არ არიან.

აი ცველა ის ცვლილება, რომელიც ჩვენ შეგვაქვს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლობის სიაში სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით.

შთამომავლობის შესახებ სუმბატი ზოგჯერ აღნიშნავს, „უძეოდ გარდა-იცვალაო,“ ზოგჯერ კი „უშვილოდ გარდაიცვალაო.“ პირველი ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ პირს ვაჟი არ დარჩენია, ხოლო მეორე იმას, რომ მას არც ვაჟი დარჩენია და არც ქალი. მაგალითად, აშორტ კისკასი უძეოდ გარდაიცვალა, მაგრამ კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით მას ჰყოლია ასული—გურგენ მაგისტროსის ცოლი.

5. ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ბართველ ბაგრატიონთა შესახებ

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებს ქართველ ბაგრატიონთა შესახებ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ისტორიისათვის. ეს ცნობები დაცულია მის შესანიშნავ თხზულებაში „De administrando imperio“, რომელიც დაწერილია 952 წელს, ბერძნულად და შემდგომ ნათარგმნია ლათინურად. ორივე ტექსტი მრავალგზისაა პარალელურად გამოცემული. ჩვენ ვსაჩვენებლობთ გერმანიის ქალაქ ბონში დაბეჭდილი გამოცემით („Editio Bonnae“).

კონსტანტინეს ამ თხზულების ქართული თარგმანი უკვე დაბეჭდილი აქვს პროფ. ს. ყაუხჩიშვილს „Georgica“-ს (სერია „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“) IV ტომში, რომელიც ჯერ არ გამოსულა. ავტორმა თავაზიანად გადმოგეცა თავისი ეს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომი¹. კონსტანტინეს თხზულება ნაწილობრივ თარგმნილი და გარჩეული აქვს აკად. ს. ჯანაშიასაც (იხ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, გვ. 69—85: „კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ“).

საქართველოს ისტორიის მკლევარი, რა თქმა უნდა, ხშირად სარგებლობენ კონსტანტინეს ამ თხზულებით, არჩევენ და იფასებენ მას. დაწერილებით აქვს განხილული კონსტანტინეს ცნობები, უპირველეს ყოვლისა, აკად. მ. ბროსეს თავის „Additions et éclaircissements à l’Histoire de la Géorgie“-ში (p. p. 138—188). ბროსეს ამ განმარტებებით სარგებლობს დ. ბაქრაძე თავის მიერ გამოცემული ვახუშტის ისტორიის შენიშვნებსა და გენეალოგიურ დამატებაში, ხოლო ზოგ ცნობას იგი თავის „საქართველოს ისტორიაშიც“ იმეორებაში, ხოლო ზოგ ცნობას იგი თავის „საქართველოს ისტორიაშიც“ დამატებაში, ხოლო ზოგ ცნობას იგი თავის „David d’Iberie, dinaste de Tao“ (ცურნ. „Byzantion“, t. VIII, f. 1, Bruxelles, 1933, გვ. 176—202) და ნ. ადონცი, ფრანგულსავე წერილში „Tornic le malne“ („Byzantion“, t. XIII, Bruxelles, 1938, გვ. 143—164).

¹⁾ ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ავტორს.

კონსტანტინეს წიგნი მრავლად შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის. მნიშვნელოვან ამბებს, რომელთა შესახებ არც სუმბატის მშრალსა და მოკლე ქრონიკაში და არც სხვა რომელსამე ქართულ წყაროში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ასეთია. მაგალითად, ღავა ბასიანის ტერიტორიის გამო, რომელიც ბაგრატიონთა ცდით ივერელების სასარგებლოდ დამთავრებულა, ისე რომ იმათ ეს მხარე მეათვ საუკუნის ნახევარში ხელთ უგდიათ (იხ. De administrando imperio, გვ. 199—205; აგრეთვე Brosset, pp. 145—148; ს. ყაუხეჩიშვილი, გვ. 243—246).

ასეთია აგრეთვე ცნობა ციხე-ქალაქ არტანუჯის შესახებ, რომელიც აშოტ კისკას თავისი სიძის გურგენ მაგისტროსისადმი მტრული განწყობილების გამო ბიზანტიის იმპერატორის წარმომადგენლისათვის გადუცია, მაგრამ ბაგრატიონების ენერგიული მუქარის წერილის შემდეგ იმპერატორს მაშინვე უკან დაუბრუნებდა. თუ რას წარმოადგენდა მაშინ არტანუჯი და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას არა მარტო ივერიისა, არამედ მთელი წინა აზიისათვის, ამას მჭევრმეტყველურად გვამცნევს კონსტანტინეს სიტყვები. ის სწერს: „არტანუჯის ციხე ძლიერ მაგარია; მას აქვს დიდი „რაბათი“, როგორც შემთევრის დედა-ქალაქს... აქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტიისა, იბერიისა, აფხაზეთისა, არმენიისა და სირიის ყველა ქვეყნისა. ამ საქონელთაგან მას დიდძალი ბაჟი შემოსდის. არტანუჯის ციხის მიწა-წყალი ანუ არზენი კრცელია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხეთის გასაღებს“.

აგრეთვე არცერთ სხვა წყაროში არ გვხვდება ცნობა მიწა-წყლის გაყოფის გამო ბაგრატიონთა შორის დავისა და ჩხერის შესახებ, რასაც კონსტანტინე მოგვითხრობს. (იხ. კონსტანტინეს დასახელებული წიგნი, გვ. 206—213: ბროსეს „Additioens“, გვ. 148—152; ს. ყაუხეჩიშვილი, IV, გვ. 249; ს. ჯანაშია, გვ. 72).

ამას გარდა, კონსტანტინე ზოგჯერ აღნიშნავს, თუ ვისი ქალი ჰყავდა ცოლად ამა თუ იმ ბაგრატიონს, თუმცა ქალების სახელს კი არც ერთხელ არ უჩევნებს.

კონსტანტინეს თქმით ტაო-ქლარჯეთის ბაგრატიონები, ებრაელების ჩეულებისამებრ, უმეტეს შემთხვევაშითავის მხხლობელ ნათესავთა ქალებს ირთავდნენ ცოლად, ხშირად თავისი ბიძის ქალებს, ზოგჯერ მმის ასულებს და სხვ.

კონსტანტინე ხშირად უჩევნებს, თუ რა ბიზანტიური პატივი ჰქონდა ამა თუ იმ ბაგრატიონს; სუმბატის ქრონიკაში კი ზოგჯერ ასეთი პატივი ნაჩევნები არ არის.

ბაგრატ I არტანუჯელის შვილის აშოტ IV ზედმეტი სახელი, კონსტანტინეს თქმით, კი ის კასი ყოფილა. ქართულ წყაროებში ეს სახელი უცნობია და ა. შ.

კონსტანტინე ქართველი ბაგრატიონების წარმოშობის ისტორიას ასციშვილებს:

„უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიის კურაპალატნი იქადიან თავიანთ შთამომავლობას ური დედაკაცისაგან, რომელიც აცდუნა წინასწარმეტყველმა მეფე დაუითხა და იგინი თავის გვარტომობას უკავშირებენ დავითს იმ დედა-

კაცისაგან შობილის ერთერთი შეილის მეშვეობით და ამის გამო პხადიან თავს წინასწარმეტყველი მეფე დავითისა და, მაშასადამე, აგრეთვე თვით მისი შთამომავალის, ღვთისმშობლის ნათესავად. ეს არის მიზეზი, რომ იბერიის მთავრებს სამძიმოდ არ მიაჩინათ, ძველი ურიების ჩეველებისამებრ, ნათესავის ცოლად შერთვა. იმათი თქმით, იგინი გამოსულან იერუსალიმით და ზეგარ-დმო ჩევენების ძალით დამყარებულან სპარსეთის მხარეში, რომელსაც პფლო-ბენ. ისინი ყოფილან ორნი ძმანი, დავითი და სპანდიატესი. ამ უკანასკნელს, როგორც ისინი გვიამბობენ, თურმე ღვთისაგან მინიჭებული ჰქონდა ისეთი ძალა, რომ ბრძოლაში არავითარ იარაღს არ შეეძლო მისი დაკოდვა სხეულის არცერთ ასოში, გარდა გულისა, ხოლო გულს იგი რაღაც საფარით იცავდა¹.

„ამგვარად აღქურვილი სპანდიატესი უვნებელი გადურჩა ომებს და საში-ში იყო სპარსთათვის. სპანდიატესმა სძლია სპარსები, დაიმონავა ისინი, დაა-მკვიდრა თავისი გვარი მიუვალ ადგილებში, სადაც ეხლაც იმყოფება, ძალიან გამრავლდა და დიდი ტომი წარმოქმნა“.

„იერუსალიმით მათი გამოსელისა და აწინდელს ქვეყანაში შემოსვლის დროიდან ოთხასი ანუ ხუთასი წელი განვლილა დღემდე, როდესაც ჩენ, გულ-მხურვალე ქრისტიანენი იმპერატორები, კონსტანტინე და რომანი ვცხოვრობთ მე-10 ინდიკტ. 6460 წ. (ესე იგი 952 წ. ქრ. შემდეგ²).

შემდეგ კონსტანტინე მოგვითხრობს, რომ ქირთველები შეუერთდნენ იმ-პერატორ ირაკლის, როდესაც მან გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ და ამის გამო დაეპატრონენ მრავალ ქალაქება და სპარსეთის ადგილებს და გა-ნაგრძობს:


„ვინაიდან იბერიის ბაგრატიონები იქადიან იერუსალიმიდან მოსვლას, მათ აქვთ დიდი სიცვარული ამ ქალაქისადმი და მაცხოვრის საფლავისადმი. დრო გამოშვებით ისინი იქ გზაუნიან მდიდრულ საჩუქრებს, როგორც პატრი-არქებისათვის, ისე წინდა ქალაქის მცხოვრებთათვის. დავითს, რომელიც ზე-მოთ იყო დასახელებული, ჰუცედა შეილი ბაგრატი, ბაგრატს აშოტი და აშოტს აღარნასე, რომელიც პატრიცერული იყო კურაპალატის ხარისხით ჟეოლმორ-წმუნე ბერძენთა იმპერატორის ლეონის მიერ. რაც შეეხება სპანდიატესს, ძმას დავითისას, ის უმეცვიდროდ გარდაიცვალა“...

მაშასადამე, კონსტანტინეს ცნობების მიხედვით, პირველ ბაგრატიონთა გენეალოგია ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

¹ ეს ფარი რვალისა უნდა ყოფილიყო, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ ეს გმირი „სპან-დიატ-რეგალის“ სახელით იხსნიება.


² ეს ამონაწერი ისტორიკოს დ. ბაქრაძესაც დაახლოვებით ასე მოჰყავს (იხ. ვახუშტის ისტორია, გვ. 103, შენიშ. 1).

დავით წინასწარმეტყველი, ებრაელთა მეფე და მისი საყვარელი.
ური დედაკაცი



ეს ლეგენდა და ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ კონსტანტინეს, რა თქმა უნდა, ქართული წყაროებიდან აქვს მიღებული, ქართველი ელჩებისა და შიკრიკებისაგან და ეგებ აგრეთვე ბაგრატიონებისაგან, რომელნიც ხშირად მიღილნენ კონსტანტინეპოლიში კურაპალატობის თუ სხვა ბიზანტიური პატივის მისაღებად და პოლიტიკურ საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ თვით ადარნასე II, ლეონ ბრძნის მიერ „კურაპალატქმნილი“, კონსტანტინეპოლიში ყოფილა 922 წელს. ოღონდ კონსტანტინეს ყველაფერი სისწორით ვერ აღნიშნავს და ბევრი რამ არევია. უცხოელისაგან ეს არცა გასაკვირი. მაგრამ აშოტი და ადარნასე ხომ ისტორიული პირებია და აქ კონსტანტინეს შეცდომა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ადარნასე კურაპალატი შეილი კი არ იყო აშოტისა, არამედ შეილიშეილის შეილი, ესე იგი აშოტის შვილი იყო ბაგრატ I კურაპალატი, ბაგრატის შვილი დავით I კურაპალატი, ხოლო დავითის შეილი ადარნასე II კურაპალატი.

ამრიგად, კონსტანტინეს სიას ბაგრატ-კურაპალატი და დავით-კურაპალატი აკლია. ს. ჯანაშიას ვარაუდით შესწორება შემოაქვს სიის პირთა ადგილების შეცვლით.



ჩვენი აზრიში, ეს შესწორება მიუღებელია: აშოტ კურაპალატის დავით წინასწარმეტყველის ძედ დასახეა შეუძლებელია.

სისწორით აქვს დაცული კონსტანტინეს აგრეთვე თავდაპირველი ლეგენდა ქართველ ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, რომ ისინი დავით მე-

¹ თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, გვ. 70.

ფიდან და წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობენ ური დედაკაცის საშუალებით, რომ დავითის შვილს ერქვა ბაგრატი და ამან მისცა სახელშოდება დინასტიას, ეს ლოგიკურია. სწორი უნდა იყოს აგრეთვე ლეგენდა ბაგრატის ძმის, სპანდიატის შესახებ.

ლეგენდური სპანდიატის ვინაობა განმარტებული აქვს მარკვარტს. ის სწერს (იხ. მისი ზემოხსენებული წიგნი, გვ. 428—429):

„პიროვნება უშვილოდ გარდაცვლილი სპანდიატისა, რომელიც დავითის ძმა იყო და რომელსაც ახსენებს მხოლოდ კანსტანტინე პორტიროგენეტი, ბურუსითაა მოცული, მაგრამ შენიშვნა, რომ მისი ტანის დაკოდვა შეუძლებელი იყო, გულს გარდა, და რომ მას ამის გამო ბრძოლაში გული რვალის ფარით ჰქონდა დაფარული, უდავოდ ამტკიცებს, რომ იგი არის სპარსელების ლეგენდური გმირი სპანდიატი (Spanidijät), ძე კაი—ვიშტასაბისა (Wistasp), რომელსაც მიეწერება ალანთა ციხე—დარბაზის აშენება. ქართველებმა კი იგი გამოაცხადეს თავისიანად და სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლად, რომელმაც გაიმარჯვა სპარსელებზე და მათი თავზარდამცემი გახდა. აღმოსავლეთ კავკასიაში იყო დევი ასპანდიატი (Aspandiat), ლემერთად მიჩნეული, რომელსაც იქაური ჰუნები თავიანთი თენგრი-ხანის (Tangri-chan) თანაბრად სთვლიდნენ“.

მარკვარტის ეს განმარტება სწორი უნდა იყოს, ოღონდ იბადება საკითხი: რამ აიძულა სუმბატ დავითის—ძე უკუეგდო თავდაპირებელი ლეგენდა? ჩვენი აზრით, ამის მიხევთი შემდეგი იყო: როდესაც სუმბატი თავისი ქრონიკას სწერდა (1031—1032 წ. წ.), ლეონტი მროველის ისტორია უკვე არსებობდა და ამ ისტორიაში მოხსენებული იყო სპანდიატ რვალი, მაგრამ არა როგორც ქართველთა გმირი, არამედ როგორც სპარსთა მეფე, ქართლის მტერი და დამპყრობი. იქ სწერია:

„აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისა, სახელით სპანდიატ რვალი, გოლიათი იგი და სახელოვანი და ვერ წინააღმდეგნეს სომები და ქართველი“ („ქართლის ცხოვრება“: ბროსეს გამოცემა, გვ. 25—26; მარიამისეული ვარიანტი, გვ. 13; ანასეული, გვ. 11).

თქმა არ უნდა, ამის მიხედვით სუმბატი სპანდიატ რვალს ქართველების გმირად ვერ დასახავდა და მასა და მის ძმისწულს დავით მეფე-წინასწარმეტყველის შთამომავლად ვერ მიიჩნევდა.

ზედმეტი არ იქნება თუ იმასაც შენიშვნავთ, რომ რამდენადაც მისაღებია მარკვარტის განმარტება ლეგენდური სპანდიატ გმირის წარმოშობის საკითხისა, იმდენადვე—და უფრო მეტადაც—მიუღებელია მისი ხელოვნურად შეთხზული განმარტება, თითქოს დავით და სოლომონ მეფეებთან დაკავშირების საბაბი ქართველებისათვის მოსე ხორენელის ისტორიაში დაცულ საკუთარ სახელებს მიეცეთ (იხ. cit., გვ. 429—430).

ყველა მკვლევარი (ბროსე, მარკვარტი, ბაქრაძე, ჯავახიშვილი, ჯანაშია) აღნიშნავს ბაგრატიონთა ლეგენდის ქრონოლოგიურსა და გენეალოგიურ შეუსაბამობას, მაგრამ ეს გარემოება ხომ ჩვეულებრივია ყოველგვარი ლეგენდისათვის. ცხადია, რომ ქართველ ბაგრატიონთა ლეგენდა ქართლში მათი

მოსვლისთანავე წარმოიშეა, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ეს ლეგენდა თანდათან იცვლებოდა და მეთერთმეტე საუკუნეში მან ის სახე მიიღო. ომელიც სუმბატ დავითის ძემ გადმოგვცა თავის ქრონიკაში. სუმბატ დავითის ძემ, რასაკვირველია, ზოგი რამ შესცვალა, მაგრამ ზოგი რამ კი უცვლელი დარჩა. მაგალითად, ბაგრატიონთა საქართველოში მოსვლის ქრონილოგია მის ქრონიკაში ძველი ლეგენდიდან მომდინარეობს და ამართლებს თქმულებას თითქო ისინი მეექვსე საუკუნეში მოსულიყვნენ ქართლში.

კონსტანტინე ხომ თვით ქართველ ბაგრატიონთა თქმულებით გადმოგვცემს, რომ ქართლში მათი მოსვლიდან 952 წლამდის, როდესაც კონსტანტინემ თავისი წიგნი „De administrando imperio“ დასწერა, 400 ან 500 წელი განვლილა. მაშასადამე, გამოდის, რომ ისინი მოსულან 452 ან 552 წელს. მეორე თარიღი უდრის სუმბატ დავითის ძის მიერ აღნიშნულ დროს, ვინაიდან მისი პირველი ბაგრატიონი ქართლში, გუარამ კურაპალატი, მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული პირია.

მეორე ნაწილი ქართველი ბაგრატიონების კონსტანტინესეული ისტორიისა შეიცავს კლარჯეთის შტოის გენეალოგიას, რომელიც სუმბატ I არტანუჯელით იწყება. კონსტანტინე არ აღნიშნავს, თუ ვისი შვილია იგი, მაგრამ ჩამოსთვლის მის შეილებსა და შვილიშვილებს და ეს კი ცხადჰყოფს, რომ თავის მხრივ სუმბატ I აღარნასე I შვილი და, მაშასადამე, აშოტ I კურაპალატის შვილიშვილი ყოფილა.

სუმბატ მამფალის, არტანუჯელის შთამომავლობას კონსტანტინე ასე მოგვითხრობს (გვ. 206—207; Add., p. 148—149; ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 247—248; ს. ჯანაშია, გვ. 70—71):

„საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბაგრატი, დავითი და მამფალი, რომელიც ნიშნავს ყოვლად წმინდას, იყვნენ ძენი დიდისა სუმბატისა, ივერიელისა.

„მან ბაგრატს მექვეიდრეობით გადასცა ქალაქი არტანუჯი, ხოლო დავითს სხვა მხარე. ბაგრატს ჰყავდა სამი შვილი: აღარნასე, გურგენი და აშოტ კისკასი, პატრიკი, და მათ გაუყო მამამ თავისი სამფლობელო.

„გურგენი, რომელსაც შეხვდა წილად არტანუჯი, უძეოდ გარდაიცვალა და ქალაქი გადავიდა აშოტ კისკასის ხელში. აშოტ კისკასმა თავისი ქალი გურგენ მაგისტროს შერთო. ამან ძალით წაართვა თავის სიმამრს არტანუჯი და მისცა სანაცვლოდ ყველის ციხე და აჭარის ხევი, რომელიც საბერძნეთის საზღვარს წარმოადგენს კოლორის მხრით. აშოტს, კისკასად ცნობილს, ცოლად ჰყავდა დაი¹ გიორგი მაგისტროსისა, აფხაზთა უფლისად². იგი და გურგენ მაგისტროსი მტერნი გახდენ ერთმანეთისა და პატრიკმა აშოტმა დაიჭირა. გიორგის მხარე. გურგენმა ძალით დაიბრუნა, რაც არტანუჯის სანაცვლოდ მისცა წინეთ აშოტს, განაძევა აშოტი და აიძულა ის წასულიყო აფხაზეთში. გურგენის გარდაცვალების შემდეგ მისმა ცოლმა, აშოტ კისკასის ქალმა, მემკვიდრეობით მიიღო არტანუჯი, როგორც თავისი მამის მამული, რაგრამ აშოტ კურაპალატმა, გიორგი მაგისტროსმა, აფხაზეთის უფალმა, და ბაგრატ

¹ ბროსეს თარგმანში შეცდომით „ასული“ სწორია.

² ეს „აფხაზთა უფალი“ არის აფხაზეთის მეფე გიორგი II (912—957).

გაგისტროსმა, ზემოხსენებული აშოტის ძმამ, მოისურეეს იარალის საშუალებით გაყოფა გურაგნის მემკვიდრეობისა.

„შეთანხმდნენ და თითოეულმა წაილო, რაც მის მოსაზღვრედ იყო. არტა-ნუჯი ესაზღვრებოდა სუმბატის, ზემოხსენებულის დავითის ძის მამულები. თავადებმა შეიძყრეს გურაგნის მეულლე. აშოტ პატრიკის ასული, და განუ-ცხადეს:

„შენ, როგორც დედაკაცს, არ შეგიძლია იყო ამ ქალაქის მფლობელი“. და სუმბატმა მისცა მას სანაცვლოდ სხვა კერძო ადგილები და არტანუჯი თავისთვის დაიჭირა“.

კონსტანტინეს თხზულების ამ ადგილისა და გენეალოგიის შესახებ თავ-დაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა მამფალი მას თითქოს სუმბა-ტის მესამე შვილის საკუთარ სახელად მიუჩნევია. ასე ფიქრობს ყველა მკვლევარი, მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის გაგებით კი „მამფალი“ ნართაული სა-ხელი გამოდის. იგი ამ ადგილს ასე თარგმნის: „საცოდნელია, რომ ბაგრატი და დავითი, რომელსაც მამფალიც ეწოდებოდა, რაც გადმოი-თარგმნება „ყოვლად წმინდა“, იყვნენ ძენი დიდი სუმბატ იბერისა“ (გვ. 247).

თავი და თავი განსხვავება კონსტანტინესა და სუმბატის გენეალოგიათა შორის შემდეგში მდგომარეობს; კონსტანტინეს აღარნასე III კლარჯი, ბაგრატ I არტანუჯელის ძე, რომელიც პატარაობიდანვე ბერად იყო შემ-დგარი, ბასილის სახელით, და რომელსაც ცოლ-შვილი არა ჰყოლია (+945 წელს), გამოუცხადებია კურაპალატად და მიუკია მისთვის ოთხი შვილი: აშოტ კურაპალატი, დავით მაგისტროსი, ბაგრატ მაგისტროსი და მეოთხე, რომელსაც ის არ ასახელებს, მაგრამ რომელიც სუმბატ კურა-პალატი უნდა იყოს. ნამდვილად კი ყველა ესენი შვილებია ტაოს შტოის აღარნასე II კურაპალატის, შემდგომ ქართველთა მეფისა (+923). ამრიგად კონსტანტინეს ერთმანეთში აურევია აღარნასე II ქართველთა მეფე, ტაოს შტოისა და აღარნასე III კლარჯი, ბერობაში ბასილი. ეს არის კონსტან-ტინეს მთავარი შეცდომა და მის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

შემდეგ მას აღნიშნული ჰყავს აღარნასე კლარჯის ძმები, გურაგნ (ამის პატივი არ არის ნაჩენები) და აშოტ კისკასი, მაგრამ არა ჰყავს მოხსენებული მესამე ძმა, დავით III, ერისთავი (+922).

მეორე მხრივ, სხვადასხვა ბაგრატიონთა ცოლები, სამი ქალი, რო-მელთაც ვხედავთ კონსტანტინეს ცნობების მიხედვით შედგენილ ტაბულაზე (იხ. შემდეგ გვერდზე), არაა აღნიშნული სუმბატის ქრონიკაში.

რაც შეეხება აღარნასე II კურაპალატს, შემდეგ ქართველთა მეფეს, მას კონსტანტინე არა ერთგზით იხსენიებს. მაგალითად, იგი ერთ ადგილას სწერს:

„მეფე ლეონმა საკურისი სინუტე გაუგზავნა, შესაფერისი საჩუქრებით, იბერიის კურაპალატს, აღარნასეს“ (ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 220; კონსტანტინე, გვ. 184). ამის მიზანი ის ყოფილა, რომ იმპერატორს პირობა შეეკრა ერთი საგანგებო საქმის თაობაზე. ეს ამბავი მომხდარა 898 წელს (ლებოს „ბიზან-

კონსტანტინე პორფიროვნების ცმლათა მიხედვით შედგენილი ტაო-ქულარჯეთის გაგრატიონების გენულების მეორე ნაწილი შემდგრაიად გვცვლინება:

სუსათ I ლილი

ცოლადი ირთავს თავისი შეკვლის ბაგრატის ცოლის ბიძის ასულს

გაგრატ I მაგის-
ტრასი. ირთავს
თავისი დედის ბიძის
ასულს

დავით I ლილი;
დგავის ტრასი

აღმარინებული ნასეკობის თავისი განკუთხით გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა-	გულგურ (ბრო- აშოტ I კასკა- ული გემდება გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა-	ქალი, ცოლი თავისი გიძის ბიძის ბაგრატ II მემგრის ძის, სულ უფლის, გორგი ქალისტალის უფლის, აშოტ I კასკა- ული გა- ნაბრენებული გა-	სულგატ II. თავისი გიძის ბიძის ბაგრატ I ძის, აღარნ- ებული გა- ნაბრენებული გა-	ქალი, ცოლი თავისი გიძის ბიძის ბაგრატ II. ძის, აღარნ- ებული გა- ნაბრენებული გა-
განკუთხით გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა-	გულგურ (ბრო- აშოტ I კასკა- ული გემდება გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა- ნაბრენებული გა-	ქალი, ცოლი თავისი გიძის ბიძის ბაგრატ II მემგრის ძის, სულ უფლის, გორგი ქალისტალის უფლის, აშოტ I კასკა- ული გა- ნაბრენებული გა-	სულგატ II. თავისი გიძის ბიძის ბაგრატ I ძის, აღარნ- ებული გა- ნაბრენებული გა-	ქალი, ცოლი თავისი გიძის ბიძის ბაგრატ II. ძის, აღარნ- ებული გა- ნაბრენებული გა-

აშოტ II კურაპალატი.	დავით II გაგისტრალი	გაგრატ II გაგისტრალი	გაგრატ II გაგისტრალი
ცოლადის 952 წელს			(სულგატ I)

ქალი, ცოლი
თავისი გიძის
ბიძის ბაგრატ
გულგურ შეაგი-
ნებულსას

ტით ისტორია“, ტ. XIII, გვ. 482; ბროსეს „Additions...“, გვ. 145, შენ. 3). ჩენენ გვგონია, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი იყო იმპერატორის თანხმობა, რათა აღარნასეს მიეღო ქართველთა მეფის ხარისხი, ისევე როგორც სომეხთა ბაგრატიონმა, ანისის მთავარმა, აშოტ I მიიღო მეფის ხარისხი იმპერატორის თანხმობით 885 წელს. სწორედ ამ მოლაპარაკების შემდეგ, 899 წელს ეკურთხა აღარნასე ქართველთა მეფედ.

მეორე ადგილას კონსტანტინე სწერს:

„მეფე ლეონმა ტარონის მთავარს გრიგორიკოსს უბოძა მაგისტროსობა, სტრატეგოსის პატივი და წლიური სარგო—ოცი ლიტრა ოქრო (გვ. 222). რაღაც ტარონის მთავარი მეფეს ასეთ წყალობაში ჰყავდა, მისდამი შურით აღივსნენ გვასპურაკანის მთავარი გაგიკი, იბერიის კურაპალატი აღარნასე და ერისთავთ ერისთავი აშოტი, რომლებმაც დიდი უკმაყოფილება მისწერეს მეფეს: „რით აიხსნება, რომ მხოლოდ ტარონელი ღებულობს სამეფო სარგოს, ჩენენ კი არც ერთი არაფერს ვლებულობთო?... ან ჩვენც უნდა გაგვიჩინო იგივე სარგო, ან არც ის უნდა ღებულობდეს ამ წყალობასაო“ (გვ. 234).

ეს ამბავი მომხდარა 922 წელს და იმავე წელს აღარნასე ყოფილა კონსტანტინეპოლიში. როგორც აღონცი ფიქრობს, ამის მიზანი ზემოთ მოყვითალი მოთხოვნილების დაცვა უნდა ყოფილიყო (N. Adontz—Les Taronites en Arménie et à Byzance“. Byzantion, t. IX p. 734. Bruxelles, 1934).

რომანზ მეფემ უპასუხა მათ, რომ ხსენებული წყალობა მას კი არ დაუნიშნავს, არამედ განსვენებულმა ლეონ მეფემ დაუნიშნა და არ იჭერბა მართებული, წინამორბედ მეფეთა მიერ დაწესებული მომდევნო მეფეებმა სცვალონო (გვ. 224—225). მაგრამ მან ბოლოს და ბოლოს მაინც მოუსპო ეს სარგო ტარონელებს.

ბაგრატიონთა ცოლების შესახებ კონსტანტინე შემდეგს მოგვითხრობს:

„ნათესაობა ამ ივერიელებისა ასეთია: დავითის დედა და კურაპალატ აღარნასეს, ეხლანდელის კურაპალატის აშოტის მამის, დედა იყვნენ თრი ძმის ასულები და, მაშასადამე, მკვიდრი ბიძაშვილები. სუმბატ დავითის ძეს შერთული ჰყავდა დღევანდელი მაგისტროსის აღარნასეს მამის, ბაგრატ მაგისტროსის ასული. ამ ქალის გარდაცვალების შემდეგ აღარნასემ შეირთო დაი სუმბატ დავითის ძისა“.

ეს რთული ნათესაობა გულისხმობს, რომ სუმბატ დიდის ცოლი და მისი შვილის, ბაგრატ მაგისტროსის ცოლი, მკვიდრი ბიძაშვილები ყოფილან დედის მხრით, მაგრამ ბროსე ფიქრობს, რომ აյ დაეითი სუმბატ II-ის მაგიერ არის შეცდომით დასახელებული და თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ აღარნასე და სუმბატ II მკვიდრი ბიძაშვილები ყოფილან ერთმანეთისა როგორც მამის, ისე დედის მხრით. ამას გარდა, ზემომყვანილი ტექსტის მეორე ნახევარი გულისხმობს, რომ აღარნასე და სუმბატ II, მკვიდრი ბიძაშვილები, ერთმანეთის ცოლის ძმებიც გამხდარან (იხ, გენეალოგია, გვ. 28). მაგრამ ეს ასე არ არის.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა აქაც მცდარი უნდა იყოს. ეს შეცდომაც გამოწვეულია იმით, რომ კონსტანტინემ, როგორც ზემოთ გამოვარკვიეთ, აშოტ IV კურაპალატის მამად შეცდომით დასახა აღარნასე III კლარჯი და არა ადარნასე II ქართველთა მეფე.

აღარნასე კლარჯი, როგორც აღნიშნეთ, თავიდანევე ბერად იყო შემდგარი ბასილის სახელით. მას ცოლ-შვილი არ ჰყოლია და არც კურაპალატის ხარისხი ჰქონია. ამიტომ ჩასაც კონსტანტინე მოვათხობს აშოტ კურაპალატის მამის, დედის და ცოლის შესახებ, უნდა მიეწეროს აღარნასე II ქართველთა მეფეს. ამის მიხედვით უნდა დავსკვნათ, რომ აღარნასე II ქართველთა მეფის დედა, ესე იგი ცოლი ტაოს შტოის დავით I კურაპალატისა და დედა დავით I მამფლისა, ესე იგი ცოლი კლარჯეთის შტოის სუმბატ I მამფლისა, ყოფილან ბიძათა ასულები დედით. ამათ შორის ახლობელი ნათესაობა არ გამოდის. ხოლო ცოლი კლარჯეთის შტოის სუმბატ III ყოფილა ქალი მისი ბიძის ბაგრატ I არტანუჯელისა (ესენი არიან მხოლოდ ახლობელი ნათესავები), და ამ ქალის გარდაცვალების შემდეგ აღარნასე II ქართველთა მეფეს შეურთავს დაი სუმბატ III არტანუჯელისა, ესე იგი ქალი დავით I მამფლისა. აქაც ახლობელი ნათესაობა არ გამოდის. ასეთი შესწორებით არის აღნიშნული ზემოხსენებულ ბაგრატიონთა ცოლაბნობა ჩეენს ტაბულაზე (იხ. ტაბ. II), წინააღმდეგ ბროსეს და მარკეარტის ცნობებისა.

შემდეგ კონსტანტინე გადმოგვცემს გურგენ ივერიელისათვის მაგისტროსობისა და აშოტისათვის კურაპალატობის მინიჭების და აშოტ კისკასის მიერ არტანუჯის იმპერატორის წარმომადგენლისათვის გადაცემის ისტორიას (გვ. 208—213; Add., p. 150—152; ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 249—256; ს. ჯანაშია, გვ. 72—74). მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე შემდეგნაირად ყოფილა.

ნეტარხსნებულს იმპერატორს რომან ლაკაპენს (919—944) გაუგზავნია პატრიკი კონსტანტი და გადაუცია მისთვის მაგისტროსის ნიშნები, რომ იმით შეემოსა მას გურგენ ივერიელი. როდესაც კონსტანტი ნიკომიდიაში მისულა, იქ უნახავს მას ბერი აღაპიუსი, წარგზავნილი აშოტ კისკასის მიერ იმპერატორის წინაშე თხოვნით, რომ იმპერატორს გამოეგზავნო კაცი და მიეღო მისგან თავის უფლებაში არტანუჯი. ეს მას განუზრახავს თავის სიძე გურგენთან მტრული განწყობილების გამო. როცა ბერმა აღაპიუსმა თავისი დავალება შეასრულა, პატრიკმა კონსტანტი მი იმპერატორის სახელით მიიღო ბრძანება პატრიკ სიმეონ მდივნისაგან, რომ კონსტანტის დაეტოვებია ყველა სხვა საქმე, საჩქაროდ წასულიყო აშოტ კისკასთან და მიეღო მისგან არტანუჯის ციხე. მას უნდა გაევლო ქალდიაში და იქიდან წაეყვანა სანდო ოფიციელი, მოხელეები და ჯარისკაცები, ვინც და რამდენიც სურდა. კონსტანტი ასეც მოიქცა და 300 კაცისაგან შემდგარი რაზმით შევიდა ივერიაში. იქის შეაჩერა ნეტარხსენებულმა დავითმა, ახლანდელი კურაპალატის აშოტის ძმამა და ჰერთხა:

„სად გამოგზავნა შენ იმპერატორმა? დავითს ეჭვი შეუვიდა, აღარნასე კურაპალატის გადაცვალების გამო იმპერატორს ხომ არ სურს გურგენისა.

თვის კურაპალატობის მინიჭებაო? ნამდვილად კი აღარნასეს შვილები მათი მამის გარდაცვალების შემდეგ უთანხმოებაში იყვნენ თავიანთ ბიძის შვილთან. აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ერთი დიდებული წოდების კაცი გურგენის მიერ იყო წარგზავნილი იმპერატორის წინაშე მდიდრული ძლვენით, ეჭვი აღუძრა თოხ თავე ძმათა ადარნასე კურაპალატის შვილთა, რომ გურგენი მოელის კურაპალატის პატივსო. პატრიქიმა კონსტანტიმ უპასუხა, მე მივდივარ ამ ამალით, რომ გურგენს მაგისტროსობა მივანიჭო. მისი თავგანისცემის შემდეგ მე წავალ აგრეთვე დავით მაგისტროსის სანახევადო. პატრიქ კონსტანტის მართლა პეტრიდა საიმპერიო ბრძანება და საჩუქრები ამ უკანასკნელისათვის. მიანიჭა რა მაგისტროსობა გურგენს, პატრიქი კონსტანტი წავიდა აშოტ კისკასის სიმაგრეში, მიიღო მისგან არტანუჯის ციხე და მის ზღუდეზე იმპერატორის დროშა ააფრიალა, იმპერატორს ჩვეულებრივი ცერემონიით ქება შეასხა და გამოაცხადა, რომ ამიერიდან ციხე იმპერატორს ეკუთვნისო.

„მაგრამ დიდი დავითი შორს იყო საქმისაგან, რომ გადაეცა იმპერატორისათვის თავისი ქვეყანა, ვინაიდან იყო მოსაზღვრე ჭოროხის (აკმბესის) თემისა და მურღულისა; პატრიქმა კონსტანტიშ თავის მხრით გაუგზავნა იმპერატორს ორი წერილი. ერთით აუწყებდა, რომ მან მიანიჭა გურგენს მაგისტროსობა და ამ უკანასკნელმა ეს საიმპერატორო პატივი დიდის მადლობით მიიღო; მეორეთი უცხადებდა, რომ აშოტმა მას გაღმოსცა არტანუჯი და რომ დიდი უთანხმოება არის ჩამოვარდნილი აშოტსა და მის სიძეს გურგენ მაგისტროსს შორის. ამასთანავე ის თხოულობდა, იმპერატორს გამოევგზავნა ციხეში დამხმარე რაზმი და აგრეთვე, თუ შესაძლებელი იყო, დომესტიკი კლასისა. ამ ამბის გამო ივერიელებმა გურგენ მაგისტროს და დავით მაგისტროს მა, ძმამ კურაპალატ აშოტისა, მისწერეს იმპერატორს: თუ მისი დიდებულება დაუშვებს ასეთ საქმეს და შეიჭრება მათ ქვეყნის შუაგულში, ისინი უარს იტყვიან თავიანთ სამსახურზე და შეერთდებიან სარაცინებს, ვინაიდან ჩვენ, სწერდნენ ისინი, ძალგვიძს ომით შევებათ ბერძნებს, გავეგზავნოთ ლაშქარი, თუ ამას გვაიძულებენ, ციხის და არტანუჯის მხარის წინააღმდეგ და თვით იმპერიის ტერიტორიის წინააღმდეგო.

„ყველაფერი ეს დაწვრილებით ეუწყა იმპერატორს სასწრაფოდ მივლენილი მოხელეებისა და შიკრიკების პირით და წერილებით. იმპერატორი შეშინდა, ვაი თუ ისინი შეუერთდნენ სარაცინებს და შექმნილ მდგომარეობის გამო სპარსელებიც მათ მიემსრენო. ამიტომ იმპერატორმა შემდეგი პასუხი გასცა მათ: „მე არასოდეს არ დამივალებია კონსტანტისათვის იმის ქმნა, რაც მას არტანუჯში ჩაუდენია და არც იმ ქვეყნისაგან ამ ციხის გამოსხმა მიბრძნებია. ეს მისი ჩვეულებრივი ბუნების ჭეშმარიტი უკულმართობაა.“

„იმპერატორი ამას ივერიელთა დასაქმაყოფილებლად ამბობდა. კონსტანტიმ მიიღო მისი ბრძანება, საყვედურებითა და ქადილით აღსაესე:

„ვინ გრჯიდა ასეთი საქმის ჩადეგნას?! დაუყონებლივ გამოდი ციხიდან, წამოიყვანე აშოტი, გარდაცვალებული აღარნასე კურაპალატის ძე და მოიყვანე ის აქ, რათა ჩვენ მას მამა-მისის კურაპალატის პატივი ვუბოძოთ“.

„მიიღო თუ არა პატრიკება კონსტანტიმ ეს წერილი, მან დასტოვა აშოთ კისების პატრიკი არტანუჯის სასახლეში და თვით გაემზავრა დიდი დაცითის ქვეყნაში იმ ბრძანების მისაცემად, რომელიც მას ეხებოდა. შემდეგ იგი დაბრუნდა ივერიაში (?) და პპოვა ამ საქმის გამო თავმოყრილნი, გურგენ მაგისტროსი და დავით მაგისტროსი, აშოთ კურაპალატის ძმა. ისინი შეედავნენ კონსტანტი პატრიკს და დაუწყეს მას ლანძლვა: „შენ ჩუმ-ჩუმი და ბორტი ადამიანი ყოფილხარ, რაკი არ გაგვიმედავნე ჩევ არტანუჯის ციხის შესახებ. რომ მისი დაპყრობა გინდოდა, რაც მეფის ნების წინააღმდეგ ხდებოდა. ჩევნ ამის გამო მივმართეთ მეფეს და პასუხად მივიღეთ, რომ მეფემ არაფერი იცოდა ამ გარემოების შესახებ, არამედ შენ ჩაიდინე ეს აშოთ პატრიკიოსის, კისების გულისათვის“. ხოლო კონსტანტიმ თავის დასაცავად მიუგო მათ, რაც შეეფერებოდა, წამოიყვანა აშოთი, ძე ადარნასე კურაპალატისა და მოიყვანა ქალაქში და მას მეფისაგან მიუბოდა კურაპალატობა“ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 254—255).

ეს უკანასკნელი ფრაზა ს. ჯანაშიას სხვანაირადა აქვს გაგებული. ის სწერს: „და წამოიყვანა თან კონსტანტიმ აშოთი, ადარნასე კურაპალატის ძე, და ჩაიყვანა იგი დედაქალაქში, სადაც მას მეფემ კურაპალატობა მიანიჭა“ (გვ. 74). ამრიგად, გამოურკვეველი რჩება, რომელ ქალაქში მიუნიჭებიათ აშოთისათვის კურაპალატის ხარისხი—არტანუჯში თუ კონსტანტინეპოლში. ერთი მხრივ თითქოს მართალია ს. ჯანაშიას ინტერპრეტაცია, რადგან იმპერატორის ბრძანება იყო აშოთი კონსტანტინეპოლში მიეყვანათ და მის ელჩს ეს ბრძანება უნდა აესრულებინა. მაგრამ მხრივ ტექსტის სათანადო ადგილის დაწერილობა ისეთია, რომ აქ დედაქალაქი, კონსტანტინეპოლი არ უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან სიტყვა „პოლი“ მცირე ასოთი იწყება და არა მთავრულით, როგორც დედაქალაქის დაწერილობას შეეფერებოდა. ამიტომ უნდა ვითქმიქოთ, რომ კურაპალატობა აშოთისათვის კონსტანტი ელჩს მიუნიჭებია, მეფის სახელით, ქალ. არტანუჯში.

ისიც საფიქრებელია, რომ აშოთი თუ კონსტანტინეპოლს წავიდოდა, ეგებ ის უკან აღარც გამოეშვათ, ვინაიდან იმპერატორი უკმაყოფილო იყო მისი მოქმედებისა. სომხეთის ისტორიაში ამ მხრივ ერთი მჭევრმეტყველი მაგალითი მოგვეპოვება: ანისის მეფეს გაგიყს დაუინებით იწვევდნენ კონსტანტინეპოლში, ბოლოს იგი ჩავიდა იქ, მაგრამ უკან დაბრუნების ნება აღარ მისცეს და ამასობაში ანისის ანექსიაც მოახდინეს.

ზემოხსენებულ ამბებში გაუგებარი და ბუნდოვანია ის ადგილი, სადაც კონსტანტინე გვამცნებს, აღარნასე III კლარჯის შვილებს მამა მათის გარდაცვალების შემდეგ უთანხმოება ჰქონდათ თავიანთ ბიძაშვილთანო (კონსტანტინე, გვ. 209—210; ბროსე, Additions, გვ. 150; ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 251). მაგრამ კონსტანტინესავე ზემოაღნიშნული გენეალოგიის მიხედვით, აღარნასეს შვილების არც ერთს ბიძას ძე არა ჰყავს, ხოლო აშოთ კისების ჰყავს ასული. კონტექსტი გულისხმობს გურგენ III, ესე იგი აღარნასეს შვილების ბიძას, რომელსაც უნდა მიეღო მაგისტროსობა (იხ. ტაბულა II) და არა ბიძაშვილს. ეს სამართლიანად აღნიშნა ბროსემაც (Add., გვ. 150, შენიშვ. ბ).

თუ ეს ასეა, აქაც ქონსტანტინე შემცდარი ყოფილა.

აგრეთვე ბუნდოვანია ის ადგილი, სადაც დავით მაგისტროსის, აშოტ IV ქურაპალატის ძმის, შეკითხვის საპასუხოდ კონსტანტი აცხადებს, გურგენი-სათვის მაგისტროსობის მინიჭების შემდეგ მე წავალ და აცი მაგისტროს ის სანახავადო. აქ, რასაც კირველია, შემკითხველის, დავით მაგისტროსის სანახავად წასელა არ იგულისხმება და ბროსე მართებულად აღნიშნავს, რომ საუბარია დავით დიდის, სუმბატ I ძის შესახებ (გვ. 152, შენიშვნა 2). ეს რომ ასეა, იქნდან ჩანს, რომ კონსტანტი მართლა გაემგზავრა დავით დიდის ქვეყანაში გურგენისათვის მაგისტროსობის მინიჭების შემდეგ. მაგრამ კონსტანტინე პორტიოროგენეტი სუმბატ I არტანუჯელის შეილების ჩამოთვლის დროს, როგორც შემოთ დავინახეთ, დავით I მამთალს მაგისტროსად არ იხსენიებს, ოლონდ დიდს უწოდებს, ხოლო მის ძმას ბაგრატ I მამთალს კი მაგისტროსად იხსენიებს. უნდა ვიფიქროთ, რომ დავით დიდიც მაგისტროსი ყოფილა.

ამას გარდა გაუგებარია კონსტანტინეს სიტყვები, დავით დიდის ქვეყნი-დან კონსტანტი ივერიაში დაბრუნდაო, — თითქოს დავით დიდის ქვეყანა ივერიაში არ ყოფილიყოს. ის ალბათ კლარჯეთიდან ან სამცხიდან დაბრუნდა ტაოში, იქიდან წაიცვანა აშოტ კურაპალატი, შეიყვანა არტანუჯში და იქ მიანიჭა, იმპერატორის სახელით, კურაპალატობა.

კონსტანტინეს გურგენ მაგისტროსი არის კლარჯეთის შტოის გურგენ IV, დიდი ერისთავთ ერისთავი, ადარნასე II ძე. ეს გურგენი გარდაიცვალა 941 წლის 14 თებერვალს (იხ. ტაბ. I). მას სიტყვებირი სუმბატ დავითის ძეც კი დიდი ქებით იხსენიებს (იხ. § 62). კონსტანტინე პორტიოროგენეტი ამ გურგენს არ იცნობს, კლარჯეთის შტოიდან მისთვის ცნობილია მხოლოდ სუმბატ I შთამომავლობა, რომელშიც აღნიშნული ჰყავს მარტო ერთი გურგენი, სუმბატ I შვილიშვილი, ადარნასე III კლარჯისა და აშოტ კისკასის ძმა (იხ. გერეალოგია, გვ. 28). კონსტანტინეს გაგონილი აქვს, რომ აშოტ კისკასმა გურგენ შაგისტროს მიათხოვა ქალი და რაკი მას სხვა რომელიმე გურგენის შესახებ ცნობა არა პქონდა რა, მან ეს გურგენი მიიჩნია მაგისტროსად და აშოტ კისკასის სიძედ, თუმცა კონსტანტინესავე ცნობის ზოგი ადგილი საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, რომ აშოტ კისკასის სიძე სხვა გურგენი უნდა იყოს და გურგენ მაგისტროსი კი სხვა. მაგრამ საერთოდ კველაფერი ეს ბურუსითაა მოცული და ბროსემაც ისე გაიგო, თითქოს სუმბატ III კლარჯის ძმა იყოს გურგენ მაგისტროსი და აშოტ კისკასის სიძე. ბროსემ კონსტანტინეს ეს ცნობა მიიღო, მარკვარტმა კი სამართლიანად აღნიშნა, რომ კონსტანტინეს გურგენ მაგისტროსი, აშოტ კისკასის სიძე, არის გურგენ ერისთავთ ერისთავი, ადარნასე II ძე, და არა აშოტ კისკასის ძმა.

ამას ეთანხმება ს. ჯანაშიაც, რომელსაც სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში გოხსენებულ გურგენთა საკითხი ვრცლად და დეტალურად აქვს განხილული. განსცენებული აკადემიკოსის ნაშრომის ეს ნაწილი დიდად საყურადღებოა და მისი აღნიშნული დებულება სავსებით დასაბუთებული. ამი-

3. ე. თაყაიშვილი

ტომ ამის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. მისი წერილის გვ. 79-85).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობისა და გენეალოგიის მეორე, ყველაზე დიდი შეცდომა, იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინემ კლარჯეთის შტოის აღარნასე II კურაპალატის, ქართველთა მეფის შვილები—დავით ქართველთა მეფე (+ 937), აშოტ IV კურაპალატი (+ 954), ბაგრატ მაგისტროსი (+ 945) და სუმბატ I კურაპალატი (+ 958)—გადაიტანა კლარჯეთის შტოში და აღარნასე III კლარჯის შვილებად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ აღარნასე III კლარჯი ბავშობიდანვე ბერად იყო შემდგარი, ბასილის სახელით, და მას ცოლი არ ჰყოლია.

მართალია, კონსტანტინე აღარნასე II ქართველთა მეფის მეოთხე შეიღს სუმბატს არ ასახელებს და მარტო სამ შვილს იხსენიებს, მაგრამ მისივე მეორე ცნობით მტკიცდება, რომ აღარნასეს მეოთხე შეიღლიც ჰყოლია. ეს ჩანს იმ ადგილას, სადაც კონსტანტინე მოგვითხრობს, რომ გურგენმა თავისი უმაღლესი მსახური გაუგზავნა იმპერატორს მდიდრული საჩუქრებით, რათა გამოეთხოვა მისგან კურაპალატობა ან მაგისტროსობა და ამის გამო ოთხ ძმას, ადარნასე კურაპალატის შვილებს, ეჭვი დაებადათ, გურგენი კურაპალატობის მიღებას ხომ არ იმედოვნებათ.

კონსტანტინეს ამ შეცდომამ დავთარი აუბნია ბროსეს და მარკვარტს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გენეალოგიის შედგენაში. ბროსემ ორივე გენეალოგიის არსებობა ფაქტად მიიღო და აღნიშნა თავის ტაბულაზე როგორც კონსტანტინეს, ისე სუმბატის გენეალოგია (იხ. H. G., II, 1, p. 622-623).

იგივე გაიმეორა, ბროსეს მიხედვით, დ. ბაქრაძემაც ვახუშტის ისტორიის დამატებაში (გვ. 320).

ბროსეს ასეთი გენეალოგიის მიღება დიდ უხერხულობას იწვევდა. გამოდიოდა, რომ მეათე საუკუნეში, 923 წლიდან 958 წლიმდის ტაო-კლარჯეთის ერთი მხრივ განაგებდნენ აღარნასე II ქართველთა მეფის და კურაპალატის შვილები, დავით I ქართველთა მეფე (+ 937), ბაგრატ II მაგისტროსი (+ 945), აშოტ IV კურაპალატი (+ 954) და სუმბატ I კურაპალატი (+ 958) და იმ დროის ყველა ისტორიული ნამოქმედარი მათ უნდა მიეწეროს, ხოლო ყველა მომდევნო მეფე ქართლისა და საქართველოსი მათი შთამომავალი ყოფილა; მაგრამ მეორე მხრივ და იმავე დროს კლარჯეთში ვხედავთ აღარნასე III კლარჯის სამ შვილს, რომელთაც იგივე სახელები ჰქვიათ და იგივე პატივები აქვთ, რაც აღარნასე II ქართველთა მეფის შვილებს (მეოთხე შეიღლის სახელი, როგორც აღვნიშნეთ, მოხსენებული არ არის, მაგრამ იგულისხმება სუმბატ I კურაპალატი) და ეს სამივე თითქოს საღათას ძილით არის შეპყრობილი და იმ დროის რთულ ისტორიაში არაეითარ მონაწილეობას არ იღებს. მათ თითქოს არც შთამომავლობა ჰყავთ, ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინე ამას არ აღნიშნავს.

ეს შეუსაბამობა აღვილად შენიშნა მარკვარტმა, რომელსაც ერთ-ერთი გენეალოგია უნდა მიეჩნია სამართლიანად, ან კონსტანტინესი, ან „ქართლის ცხოვრებისა“, ე. ი. სუმბატ დავითის ძისა; ან ერთი უნდა ეცნო ისტორიულ

ჭეშმარიოტებად, ან მეორე. მან ჭეშმარიტად სცნო კონსტანტინე პორფირიონების გენეალოგია და ამით უფრო დიდა შეცდამა ჩაიღანა, ვიზაუ ბროსებ, რამელმაც, ყოველ შემთხვევაში, სამართლანად გამოიყვანა ეს ოთხი ძმა იმ დროის ისტორიის მოქმედ პირებად და მომდევნო მეფენი ადარნასე ॥ ქართველთა მეფის შთამომავლებად მიიჩნია.

მარკვარტმა კი საქართველოს მომდევნო მეფენი ადარნასე ॥ კლარჯას, ბერობაში ბასილის, შთამომავლებად დასახა და საქართველოს მეფეთა გენეალოგია ამით ყირაზე დააყენა (იხ. ტაბულა მის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 434, 435); ადარნასე ॥ ქართველთა მეფეს მარტოერთი ძე, დავითი დატრია და ერთი ასული — კონსტანტინე მეგრელთა (resp. აფხაზთა) მეფის მეულე, ისიც მაოლოდ იმის მიხედვით, რომ მათ იხსენიებს სომეხთ კათალიკოსი ითანე დრასხანაკერტელი (იქვე, გვ. 435).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მეათე საუკუნის ტაოს მმართველნი — დავით I ქარველთა მეფე (+937), ბაგრატ II მაგისტროსი (+945), აშოგ IV კურაპალატი (+954) და სუმბატ I ანთიპატი-პატრიკი და შემდეგ კურაპალატი (+958) — ადარნასე ॥ ქართველთა მეფას შვილებაა და არა ადარნასე III კლარჯის, ბერობაში ბასილისა. საქმარისია აღვნიშნოთ, რომ იშხნის ტაძრის ეკვდერის წარწერაში ყველა ესენი მოხსენებული არიან ადარნასე ॥ ქართველთა მეფის შვილებად. ამიტომ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ის, რასაც კონსტანტინე პორფიროგენეტი ამპობს ადარნასე III კლარჯისა და მისი შვილების შესახებ, გულისხმობს ადარნასე II ქართველთა მეფის შვილებს. სხვათა შორის, ჩვენს II ტაბულაზე ამის მიხედვით არის აღნიშნული ადარნასე II ქართველთა მეფის ცოლის ვინაობა და აგრეთვე ვინაობა სხვა ბაგრატიონთა ცოლებისა, რამელნიც სუმბატ დავითის ძეს ნახსენები არა ჰყავს.

6. ჯუანშერის ცნობა პირველი ბაგრატიონის ქართლში მოსვლის შესახებ

სუმბატ დავითის ძეს, როგორც აღნიშნეთ, ქართლის დად ერისთავთა შია „ქართლის მოქცევის“ ქრონიკიდან აქვს ნასესხები, მაგრამ მან პირველი ერისთავი გუარამ კურაპალატი პირველ ბაგრატიონად გამოაცხადა. „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ცნობებით ისტორიკოსი ჯუანშერიც სარგებლობს, მაგრამ გუარამ კურაპალატი ბაგრატიონად სრულიადაც არ იხსენიება მის ქრონიკაში და ეს გასაგებია, ვინაიდან ჯუანშერმა კარგად იცოდა, თუ ვინ იყო პირველი ბაგრატიონი და როდის მოეიდა ის ქართლში. ჯუანშერი თავისი ქრონიკის ერთ აღგილას მოგვითხრობს:

„გარდამოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხვარსა კადრისისა. მაშინ მოვიდა მისსა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავითვან დავით წინასწარმეტკულისა, სახელით ადარნასე, ძისტულა¹ ადარნასე ბრძისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო ბაგრატიონიანთა და ბერძენთა მიერ დადგინდულ იყო ერისთავად არეთა სომხითისათა და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასულ

¹) დედანში სუმბატი „დასწულა“, შესწარებულ ქართლის ცათერებაში „ძისტულა“. ერთი-ცა და მეორეც შეცომაა, უნდა იყოს „ძისტული“.

იყო იგი შეილთა თანა გუარამ კურატპალატისასა კლარჯეთს და მუნ დარჩო-მილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და ჰქუა: „უკუეთუ ინებო და მყო მე ვითარ-ცა მეკდრი შენი, მომეც მე ქუეყანა“—და მისცა შულავერი და არტანი“ (მარიამ. ვარიანტი, გვ. 209; ანასეული, 154).

აქედან ცხადია, რომ პირველი ბაგრატიონი აღარნასე მოსულა კლარჯე-თიდან და მას უთხოვნია არჩილ მეფისაგან ქვეყანა, რათა გამხდარიყო მისი მოყმე, ვასალი. არჩილს შეუწყარებია აღარნასეს თხოვნა და მიუცია მის-თვის შულავერი და არტანი.

აღარნასეს მამას ცოლად პყოლია ბაგრატიონისავე ასული და იგი დადგენილი ყოფილა ერისთავად „არეთა სომხითისათა“, მაგრამ მურვან ყრუს მიერ ქვეყნის აწიოკების დროს წასულა კლარჯეთს, გუარამ კურაპალა-ტის შეილებთან და იქ დარჩენილა.

იმავე ჯუანშერის ცნობით, აღარნასე ბრმას პყოლია კიდევ სამი ძმის-წული და ისინიც არჩილის სამფლობელოში შემოხიზულან: „ხოლო ძმისწულ-ნი აღარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმის თუალნი, წარმოე-დეს ტარონით ზაკისად სამნი ძმანი და დაემკვდრეს მუნ ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძო, უმკედრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერთი და კახეთი გალაკთა და ტყეთაგან უკეთ დარჩომი-ლიყო, და დაემკვდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“ (მარიამ. ვარიანტი, გვ. 210; ანასეული, 155).

შემდეგ „მატიანე ქართლისად“ მოგეითხობს, რომ მთავარმა ჯუანშერმა, მეფე არჩილ II შეილმა, „შეირთო ცოლად ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული-აღარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედამან მისმან მოყუანება მისი ცოლად, არა თუ კეთილად მეცნიერ იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყუელისანი, რომელი იგი მამად ლვთისად კორციელად იწოდა, და ვითარ იხილა ძის ცოლი, შეუყუარდა იგი, აკურთხა და დალოცა“ (მარიამ. ვარიანტი, გვ. 218; ანასეული, 164).

ამ განცხადების მიხედვით ჯუანშერის დედას თავისი შეილის ბაგრატი-ონის ქალთან დაქორწინებაში ე. წ. „მეზალიანსი“ დაუნახაეს, ესე იგი არა შესაფერისი გვარის ქალის შერთვა. ეს ცნობა საყურადღებოა ბაგრატიონთა წარმოშობის ლეგენდის საკითხის თვალსაზრისით. თუ კი დედოფალმა არ იცო-და, რომ ბაგრატიონთა სახლი დავით წინასწარმეტყუელის შთამომავლია, ჩანს, ეს ლეგენდა მაშინ სულ ახალი შეთხული ყოფილა და, ყოველ შემთხვევაში, იგი წარმოშობილი უნდა იყოს არა უადრეს მერეე საუკუნისა.

თუ ვინ ყოფილა ის აღარნასე, რომელიც მეფე არჩილ II ვასალი გამხდა-რა და რომლის ქალიც შეურთავს მთავარ ჯუანშერს, ამას გვიამბობს სომხის ისტორიული გარდან ლიდი, რომლის გადმოცემითაც ადარნასე იყო ძე ვასაკისა, სომხის მთავარის აშორის შვილისა. ეს აშორი დაბრმა-ვებულ იქნა თავადი მამიკნიანების მიერ 758 წელს, მაგრამ ამ უბედურების შემდეგაც მან 13 წელს იცოცეს და გარდაიცვალა 761 წელს (მარკვარტ ეს აშორი პატრიკიოსის ხარისხით ჰყავს აღნიშნული).

აშოტს, გარდა ვასაკისა, რომელიც ქართველი ბაგრატიონების შამამთა-
ვარი გამხდარა, ჰყავდა მეორე შვილი, სუმბატი, სომეხთა ბაგრატიონების
შამამთავარი¹.

ქართულ წყაროში სახელები არეულია (ეტყობა, გადამწერის მიერაც),
მაგრამ სწორად არის აღნიშვნული ადარნასეს ჩამომავლობა ბრმა წინაპარისა-
ვან, ხოლო ეს ბრმა წინაპარი ყოფილა აშოტი და არა ადარნასე.

უნდა ვითიქროთ, რომ ეს პირველი ბაგრატიონი ადარნასე თავისი ნე-
ბით კი არ მოსულა არჩილ მეფესთან, არამედ იძულებული ყოფილა დაეტო-
ვებინა თავისი მიწა-წყალი სხვა ბაგრატიონების, ან, შეიძლება, მამიკონიანე-
ბის ძალმომრეობის გამო: იმ დროს სომხეთში გაუთავებელი ბრძოლა იყო
ფეოდალთა შორის. ხოლო რომ ადარნასე ტაო-კლარჯეთის სამფლობელოს
მონაწილე და იქიდან ძალად გამოძევებული ყოფილა, ეს კარგად ჩანს „მატი-
ანე ქართლისად“-ს შემდეგი მოთხრობიდან:

„სიკოცხლესავე ჯუანშერისა იცუალა ადარნასე ბაგრატიონმან ნასმალი
(ნასამალი) კლარჯეთისა, შავშეთისა და აჭარისა, ნიგალისა, ასისუორისა, არტა-
ნისა და ქუემოსა ტაოსა და აშტ ციხეთაგანცა, რომელი ჰქონდეს შვილისშვილთა
ვახტანგ მეფისათა, (და ამისა შემდგომად) წარვიდა ადარნასე კლარჯეთად
და მუნ მოკუდა“ (მარიამ. ვარიანტი, გვ. 218-219; ანასეული, გვ. 161-162).

ეტყობა, ადარნასეს ქართლში დიდი გავლენა მოუპოვებია—ჯერ რო-
გორც არჩილ მეფის ერისთავეს და შემდეგ როგორც ჯუანშერ მთავრის სი-
მამრს—და მით საშუალება მიუცია თავისი შვილის აშოტისათვის გამზღარი-
ყო ქართლის დიდი ერისთავი, ხოლო თვითონ კელავ დაპატრონებია, ძალით
თუ ნებით, იმას, რაც ეკუთვნოდა ტაო-კლარჯეთში და საზოგადოდ ზემო
ქართლში; წასულა კლარჯეთში და იქ გარდაცვლილა,

იმ დროს ქართლი არაბებს ემორჩილებოდა და მათი ხალიფის ნებადა-
ურთველად ქართლის მთავრად ანუ ერისთავად ვერავინ გახდებოდა. და მარ-
თლაც, სომეხთა ისტორიკოსი ვარდან დიდი გვამცნეეს: „ისმაილელთა უფალ-
შა იბერიის ქვეყანა მისცა აშოტს, შეიღუა ადარნასესი, ვასაკის ძისა, რო-
მელიც (ვასაკი) იყო შვილი სომეხთა თავადის აშოტისა“².

ამრიგად, აშოტი არის შეიღლი ადარნასე ბაგრატიონისა, რომელიც სო-
მეხთა მთავრის აშოტის შვილიშვილი იყო და რომელიც გახდა მეფე არ-
ჩილ II-ს ვასალი. მისი გენეალოგია ასეთია:

ა შოტ პატრიკიოსი, სომეხთა მთავარი (+761).

ვასაკი

ა დ ნ ე რ ს ე ა ნ უ ა დ ა რ ნ ა ს ე ,
მეფე არჩილ II-ს ვასალი.

ა შოტ I დიდი, კურაპალატი.

¹ იხ. „История Вардана Великого“, перевод Эмина, Москва, 1861. გვ. 95, 104, 125,
შენიშვნა 353,

² Op. cit., 83.98.

სუმბატ დავითის ძემ აშოტ I დიდი კურაპალატი, როგოც აღვნიშნეთ, ტენდენციურად დაუკავშირა გუარამ I ერისთავ-კურაპალატის შთამომავლობას. მართალია ს. კაკაბაძეც, როდესაც არ სცნობს ამ დაკავშირებას (საისტორიო კრებული, II, 1928, გვ. 49).

7. ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის ლეგენდები სომხურ წყაროებში და აჯ საკითხის გაშუქება თანამედროვე მკალევართა მიერ

ბაგრატიონთა ღინასტია საერთოა სომხებისა და ქართველებისათვის. მათი გამთავრება სომხეთშიცა და ქართლშიც არაბთა ბატონობის დროს. მოხდა, მერვე საუკუნეში და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ მაშინ გაჩნდა ქართული ლეგენდა მათი წარმოშობის შესახებ.

მაგრამ ეს პირველი ლეგენდა ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ. იგი დაცული აქვს ბიზანტიის მეფეს კონსტანტინე პორფიროგენეტის. სუმბატ დავითის ძემ ეს უძველესი ლეგენდა ტენდენციურად შესცვალა.

სომხეთში ბაგრატიონთა გვარს მერვე საუკუნემდისაც ერთი პირველთა-განი ადგილი ეჭირა და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი, უძველესი სომხური ლეგენდა მათი წარმოშობისა მერვე საუკუნემდისაც არსებობდა, ხოლო მეორე, უფრო ახალი ვარიანტი ლეგენდისა ეკუთვნის ბაგრატიონთა სომხეთში გამთავრების დროის ისტორიკოსს მოსე ხორენელს. ეხლა უკვე მტკიცება და დადგენილი, რომ მოსე ხორენელის ისტორია დაწერილია არა უადრეს მერვე საუკუნისა; ზოგი მას მეცხრე საუკუნეს მიაწერს.

პირველი სომხური ლეგენდის ავტორი ცნობილი არ არის. ერთი უსახელო ისტორიკოსი ანუ ანონიმი გადმოგვცემს, თითქოს ბაგრატიონთა გვარი მოძინარეობდეს ჰაიკ-ისაგან, სომეხთა ეპონიმური შამამთავრისაგან. ამ ცნობის სასტიკი წინააღმდეგია მოსე ხორენელი, რომელიც სთხოვს თავის პატრიონს—რა თქმა უნდა, ბაგრატიონს—არ ირწმუნოს ეს სულელური ცნობა, რომელშიაც სიმართლის ნასახიც არ მოიპოვება. მისი გადმოცემით, სომეხთა მეფემ ჰაიკ-იმ გამოსთხოვა ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონის რა უკავშირო იყიდებოდა ებრაელი ტყეები, სახელად შამბათი (სუმბათი), მოიყვანა. იგი სომხეთში და დიდის პატივით დაასახლა. ამ შამბათის ერთ-ერთი შთამომავალი იყო ბაგრატი, რომლისგანაც მომდინარეობენ სომეხთა ბაგრატიონები ანუ ბაგრატუნიები.

სომეხთა მეორე მეფემ, არშაკუნიანმა ვაღარ შაკმა უბოძა ბაგრატს თავაღირის პატივი, რომლითაც მას მიანიჭა მემკვიდრეობითი უფლება სომეხთა მეფეებისათვის გვირგვინის თავზე დადგმისა და დანიშნა ის თავის მოადგილე და ასპეტად რამოდენიმე ათი ათასი ჯარისა სომხეთის დასავლეთ ნაწილებში, საღაც უკვე აღარ ისმოდა სომხური ენა¹.

¹ „История Монсия Хоренского“, I, 22; II, 2. Jean-Catholicos, Histoire d’Arménie, par M. U. Saint-Martin, Paris, MDCCXL, p. 15; Brosset, „Additions“..., p. 140-144.

პროფ. ნ. აღონცის აზრით აქ გამოსჭვივის შემდეგი ისტორიული ფაქტი: სომხთა მეფის ტიგრან დიდის ერთ-ერთი მხედართმთავარი, სახელად Bagadates (სომხურად Bagarata), დანიშნული იყო სირიისა და კილიკიის სტრატეგად (მხედართმთავრად) და მართავდა ამ მხარეებს 14 წელს, მაგრამ, ლუკულის გამარჯვების შემდეგ (ძვ. წ. 70 წელს), ის გაეშურა ტიგრანის საშველად და სირია ისევ დაუბრუნდა სელევ्यოდებს. ტიგრანის ეს მხედართმთავარი, აღონცის აზრით, უნდა იყოს სომხების ბაგრატუნიების ანუ ბაგრატიდების მამამთავარი¹.

ეს აზრი ყურადღების ღირსია და ამიტომ მის შესახებ ცოტა უნდა შექმნილდეთ.

ბაგრატიონთა წარმოშობის საკითხი აინტერესებდა როგორც ძველ სომები, ისე ძველ ქართველ მემატიანეებსა და ისტორიკოსებს. ამ ინტერესის შედეგია ის ზღაპრული მოთხოვანი ანუ ლეგენდები, რომელნიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

ამ სომხურსა და ქართულ ლეგენდებს საერთო ისა აქვთ, რომ თითქოს ბაგრატიონები ებრაელთა ტომიდან მომდინარეობდნენ. ქართველების თქმით ისინი შთამომავლობენ დავით მეფე წინასწარმეტყველისაგან (მისი უკანონო ცოლის, ური დედაკაცის მეშვეობით), ხოლო მოსე ხორენელის თქმით, როგორც ზემოთაც ალვნიშნეთ, სომხის ბაგრატიონები შთამომავალნი არიან ერთი წარჩინებული ებრაელი ტყვის, შამბათის ანუ სმბათისა, რომელიც სომებთა მეფეებ პერახეამ გამოისყიდა ბაბილონის მეფის ნაბუქოდონსორისაგან. რა თქმა უნდა, ყველა ეს ზღაპრული გადმოცემანი ჩვენ უნდა უკუვადგოთ და ბაგრატიონთა წარმოშობა უნდა ვეძიოთ იმ ადგილის მკვიდრ ტომში, რომელიც მათ პირველსაცხოვრისს წარმოადგენდა. ეს ადგილი იყო ტაო-ისპირი, მდინარე ჭოროხის შუა და ზემო წელი. ბაგრატიონთა თავდაპირველ სამშობლოდ სწორედ ამ ტერიტორიას გულისხმობს სომხის ისტორიკოსი ფაესტოს ბიზანტიელიც. ის საგანგებოდ ალნიშნავს სპერს (ქართველების ისპირს), როგორც ბაგრატიონების სამშობლოს. აქ იყო, მისი გადმოცემით, მათი გამაგრებული ქალაქი სემბატოვანი, აშენებული სემბატ ბივრიტის ძის მიერ, რომელიც მოხსენებულია ქართლის ცხოვრებაში, ქართველთა მეფეების, აზორკისა და არმაზაელის შეფობის დროს, სახელწოდებით „სემბატ-ბივრიტიანი“².

ისპირი ანუ სპერი ძველთაგანვე დასახლებული იყო ჭან-ლაზთა ტომით, მაგრამ შემდეგ იგი ერთხანს სომებთა მიერ დაპყრობილი და ნაწილობრივ გასომხებულიც იყო—ისევე, როგორც მისი მოსაზღვრე მხარე ქალდეა ანუ ხალდია—ხალიბების, ჭან-ლაზთა მეტომურების ქვეყანა, რთმელიც ვრცელდებოდა ისპირიდან ტრაპიზონამდის და მის მიდამოებამდის. პლინიუს მეორის ცნობით, აქ სომებ-ხალიბთა შერეული ტომიც გაჩენილა („Gens Armeno-Chalybes“).³

თუ მხედველობაში მივიღებთ ნ. აღონცის აზრს, რომ ბაგრატიონების საგვარეულო სახელი ტიგრან I მხედართმთავრის, ბაგარატასაგან წარმოდგა, მა-

¹ Н. Адонп. „Армения в эпоху Юстиниана“. С-Петербург, 1909. стр. 413.

² Brosset. „Additions...“ р. 141; ფავსტოსი, V.

³ „Naturalis Historia“ VI, 12.

შინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ბაგარატა ჭანეთის დიდებულთაგანი ანუ ერისთავი უნდა ყოფილიყო და მას უნდა ჰაბარებული ჭანეთის დასავლეთით მდებარე პროვინციები, რომელიც დროებით ტიგრან I-მა დაიბურო.

აյად. ნ. მარიც იმ აზრისა იყო, რომ სომხეთა და ქართველთა ბაგრატიონები ჭან-ლაზთა ტომის შთავომავალნი იყვნენ. ამის შესახებ მე მასთან არა ერთხელ მქონია საუბარი და მას ყოველთვის უთქვაშს, რომ ამ საკითხს ის საგანგებო სტატიას მიუძღვნის. მაგრამ არ კიცი, მოასწრო მან ამ სტატიის დამზადება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, დღემდის გამოცემულ მის ნაშრომებში ვერავინ ვერ დამიდასტურა აღნიშნული აზრი; შეიძლება მის გამოუცემელ ნაშრომებში აღმოჩნდეს. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, ნ. მარის აზრი ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ კარგად გამოსჭვივის მისი ღირსეული მოწაფისა და ახლობელი ენერგიული თანამშრომლის ამჟამად აკადემიკოს ი. ოჩბელის ერთ ბროშურაში (იხ. И. Орбели. „Развалины Ани“, СПБ, 1911), რომელშიც ის სწერს:

„Ани получил значение города лишь после того, как он оказался в руках пришлого (вероятно — из страны лазов), но щедро одаренного созидающей силой рода Багратидов или Багратуни, как они назывались в Армении. Удивительно многочисленные, энергичные и неутомимые члены этого обширного рода всюду, куда только они являлись, умели обединять разрозненные местные силы и создавали более или менее крупное целое“ (გვ. 8).

დიახ, ბაგრატიონთა გვარი ჭან-ლაზთაგან უნდა იყოს წარმოშობილი. ჭან-ლაზთაგან მომდინარეობენ არა მარტო ბაგრატიონები, არამედ მათი დაუძინებელი მტრებიც, სომხეთი მამიკონიანები და ქართველი ჭან-ბაკურობელიანებიც, ანუ ჯამბაკურ-ორბელიანები. ქართული ჭან-ბაკური შემდეგ შეცდომით ჩინ-ბაკურად იქცა, ამასვე უდრიდა სომხური ჩენ-ბაკური და წარმოიშვა ლეგენდა, ვითომც მამიკონიანების წინაპარნი მამა-კი და კონაკი ჩინეთიდან გაჩდეს ტაოში. ნ. აღონცის სამართლიანის განმარტებით მამა-კი ქართული სიტყვის მამა-საგან წარმოსდვა და თვით მამიკონიანები ისტორიკოსის ფაუსტის სიტყვით თავმოწონებით აღიარებდენ, რომ იგინი ჭანეთის მეფებისაგან მომდინარეობენ¹.

ნ. აღონციც სამართლიანად აღიარებს სომქეთი თავადების, მამიკონიანების და ქართველი თავადების, ორბელიანების ჭანურ წარმოშობას, ხოლო ბაგრატიონთა წარმოშობას კი, მისი აზრით, აღვილი უნდა ჰქონოდა უფრო ირანის ანუ ათროპატენს საზღვარზე სომქეთისა.

ბაგრატიონთა სამშობლოდ აღონცი უფრო ბაგარავანდის პროვინციას მიიჩნევს (რომელიც აირარატის სამხრეთით მდებარეობს) და აგრეთვე კანტონ კოგს თავისი (კიხე-სიმბარით დარონკითურთ (ეხლა ბაიაზეთი), რომელიც, მისი სიტყვით, სომქეთის ბაგრატიონთა საგვარეულო სამარხი იყო. ისპირი კი, აღონცის აზრით, იყო ის აღვილი, საიდანაც ბაგრატიონები სომხეთიან იბერიაში, საქართველოში, გადმოვიდნენ (Op. cit., გვ. 307—308; 412—413).

¹ ნ. აღონცი, opus cité, გვ. 402—404. უფრო ვრცლად ლეგენდა ისტორიკოსს სტეფანოს ორბელიანს აქვს მოთხოვილი (იხ. ბროსე. Additions, გვ. 213—214).

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ როგორც სომეხი, ისე საზოგადოდ ქართველი ბაგრატიონების საგვარეულო სამარხი ხშირად იცვლიდა აღგილს და ეს საკითხს ვერ გადასწყვეტს.

ციხე-სიმაგრეებიც ტაო-ისპირში არა-ნაკლები იყო. რად ლირდა, მაგალითად, თუნდაც მარტო კალმახის ციხე და ისპირის (ბაიბურთის) პირველხარისხოვანი სიმაგრე?!

დ. ბაქრაძეს თავის „საქართველოს ისტორიაში“ (ტფილისი. 1889 წ., გვ. 188—189) მოტყავს ბროსეს და ლუკა ინჯიჯიანის მიერ სომეხ ბაგრატიონთა შესახებ შეკრებილი ცნობები, რომელთა მიხედვითაც ისინი განაგებდნენ სპერის (ისპირის) მხარეს, ისხდნენ სემბატოვანში, იქიდან განავრცელეს X საუკუნეში ნათესაური კავშირი და უფლება აფხაზეთის მეფეებთან და საქართველოს მეფეებად დასხდნენ.

დ. ბაქრაძე იქვე დასძენს:

„აქ ჩვენის მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა ნათესავურ კავშირს სომხითის ბაგრატიონებისას საქართველოს ბაგრატიონებთან ჩვენ არ უარყოფთ, მაგრამ როდის და რა გვარად იწყობა ეს კავშირი, ამის შეურყეველს საფუძველს არ გვაძლევენ ის ცნობანი, რომელიც ბროსეს მოტყავს და რომელიც ჩვენს წარმოლგენაში ზღაპრულის თვისებისანი არიან. მთლიანობა სომხითის ბაგრატიონებისა მე X საუკუნემდე ტაოს-კარში ანუ აწინდელს ჭოროხის ხეობაში არა თუ საეჭვოა, არამედ არხეოლოგიურის ფაქტების წინააღმდეგიც არის, რადგანაც ამ ფაქტების მოწმობით არავითარი კვალი სომხითის ბაგრატიონთა არსად ჭოროხის ხეობაში არა ჩანს, როგორც შეძლებ ვნახავთ, არც მე-Х საუკუნეში, არც იმის წინად“ (გვ. 189).

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში დაწვრილებით მოგვითხრობს ქართველ ბაგრატიონთა ისტორიას, მაგრამ მათი გვარტომობის, წარმოშობის შესახებ სპეციალურად არსად ჩერდება.

აკად. ს. ჯანაშია ამ საკითხს ცველაზე უფრო მქაფიოდ და ვრცლად აშუქებს კოლექტიური „საქართველოს ისტორიის“ სათანადო თავში. იგი უდავოდ მიიჩნევს ბაგრატიონთა წარმომავლობას ისპირის ქართველთა ტომიდან. დასახელებული ნაშრომის მესამე გამოცემაში (1948 წლისა) ვკითხულობთ:

„ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმოშობით სპერის (ეხლანდელი ისპირის, ამჟამად თურქეთშია, ქალ. ბაიბურდის მისადგომებში) პროვინციიდან იყო, ამ ძეველი-ძეველი ქართული თემიდან. თავისი წინდახედული მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს მე-6—8 საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე—ქართლში. ორივეგან ბაგრატიონებმა მთავრობასა და მეფობას მიაღწიეს, ხოლო საქართველოში სამეფო ხელისუფლება შეინარჩუნეს მე-19 საუკუნის დამდეგამდე“ (გვ. 147).

ამ საკითხს პ. ინგოროვეაც ეხება¹. მისი აზრით, ბაგრატიონთა სახლი ფარნავაზიანთა ძველი ქართული დინასტიის განშტოება იყო. ინგოროვა ალ-

¹ იხ. „საქართ. მუხეულის მომბე“, XI B, გვ. 315-319.

ნიშნავს, რომ ერთ სომხურ ანონიმურ მოთხრობაში, რომელიც დაცულია სებეოსის მატიანეს შესავალის სახით, ბაგრატიონთა წინაპარი ბაგარატ ფარ(ნა)ვაზიანი“). შემდეგ პ. ინგოროვა ამბობს, რომ ბაგრატიონთა ძირითადი სამშობლო იყო სპეციალისტი, რომელიც ჭანურ თემს წარმოადგენდა. ამიტომათ, განაგრძობს ის, სამართლიანია მოსაზრება კად. ნ. მარისა, რომელიც ბაგრატიონთა სახლს ჭანური წარმოშობის გვარეულობად სთვლის.¹ ამას აეტორი დასძენს, რომ ონომასტიკონი, საგვარეულო სახელები, რომელიც „ტი“ გრამატიკული ელემენტით თავდებიან (ბაგრატი, სუმბატი, ბივრატი, აშოტი) ჭანური მსოფლიოდან მომდინარეობენ; ამგვარი სახელები—რატი, ლიპარიტი—ჭანური წარმოშობის ძველ ქართულ გვარში, ჭან-ბაკურ ორბელიანთა სახლშიც მიღებული იყოთ. ამრიგად, ყველა ზემოთქმულის მიხედვით, აზრი ბაგრატიონთა ჭან-ლაზ-თა ტომისაგან წარმოშობის შესახებ სწორი უნდა იყოს.

8. საზოგადო შენიშვნები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ

ტაო-კლარჯეთის პერიოდი, რა თქმა უნდა, არის ერთ-ერთი ხანა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიისა, როდესაც პოლიტიკური აქტივობის ცენტრი შიდა ქართლიდან და ქვემო ქართლიდან გადავიდა ტაო-კლარჯეთში და საზოგადოდ ზემო ქართლში, რომლის ნაწილსაც შეადგენდა ტაო-კლარჯეთი. ამის მიზეზი იყო, როგორც კარგადაა ცნობილი, არაბთა საამიროს დაარსება აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრში, ტფილისში. ეს პერიოდი იწყება ქართლის პირველი მმართველი ბაგრატიონის, აშოტ I კურაპალატის დროს, მეცხრე საუკუნის პირველ მეოთხედში და თავდება მეფე ბაგრატ III დროს, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში. იგი იწყება ერთი პოლიტიკური მოღვაწით, ერთი ბაგრატიონით პატარა სამთავროში და მთავრდება აგრეთვე ერთი პოლიტიკური მოღვაწის მიერ საქართველოს გაერთიანებით, ვინაიდან ბაგრატ III მეფობის ბოლო წლებში საქართველოში მის გარდა აღარცერთი სხვა მმართველი ბაგრატიონი აღარა ჩანს (გიორგი, მისი ძე, ჯერ სრულიად ახალგაზრდა), ან, ყოველ შემთხვევაში, ისტორიულად ცნობილი არ არის. საქართველოს ყველა მეფენი, ბაგრატიონთა გვარისა, ამ სახელმწიფოს სუვერენობის მოსპობამდის, ესე იგი რუსეთან მის შეერთებამდის, ამ ბაგრატ III-საგან მომდინარეობენ.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლობა, როგორც აღნიშნულია, ორ შტოდ იყოთა: კლარჯეთისა და ტაოსი. ორივე შტო შეიცავს რვა თაობას და მათში მამაკაცთა საერთო რიცხვი 48 უდრის. ამათგან კლარჯეთის შტოში ირიცხება 25 მამაკაცი, ხოლო ტაოსაში 22 (აშოტ I დიდი, ორივე შტოს მამამთავარი, აქ სათვალავში მიღებული არ არის). დედაკაცთა შესახებ ცნობები ცოტა მოგვეპოვება: კლარჯეთის შტოში აღნიშნულია 5; ამდღნივე ტაოს შტოშიც; სახელი არც ერთისა არ ისენიება, გარდა კლარ-

¹ ეტყობა, ეს ამბავი პ. ინგოროვას საფმე ნ. მარის ნაწერებში წაუკითხავს, ან პირადად გაუგონია მისგან თუ მის თანამშრომელთაგან.

ჯეთის შტოის დინარ დედოფლისა. ცოტა რამ ვიცით აგრეთვე ტაო-კლარჯე-თის ბაგრატიონთა ცოლების შესახებ: თუმცა ზოგჯერ აღნიშნულია, თუ ვისი ქალი იყო ამა თუ იმ ბაგრატიონის მეულე, მაგრამ სახელი არც ერთისა დაცული არ არის, გარდა კლარჯეთის შტოის აღარნასე I ცოლის, ბევრე-ლი ისა და გურგენ მეფეთ მეფის ცოლის, გურან დუხტისა. ერთ საუცხოო მოძრულს გულსაკიდ ჯვარს, რომელიც მარტებილის ტაძარში იყო და ახლა მეტების მუხეუმშია დაცული და რომელზედაც სევადით გამოხატულია ჯვარცმა შარიამითა და იოანე ნათლისმცემლითურთ, ასომთავრულით აწერია: „წმიდაო იოანე ნათლისმცემელო, მეოხ ეყავ ხოსრონუშ დეოფალსა, ბაგრატს და დაცვითს“.¹ ეს ჯვარი სტილით IX—X საუკუნეებს ეკუთვნის და ხოსრო-ნუშ დეოფალი (ისე იშოდებოდნენ ტაო-კლარჯეთის მთავრების, ბაგრატიონთა ცოლები), ბაგრატისა და დავითის დედა უნდა იყოს. დავითი და ბაგრატი ერქვათ სახელად კლარჯეთის ბაგრატიონების, როგორც სუმბატ- I მამფალის (+889) ისე სუმბატ III არტანუჯელის (+988) შვილებს და ამი-ტომ ხოსრონუში უნდა იყოს ან სუმბატ I მეულლე, ან სუმბატ III-ისა. საფი-ქრებელია, რომ უფრო უკანასკნელისა იქნებოდა (იხ. ტაბ. II).

ხსენებულ პერიოდში ტაო-კლარჯეთი მოქცეული იყო ბიზანტიის იმპე-რიის გავლენის სფეროში, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად. კულ-ტურის მხრივ ამ ხანას ახასიათებს ელინოფილური მიმართულება, ხოლო პო-ლიტიკურად—ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირი, ან ერთგვარი ვასალობაც კი, თუ ფაქტიურად არა, იურიდიულად მაინც. სხვათა შორის, ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა უმეტესი ნაწილი ატარებდა ბიზან-ტიის სამეფო კარის პატივს. მაგრამ ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება სრული ცნობა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ბიზანტიური საკარისკაცო პატივების შესახებ. ეს იქიდანაც ცხადად ჩანს, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი რამდენისამე ბაგრატიონს იხსენიებს ისეთი ბიზანტიური პატივებით, რომელნიც ჩვენს ქრონი-კებში არ გვხვდება. ამასთანავე ეკლესიათა წარწერებში და ხელნაწერებში ზოგჯერ ვპოულობთ ამა თუ იმ ბაგრატიონის ბიზანტიურ პატივს, რომელიც მატიანეში აღნიშნული არ არის. ამ დროს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ბიზანტიური საკარისკაცო პატივები იყო: პატრიი ანუ პატრიკიოსი, ანთი-პატრიკი ანუ ანტიპატრიკი, ანთიპატოს-პატრიკი, მაგისტროსი და კურა-პალატი. ყველაზე დიდად ითვლებოდა კურაპალატის პატივი, რომელიც მემ-კვიდრეობით გადადიოდა ტაოს ბაგრატიონთა შორის. ბაგრამ მას ყოველთვის უფროსი შვილი კი არ იღებდა, არამედ ის, რომელსაც ძმები ამოირჩევდნენ. მაგალითად, აშოტ პირველი დიდის შვილებმა, უფროსმა, ადარნასე I და უმცროსმა, გუარამ მამთალმა ეს პატივი შუალა ძმის, ბაგრატ I დაუთმეს, რომელიც ლირსებით მეტობდა ძმებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ აშოტ კურაპალატის შთამომავლების რომელსამე თაობას ეს ხარისხი ასცილებოდეს. აშოტ I შემდეგ კურაპალატი იყო, როგორც აღვნიშნეთ, მისი შვილი ბაგრატ I (826—876); შემდეგ ამის შვილი დავით I (876—881); შემდეგ ამ დავითის

¹ იხ. ჩვენი „არქეოლოგიური მოგზაურობაზე“ შენიშვნანი, წიგნი II, გვ. 88. ტფი-ლისი, 1914, ჯვარი სანაწილე ყოფილა, მაგრამ ნაწილები დაცული არ არის.

შვილი ადარნასე II, ქართველთა მეფე (881—923), შემდეგ მისი ორი შვილი—
ჯერ აშოტ IV (923—954) და მერე სუმბატ I (954—958); შემდეგ, მეექვსე
თაობაში, ჯერ ადარნასე III (958—961), ბაგრატ მაგისტროსის, ქართველთა
მეფის შვილი, ხოლო მერე სუმბატ I შვილი, ადარნასე IV (961—983); შემ-
დეგ ადარნასე III შვილი დავით III დიდი კურაპალატი (978), ტაოს მეფე
(+1001) და ბოლოს ბაგრატ III (1001—1014), გურგენ მეფეთ მეფის შვილი,
აფხაზთა და ქართველთა მეფე (იხ. ტაბ. II). კლარჯეთის შტოში მხოლოდ
ორი ბაგრატიონი ატარებდა კურაპალატის ხარისხს: გურგენ I (+891)—
ადარნასე I შვილი, აშოტ I დიდის შვილიშვილი, და გურგენ II, აშოტ კე-
კელას შვილი (იხ. ტაბ. II). კონსტანტინე პორფიროგენეტი ადარნასე III კლარ-
ჯესაც (+945), ბაგრატ I არტანუჯელის შვილს, კურაპალატად იხსენიებს, მაგ-
რამ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ეს შეცდომაა. აგრეთვე შეცდომით უნდა
იყოს აღნიშნული გურგენ II კურაპალატიონი, რადგან კლარჯეთის შტოში ეს
პატივი მოისპონ გურგენ I გარდაცვალების შემდეგ (იხ. ქვემოთ, შენიშვნა მე-16).

საკრისეკაცო პატივის მისანიჭებლად ბიზანტიის იმპერატორები საგან-
გებო ელჩებს გზავნიდენ შესაფერისი ტანისამოსით, სამკაულებითა და საჩუქრე-
ბითურთ. პატივის მინიჭება დიდი ცერემონიით და ზემით ხდებოდა ხოლმე.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ქართული ხარისხებიც სხვადასხვა იყო.
პირველ ყოვლისა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები ერისთავის ხარისხს ატა-
რებდნენ. ეს წოდება იყულისხმება იქაც, სადაც ზოგი მათგანი შემთხვევით
ერისთავად არ არის მოხსენებული. ერისთავი, რომელსაც სხვა ერისთავი თუ
ერისთავები ჰყავდა ვასალებად, ერისთავთ ერისთავად იწოდებოდა. ეს იყო
უდიდესი ხარისხი მეფის ხარისხის შემდეგ.

ოთხიოდე ბაგრატიონი ცნობილია მამფალი და მამფალის ხარისხით. პირველი
იყო გუარამ მამფალი (+882), აშოტ I დიდის ძე. დანარჩენი სამი, ამ ხარის-
ხის მატარებელი, კლარჯეთის შტოს ეკუთვნის. ესენი არიან: სუმბატ I მამ-
ფალი არტანუჯელი (+889) და ორი მისი შვილი: დავით I მამფალი (+943)
და ბაგრატ I მამფალი არტანუჯელი (+909). ბროსეს და მარკვარტის ტაბუ-
ლებზე ამავე პატივით არის მოხსენებული გურგენ I კურაპალატი (+891),
ადარნასე I ძე, კლარჯეთისავე შტოისა, მაგრამ სუმბატი მას მამფალად კი
არ იხსენიებს, არამედ მარტო კურაპალატად.

სიტყვა მამფალი შედგება ორი სიტყვისაგან: „მამა უფალი“. ალბათ
ეს პატივი ერისთავის პატივზე მეტი იყო, ხოლო ერისთავთ ერისთავის პა-
ტივზე ნაკლები და საზოგადოდ უდრიდა მთავარს. სომეხი ისტორიკოსი ასო-
ლიეკი მას უფარდებს არაბულ პატივს „მელიქს“. აზრი, ვითომც „მამფალი“
წარმოსდგება სიტყვა „მეფე“-საგან და ვითომც რადგან ტაოს ბაგრატიონები
არაბების შიშით ვერ ბედავდნენ თავისი თავის მეფედ წოდებას, ამიტომ
ისინი მამფლებად იწოდებიან, მისალები არ არის (იხ. Brosset, „Additions...“
p.148, n.2). აღნიშნული აზრი რომ სწორი იყოს, მაშინ ეს პატივი უნდა ეტა-
რებინათ იმ ბაგრატიონებს, რომელთაც პირველი აღვილი ეჭირათ სხვებს
შორის—მაგ.: ბაგრატ I კურაპალატს, აშოტ დიდის ძეს, ბაგრატის შვილს
დავით I კურაპალატს და სხვებს. ამასვე ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ

ამ პატივით ცნობილი იყვნენ არა ბაგრატიონებიც, მაგ., სამოელ კათალიკოსი მერვე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. წარჩინებული მწერალი ითანე საბანისძე გვაუწყებს, რომ იგი შეუდგა ჰაბო ტფილელის მარტვილობის აღწერას „ბრძანებითა მამთლი ისა და უფლისა სამოელ კათალიკოს ისა“. სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის თქმით, მამთლის წოდება მიუღია სომხის მთავარს დემეტრეს, გაგის ციხის პატრიონს, და მას თავისი შეილი გამოუცხადებია ტაშირის მამფლად; მაგრამ დავით კურაპალატს ეს უკანასკნელი განუდევნია და მისი დინასტიაც მოსამბილა (Brosset—„Additions“..., p. 180).

კლარჯეთის ერისთავები ქრონიკებსა და წარწერებში ზოგჯერ კლარჯთა კელმწიფებად არიან მოხსენებული და ზოგჯერ კლარჯთა მეფებად ად, ხოლო ტაოს ბაგრატიონები მოხსენებული არიან ტაოს მეფებად ად. მაგალითად, სუმბატის ქრონიკაში ვკითხულობთ: „და ამან ბაგრატ კურაპალატმან (იგულისხმება ბაგრატ III. ე. თ.) მოიყვანა (991 წელს. ე. თ.) კლარჯნი კელმწიფენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი“ (მარიამ. ვარიან., გვ. 353)... „და მათნივე შეილი კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშოეს ამათ ქვეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა“ (იქვე).

ოშეის ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებულ კედელზე მოთავსებულია ვედრების კომპოზიციისა და ეკლესიის მაშენებელთა ბარელიფები. ვედრების ბარელიფებს შემდეგი საერთო წარწერა აქვს:

„იესუ ქრისტე... ადიდენ მეფენი ჩუენნი წინაშე შენსა, მაშენებელნი ამის ეკლესიისანი, ბაგრატ ერისთავთა ერისთავი და დავით მაგისტროსი, ამინ“.

მაშენებელთა თითოეულს ქანდაკებას კიდევ ცალ-ცალკე წარწერები მოეპოვება. ერთს აწერია:

„მონაც ღმრთისაც მეფე ჩუენი დავით მაგისტროსი ადიდენინ ღმერთშან ორთავე ცხორებათა, მაშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისა, ამინ“.

იგივე სიტყვები განმეორებულია მეორე მაშენებლის ქანდაკების წარწერაში:

„მონაც ღმრთისაც მეფე ჩუენი ბაგრატ ერისთავთ ერისთავი ადიდენინ ღმერთმან ორთავე ცხორებათა, მაშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისა, ამინ“.

წარწერებში იგულისხმებიან დავით ლილი, შემდეგ ტაოს კურაპალატი (+1001) და ბაგრატ ერისთავთ ერისთავი (+966), ძენი ადარნასე III მაგისტროს-კურაპალატისა.

დავით კურაპალატის შესახებ „მატიანე ქართლისად“ მოგვითხრობს:

„ესე დავით კურაპალატი უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოს თა“ (მარიამ. ვარიან., გვ. 237).

ღოლისყანის ეკლესიას (კლარჯეთში), სუმბატ I მიერ აშენებულს, აწერია: „ქრისტე ადიდე მეფე ჩუენი სუმბატ მზეგრძელობით“.

ამავე სუმბატს იხსენიებს ჯრუჭის სახარების მინაწერი 936 წლისა:

„ლირს ვიქმენ მე გრიგოლ დაწერად წმინდა ესე სახარება შატბერდს კულითა გაბრიელ მღულელთა ნარჩევისათა მეფისა ჩემისა სუმბატის სალოცველად“.

უველა ამ საბუთში მოხსენებული არიან ადგილობრივი მმართველები — „კლარჯთა კელმწიფენი“, „კლარჯთა მეფენი“ და „მეფენი ტაოსნი“ და არა საზოგადოდ „ქართველთა მეფენი“. ეს ორი ტერმინი არ უნდა აურიოთ ერთმანეთში, როგორც ამას სჩადის ვახტანგ შეფის კომისია. შესწორებულ ქართლის ცხოვრებაში ზოგიერთი კურაპალატი ბაგრატიონი ქართველთა მეფედ არის მიჩნეული და ამას იმპორტებენ ვახუშტიცა და ბროსეც. მაგალითად, ბაგრატ I კურაპალატი (+867), აშოტ I დიდის ძე, მისი შეილი დავით I კურაპალატი (+881) და სუმბატ I კურაპალატი (+958), ადარნასე II ქართველთა მეფის ძე, იქ ქართველთა მეფეებად არიან გამოცხადებული¹. მაგრამ ეს მხოლოდ გაუგებრობაზეა დამყარებული და ამიტომ ჩვენს ტაბულაზე, რა თქმა უნდა, ამას არ ვიცავთ, წინააღმდეგ ბროსეს და ვახუშტის ჩვენებისა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის „ქართველთა მეფის“ ხარისხი პირველად მიიღო—899 წელს და მეფედაც ეკურთხა — ადარნასე II კურაპალატმა (+923), დავით I კურაპალატის ძემ. მეორე ქართველთა მეფე იყო ამ პირველი მეფის შეილი, დავით I (923-937). ეს დავითი ერისთავთა შორის არის დავით II, ხოლო მეფეთა შორის დავით I, ქართველთა მეფე, და არა დავით I კურაპალატი (+881), ბაგრატ I კურაპალატის ძე. ამათ შემდეგ 958 წლამდის თითქოს ჩანდა უმეფობის ხანა, რომლის განმავლობაშიც მთავრებად იყვნენ დავით I მეფის ძმები: ბაგრატ II მაგისტროსი (+945), აშოტ IV კურაპალატი (+954) და სუმბატ I კურაპალატი (+958). მაგრამ ჩვენ მიერ იშხნის ტაძარში აღმოჩენილი ფრესკები წარწერა ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს. აქ, დასავლეთის კედელზე, შიგნით, სხვათა შორის, დახატული ყოფილა ბაგრატ II მაგისტროსის სურათი. სურათი სრულიად მოშლილია, მაგრამ დახატულის ვინაობის მაუწყებელი შეეული წითელფერადოვანი ასომთავრული წარწერა კარგად არის დაცული და ასე იკითხება (ქარაგმების გახსნით):

„ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე“.

აქედან ცხადი ხდება, რომ დავით I ქართველთა მეფის შემდეგ ქართველთა მეფედ ყოფილა მისი ძმა ბაგრატ I მაგისტროსი, და ამ ბაგრატ II მეფობა მოღის 937—945 წლებში. ეს არის რიგით მესამე „ქართველთა მეფე“ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის, ხოლო ტაოს ერისთავთა შორის (სანამ მეფობას მიიღებდა) — ბაგრატ II მაგისტროსი. ბაგრატის სახელის მქონე მეფეთა შორის კი ამიერიდან სწორედ ბაგრატ მაგისტროსი უნდა ჩაითვალოს ბაგრატ I ქართველთა მეფედ და არა ბაგრატ I კურაპალატი (+876), აშოტ დიდის ძე, რომელიც, როგორც აღვინშეთ, ქართველთა მეფე არ ყოფილა. ასე რომ დღესდღეობით უმეფობა უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ

¹ იბ. ეართლ. ცხოვრ., ტ. I, ბროსეს გამოცემა, გვ. 192, 201 და ვახუშტის ისტორია, გვ. 124, 128.

945—958 წლებში, აშოტ IV კურაპალატისა (945—954) და სუმბატ I კურაპალატის (954—958) დროს. ჩვენ არ ვიცით, მართლაც ატარებდა თუ არა სუმბატ I ქართველთა მეფის ხარისხს თავისი კურაპალატობის დროს, როგორც ეს აქვთ აღნიშნული ვახუშტი ბატონიშვილსა და ბროსეს; ჯერ ამის დამატეკიცებელი საბუთი არსადა ჩანს. ჩვენ ვიცით მხოლოდ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რომ გიორგი მერჩული 951 წელს მას იხსენიებს ერისთავთ ერისთავის პატივით. ამას გარდა ჩვენ მიერ აღმოჩენილ მეორე დიდ საყურადღებო წარწერაში, იშხნის ეკლესიის ჩრდილო ეკვდრის კედელზე რომაა შიგნით, სუმბატ I მოხსენებულია ანთიპატრიკის ანუ ანთიპატოს. პატრიკის წოდებით, დაახლოვებით 954—955 წლებში, კურაპალატობის მიღებამდის. ხოლო რაც შეეხება აშოტ IV კურაპალატის დროს (945—954), მაშინ კი უმეფობა დადასტურებულია. ამას ამტკიცებს გიორგი მერჩული, რომელიც მეფეს კი არ იხსენიებს, არამედ გადმოგვცემს, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება მან დასწერა 951 წელს, „ქართველთა ზედა მთავრობა—სა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადრნესე ქართველთა მეფისასა“ (გვ. 3). რა იყო მიზეზი, რომ ასე ცნობილი და წარჩინებული კურაპალატები, „ქართველთა ზედა მთავარნი“, აშოტ IV და სუმბატ I ქართველთა მეფენი ვერ გახდნენ, ჯერჯერობით გამოუკვლეველი რჩება, მაგრამ შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ბიზანტიის იმპერატორის უთანხმოება. მეფეს თვით ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები და სხვა ქართველი დიდებულები ირჩევდნენ, მაგრამ საჭირო იყო დასტური და თანხმობა ბიზანტიის მეფისა, ხოლო ზოგჯერ არაბთა ხალიფებისაც (როდესაც ამ უკანასკნელთა გავლენა ვრცელდებოდა საქართველოზე). ჩვენ ვიცით, თუ როგორ წინააღმდეგობას უწევდნენ აშოტ IV კურაპალატი და მისი ძმები ბიზანტიის იმპერატორებს, როგორ გამოგლიჯეს მათ ხელიდან ბასიანი და აიძულეს ისინი ხელი აელოთ არტანუჯზე. არა თუ მეფობა, კურაპალატობაც აშოტს შედარებით გვიან უნდა მიეღო და არა 923 წელს, როდესაც მამა მისი, ადარნასე II ქართველთა მეფე გარდაიცვალა. ამას გვათიქრებინებს შემდეგი გარემოება: როგორც აღვნიშნეთ, აშოტ IV-მ კურაპალატობა და გურგენ დიდმა, ერისთავთ ერისთავმა, მაგისტროსობა ერთსადაიმავე წელს და ერთისადაიმავე ელჩის, კონსტანტის ხელით მიიღეს, მაგრამ კონსტანტი წარმოგზავნილი იყო ივერიაში არა აშოტისათვის კურაპალატობის მისანიშებლად, არამედ მხოლოდ გურგენისათვის მაგისტროსობის მისანიშებლად. კონსტანტიმ აშოტისათვის კურაპალატობის მინიშების ბრძანება მაშინ მიიღო, როდესაც ის უკვე ივერიაში იყო და როდესაც იმპერატორს მუქარის წერილი მიუვიდა დავით მაგისტროსისაგან და დიდი გურგენისაგან. ეს ამ მუქარის შედეგი იყო. იმპერატორი დარწმუნდა, რომ კურაპალატობას აშოტს ვეღარ ააცილებდა, მით უმეტეს, რომ მაგისტროსობის ახლად მიმღებმა გურგენმაც, ყველაზე მხედარ და ახოვანმა, ამ მუქარის წერილს ხელი მოაწერა. შეშინებულმა იმპერატორმა ყველაფერი დასთმო და ამით დაამშეიდა მოსალოდნელი ძლიერი მტრები.

კურაპალატობა ტაოს ბაგრატიონთა შორის აშოტ I დიდიდან დაწყებული მემკვიდრეობით გადადიოდა, მაგრამ იმპერატორს არ მიუნიჭებია კურაპალატობა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც დავით II ქართველთა მეფისათვის (923—937), რომელსაც მხოლოდ მაგისტროსის პატივი ჰქონდა და არც მისი ძმის, ბაგრატ II მაგისტროსისათვის, რომელიც აგრეთვე ქართველთა მეფე ყოფილა. ამიტომ უნდა ვითქმიეროთ, რომ როგორც დავითი, ისე ბაგრატიც ეჭვის თვალით შეხვდნენ კონსტანტის მოსკოვს ტაო-კლარჯეთში; იმპერატორს ხომ არ სურს ჩვენს შთამომავლობას ააცილოს და გურგენ ერისთავთ ერისთავს მინიჭის კურაპალატობა, ესე იგი კლარჯეთის შტოში გადაიტანოს. ამ შტოში გურგენ I კურაპალატის შემდეგ კურაპალატობა არავის არა ჰქონია და გურგენ II-ს კურაპალატად მიჩნევა, როგორც აღვნიშნეთ, შეცდომაა; თუმცა კონსტანტინე პორტიოროგენეტი ადარნას ეს III კლარჯს კურაპალატად იხსენიებს, მაგრამ, როგორც ზემოთ გამოვარჯვიეთ, ესეც ისეთივე შეცდომაა, როგორიც ის, თითქოს ადარნას II ქართველთა მეფისა და კურაპალატის ოთხი შვილი ამ ადარნას ეს III კლარჯის შვილები ყოფილიყვნენ. ამ შეცდომის შედეგია ადარნას ეს III კლარჯის კურაპალატად მოხსენიებაც. ეტყობა, კურაპალატის ხარისხისათვის ძმების მიერ აშოტი ყოფილა დასახული და იმპერატორიც იძულებული გამხდარა მისთვის მიენიჭებინა ეს ხარისხი. ეს ამბავი მომხდარა დავით მიგისტროსის, ქართველთა მეფის, სიცოცხლეში, სახელდობრ, უნდა ვითქმიეროთ, მისი მეფობის უკანასკნელ წლებში. შემდეგ შეფობდა მისი ძმა ბაგრატ I მაგისტროსი (937—945) და მის დროს ეკუთვნის გამწვავებული ომები ბერძნებისა და არაბებისა ბასიანში და ტაოს ბაგრატიონების, ესე იგი აშოტ IV კურაპალატისა და მისი ძმების, ენერგიული ჩარევა ამ ბრძოლაში.

ბაგრატ მაგისტროსმა პირადად მიიღო მონაწილეობა ერთ ბრძოლაში ბერძნების მხარეზე. ამის სამაგიეროდ, „სანუქფოდ“ მან მოითხოვა და კიდევაც მიიღო ციხე მას ტატი, რომელიც შემდეგ დაუბრუნა თეოდოსიოპოლელებს, ესე იგი დღევანდელი არზრუმის მცხოვრებთ, ხოლო ბერძნთა მიერ არზრუმის დაპყრობის შემდეგ კი აშოტ კურაპალატი და ივერიელები დაეპატრონენ ამ ქალაქს („Additions...“, p. p. 147—148). ამით აიხსნება იმპერატორის უკაყოფილება აშოტ კურაპალატის მიმართ და, რა თქმა უნდა, ის წინააღმდეგი იქნებოდა, რომ აშოტს მიეღო ქართველთა მეფის წოდება ბაგრატ მაგისტროსის შემდეგ.

ასეა თუ ისე, უმეტობა საქართველოში 945—958 წლებში ცხადია. მაგრამ ამ უმეტობას, რა თქმა უნდა, დიდი რამ არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონია, რადგან პოლიტიკის მეთაური ფაქტიურად კურაპალატები იყვნენ.

ქართველთა შეოთხე მეუე იყო ბაგრატ II რეგვენი, სუმბატ I კურაპალატის ძე, რომელიც მანის სიცოცხლეში ერისთავთ ერისთავი იყო, ხოლო შემდეგ ქართველთა მეფე (958—994). მის დროსაც აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტიური გამგე და პოლიტიკური მეთაური დავით კურაპალატი იყო.

ქართველთა მეუე მეუე იყო ამ ბაგრატ რეგვენის შვილი გურგენი, რომელსაც ცოლად ჰყავდა აფხაზთა მეფის გიორგი II ასული გურანდუხტი.

გურგენისა და გურანდუხტის შვილი ბაგრატი 978 წ. გახდა აფხაზთა მეფე. ამიტომ მამა-მისმა გურგენმა, რომელიც გაცილებით უფრო გვიან, 994 წელს გამეფდა, გამეფებისთანვე მიიღო მეფეთ მეფის წოდება. ეს იყო პირველი „მეფეთ მეფე“ საქართველოში (994—1008). მისი შვილი ბაგრატი აფხაზთა მეფებს შორის რიგით იყო ბაგრატ II, მაგრამ მან მამის სიცოცხლეშივე, დავათ დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) ქართლის კურაპალატის წოდებაც მიიღო, ხოლო მამის სიკედილის შემდეგ, 1008 წელს, იგი ქართველთა მეფეც გახდა. ამრიგად გაერთიანდა აფხაზთა და ქართველთა სამეფოები, ამიერკავკასიის ორი უდიდესი და უმთავრესი სა-მეფო, რომელიც ჩამოყალიბდნენ ერთიან საქართველოს სამეფოდ.

ქართველთ მეფებს შორის ბაგრატი არის რიგით ბაგრატ III. მან მიიღო წოდება „მეფე აფხაზთა და ქართველთა“ და შისგან მომდინარეობენ ყველა შემდეგი მეფენი აფხაზ-ქართველებისა. ამ ბაგრატს ეკუთვნის ე. წ. „მეფეთა დივანი“, ჩვენამდის მცირე დაზიანებით მოლწეული, რომელსაც ანტიოქიის პატრიარქი დასითეონი „ბაგრატის აფხაზთა ისტორიას“ უწოდებს. ეს საყურადღებო სიგელი ბაგრატს გამოუცია მამის სიკვდილის შემდეგ, 1008 წელს (გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ, იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, ფრანგული თარიღმანი იხ. „Journal Asiatique“, CCX, 1927, p.p. 357—368, ხოლო რუსული—თბილისურ ეურნალში „Ars“, 1918; № 2—3, გვ. 62—70). რათა გავითვალისწინოთ, თუ რამ აიძულა ბაგრატი ეს აქტი გამოეცა, უნდა გავიხსენოთ, რომ აფხაზეთი იყო ამიერკავკასიის უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნოდა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთ სა-ქართველოს უმეტესი ნაწილი, და ამ უკანასკნელს განაგებდნენ აფხაზთა მეფის-წულები. იმის ნათელსაყოფალ, თუ საღამდის აღწევდა. მათი ძალა-უფლება, საქმარისია გავიხსენოთ, რომ სამშვილდის საუკეთესო ეკლესიის, ანუ, ბარტოლომეის სიტყვით, კათედრალის, შენება დაწყებულია აფხაზთა მეფის კონსტანტინეს მეფობის მეოკე წელს, ე. ი. 893 წელს და დამთავრებულია აფხაზთა მეფის ლეონ II მეფობის მესამე წელს, ე. ი. 960 წელს (იხ. ჩვენი „Αρχεοποιητικες εκσκυρσιи, разыскания и заметки, ტ. II, გვ. 42—43). იმავე აფხაზთა მეფეს ლეონ II ეკუთვნის აშენება შესანიშნავი კუმურდოს ეკლესიისა ჯავახეთის ახალქალაქის მახლობლად, 964 წელს. მოსალოდნელი იყო, რომ ამიერკავკასიის სამთავროები აფხაზთა სამეფოს ხელვეით გაერთიანდებოდნენ, მაგრამ მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, 975 წელს, როდესაც, დემეტრე II გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმა, მის მიერ დაბრმავებული თეოდოსი II გამეფდა, აფხაზეთში არეულობა დაიწყო, ქვეყანა გაირყვნა და სახელმწიფო განსაკუდელში ჩავარდა. ამით ისარგებლა ქართლის ერისთავება იოანე მარუშიძემ, რომელიც თავგამოდებით იცავდა საქართველოს გაერთიანების საქმეს. იგი შეუთანხმდა აფხაზთა დიდებულებს და მათთან ერთად გამოითხოვა დავით კურაპალატისაგან მისი შვილობილი, თეოდოსი II დისწული ბაგრატი და იგი დასვა აფხაზთა მეფედ თეოდოსის მაგიერ 978 წელს. ბაგრატმა დიდი სახელმწიფო ნიჭი გამოიჩინა, წესრიგი დაამყარა და ქვეყანა დაამშეიდა. მაგრამ, როცა 1008 წელს მამა-მისი გარდაიცვალა, ბაგრატი, მემკვიდრეობით

გახდა ქართველთა მეფე და აფხაზთა სამეფოს მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა. გაერთიანებულ აფხაზეთ-ქართლის სამეფოში მეთაურობა და ძალაუფლება ქართლელების ხელში გადავიდა და სათავეში მოექცა მათი ბაგრატიონების დინასტია, რომელთა სატახტო ქალაქი ქუთაისი გახდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, აფხაზეთმა სუვერენობა დაპყარგა და მანამდე თავისუფალი სახელმწიფო გახდა საქართველოს ნაწილი, საქართველოს პროვინცია. ამას, რა თქმა უნდა, აფხაზეთის შეგნებული დიდებულები ვერ შეუჩიგდებოდნენ, უნდა დაწყებულიყო უქმაყოფილება და ასე თუ ისე მოძრაობაც სუვერენობის აღსაღენად, რათა აფხაზეთს კვლავ პყოლოდა საკუთარი მეფე და იგი დარჩენილიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამან გამოიწვია ბაგრატის მიერ ზემოსხენებული სიგელის, ანუ, თანამედროვე ტურმინი რომ ვიმართო, მანი ფესტივალის გამოცემა, რომელშიც მას მოჰყავს სია ჯერ აფხაზეთის ერისთავების თუ მმართველებისა ბიზანტიის ხელქვეთ, შემდევ აფხაზთა მეფების ნუსხა, იმის ჩვენებით, თუ თითოეულმა რამდენ წელს იმედა, და ათავებს იმით, რომ თეოდოსი II შემდევ მან იპყრა აფხაზეთი, როგორც თავისი დედულეთი და ღმერთმან უწყის, თუ რამდენ წელს იმედებს იგი. ეს, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარი მანი ფესტივალი, რომლითაც ბაგრატი ამცნებს, თუ ვინ იყენენ მისი წინაპარნი აფხაზეთში და აცხადებს საყოველთაოდ, რომ ის უზურპატორი არ არის, და რომ, აფხაზეთი მან მიიღო კანონიერი მემკვიდრეობით, როგორც თავისი დედულეთი.

როგორც აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მბრძანებლობის ხანა დაიწყო აშოტ I კურაპალატიდან და ეს ხანა დამთავრდა ბაგრატ III დროს, 1008 წელს, კურგენ მეფეთ მეფის გარდაცვალებით. ამიერიდან უკვდარ არიან „კლარჯთა კელმწიფენი“, ანუ „კლარჯთა მეფენი“, აღარც „მეფენი ტაოსი“ და აღარც „ქართველთა მეფენი“. არის მარტოოდენ „საქართველოს მეფე“.

ბაგრატ III გასაოცარი ენერგიის პატრონი იყო, მხნე და ახოვანი, შეუპოვარი, სასტიკი, გამსჭვალული მხოლოდ ერთი მიზნით, ერთი აზრით, ერთი იდეით—შემოეკრიბა თავისი სკიპტრის ქვეშ საქართველოს განცალკევებული პატარა სამეფონი თუ საერისთაონი, დაემორჩილებინა უძლიერესი ფეოდალები და აელაგმა ღალატსა და წინააღმდეგობას მიჩვეული აზნაურები. საზოგადოდ სახელმწიფოს დაქუცმაცებული ნაწილების შემკრებელნი და ეროვნული სამთავროების გამაერთიანებელნი ყოველთვის და ყველა ერის ისტორიაში „ულმობელნი და სასტიკინი“ იყენენ; ისინი არავითარ ღონესა და საშუალებას არ ერიდებოლნენ თავიანთი მიზნის მისაღწევად. ასეთი იყო ბაგრატ მესამეც, რომელმაც მოსპო ყველა სხვა ბაგრატიონები, ისე რომ გურგენ მეფეთ მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1008 წელს, ხელისუფლების მქონე ბაგრატიონთაგან საქართველოში აღარივინა ჩანს, გარდა თვით ბაგრატისა და მისი შვილის გიორგი I-სა. საქართველოს შემდეგი მეფენი ყველანი ამათგან მომდინარეობენ.

ამის გამო სამართლიანი იქნება, თუ ჩვენს ისტორიაში მას ეწოდება :ბაგრატ III, დიდი, საქართველოს გამაერთიანებელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ლეაჭლი უკონომიური, ნივთიერი კულტურის დარგში.

ერთი მხრით გაუთავებელი ომები და მეორე მხრით კი დიდძალი საუცხოო ნაგებობანი, ცახები, კოშები, ქვითკირის ხიდები, სარწყავი სისტემები, უამ-რავი ეკლესია-მონასტრები, რომელიც ასე უხვადაა მოფენილი მთელი ტაო-კლარჯეთი და რომელთაც განკუთრებაში მოჰყავთ დღესაც მნახველი, დიდალ ჩესურსებს და თანხებს თხოულობდა. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებმა შესძლეს მათი დაგროვება. მათი უნარით და მეცადინეობით ეს მეაც-რი მთიანეთი წალკოტად იქცა, ლრმა ხევები და მათში ზოგ ადგილას მოქ-ცული ფართობები ბალებმა მოიცავა, მთის ფერდობები ტერასებად დამუშავდა და ყანებად იქცა. სარწყავი სასტემა, დიდი მასშტაბითა და საუცხოო ხერ-ხით მოწყობილი, მოედო მთელს ქვეყანას. წყალი მალალ გორებზედაც კი აჰყავდათ და ლარებით ერთი გორიდან მეორეზე გადაჭყავდათ. მას უშევებ-ლნენ ტერასებზე, კლდეებში გაყვანილი იყო არხები და სხვ. საზაფხულო და საზამთრო საძოვრები ჯოგების მოშენების საშუალებას იძლეოდა და მეჯო-გეობა კიდევაც დიდი მასშტაბით იყო განეითარებული.

მაგრამ ყველაფერი ეს საქმაო არ იყო: თავი და თავი სახსარი ვაჭრო-ბასა და ალებ-მიცემობას შემოჰქონდა. ჩვენ უკვე ალენიშნეთ, კონსტანტინე პირთულოვენეტის ცნობების მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს ცა-ხე-ქალაქი არტანუჯი, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ცენტრად არის დასახული. აქ ტრიალებდა მსოფლიო კაპიტალი, უალრესად განვითარებული იყო ალებ-მიცემობა და ამას შემოჰქონდა დიდძალი ბაჟი. ამით შესძლეს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებმა მოეფინათ მთელი თავისი ტერიტორია პირველხარისხოვანი ძეგლებით, რომელთა შორის აღსანიშნავია: ბანა, ოპიზა, შატებერდი (ახლა პორტა), ტბეთი, იშხანი, ოში, ხახული, დო-ლისყანა, პარხალი, ტაოსკარის ეკლესია და სხვა უამრავი ნაგებობა.

ბანას მრგვალი ტაძარი, აგებული IX—X საუკუნეთა მიჯნაზე, ადარნასე II ქართველთა მეფის მიერ, თავისი სილიდით და სიმშვერიერით პირველხარის-ხოვანი ძეგლი იყო მთელს საქართველოში. იგივე ღალადებს სამშენებლო ტექ-ნიკის საოცარ განვითარებას იმ დროის ტაო-კლარჯეთში. მისი გეგმის წინა-მორბედი ტაძრები—ტაოში იშხანის თავდაპირველი ნაგებობა და სომხეთში ზეარტონცი—დღემოკლე აღმოჩნდნენ, მათ ორ საუკუნეზე მეტი ვერ გასძლეს და დაირღვნენ. ჯეროვანი ტაძრის აგებას ყოველთვის მიზნად ჰქონდა მისი დიდხანს გამძლეობა. მაგ., აია-სოფიის ტაძარი კონსტანტინეპოლში მარტო თავისი იდეალური შინაგანი პროპორციით და სილამაზით კი არ არის შესა-ნიშნავი, არამედ იმითაც, რომ ის ტექნიკურად ისე მტკიცედაა ნაგები, რომ უამთა ტრიალმა ვერ მოშალა. ასევე მტკიცედ იდგა ბანაც, მანამ მას თურ-ქები ციხე-სიმაგრედ გადააქცევდნენ (ყირიმის მისი დროს) და ახალი, სამაგ-რის კედლებით დატვირთავდნენ. ამის შემდეგაც მან XIX საუკუნის ბოლომდის გასძლო. ასეთ სიმტკიცეს ბანას ამშენებელმა ოსტატმა მიაღწია აღმოსავლეთი

და დასაცლეთი აფსიდების კუთხეებში ოთხი კოშკის მსგავსი ბურჯის ამოყვანით. ამ ბურჯებში მოწყობილი ოთახები (სამ-სამი თითოში), ლოჟების მსგავსად, კამარებით გამოდიოდნენ ტაძარში და სიმტკიცესთან ერთად დიდ შენოს აძლევდნენ მთელ ნაგებობას. ეს იყო გენიალური გარდაქმნა მანამდე არსებული ამგვარი ტაძრების გეგმისა. მართლია ხუროთმოძღვარი ნ. სევეროვი, როდესაც ამბობს: „Бана была построена позже Звартноца, причем строители Баны учли печальную опыт Звартноца“ (Н. П. Северов, „Памятники грузинского зодчества“, Москва, 1947 г., стр. 181—190).

გარდა ხუროთმოძღვრებისა, იმ დროის ტაო-კლარჯეთში დიდად წარმატებულია კულტურის საერთოდ გველა დარგი (მწერლობა და სხვ.), როგორც თანდათან უფრო მკაფიოდ ირკვევა და მზეურდება საბჭოთა მეცნიერების დაულალავი კვლევა-ძიების შედეგად.

გაგრამ ეს გარემოება ისედაც ცნობილია და ჩვენ აქ მასზე აღარ შევჩერდებით, ოღონდ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა პოლიტიკური უნარი, გამჭრიახობა და საჭიროებისას ერთსულოვნება.

ცნობილია, თუ რა მცდარ პოლიტიკას ადგა ბიზანტიის ხელისუფლება სომხეთისა და საქართველოს მიმართ. იმის მაგიერ, რომ მას ეს სამეფონი გაემაგრებინა და ექცია აღმოსავლეთ ბუფერად აზიის მოზღვავებული ურდოების წინააღმდეგ, ბიზანტია სულ იმის ცდაში იყო, რომ მოესპონ ეს სახელმწიფონი და მათი ანექსია მოეხდინა. სომხეთში მათ ეს გაუვიდათ, მაგრამ ქართლში და შემდეგ საქართველოში კი ერ შესძლეს. საკეირველ მოვლენას ვხედავთ: იმ დროს, როდესაც სომხეთში სამთავროები და სამეფონი ისპობიან, საქართველოში ისინი ერთიანდებიან, ძალას იქრებენ და თანდათან ამიერკავკასიის იმპერიის შექმნისაკენ მიისწრაფიან და ბოლოს, XII საუკუნეში კიდევაც აღწევენ ამ წარმატებას. მართალია, სომხეთს ბევრად უარესი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, ვიდრე საქართველოს, მაგრამ მარტო ამით არ იხსნება სომხეთის სამეფოთა კატასტროფა და მოსპობა XI საუკუნეში. სომხეთის ბაგრატიონებმა ვერ შესძლეს აელაგმათ გამცემი და მოლალტე დიდებულები და ეკლესიის მეთაურნი, რომლებმაც გაპყიდეს თავიანთი მეფეები. ჯერ იყო და ვასპურაკანის მეფემ სენაქერიმმა, სომეხთა პატრიარქის პეტრეს რჩევით, 1022 წელს თავისი სამეფო ბიზანტიას დაუთმო და სამაგიეროდ მიიღო პატარა პროვინცია სებასტია, საღაც ის გარდაიცვალა 1027 წელს, ხოლო მიისი შთამომავლობა სელჯუკებმა მოსპეს იქ, 1075 წელს. შემდეგ ჯერი მიღავა ანისის სამეფოზე, საღაც იმ დროს მეფე იყო სულ ახალგაზრდა, მაგრამ შეგნებული და მხედე გაგიქ II (1040—1045), რომელსაც ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა ძალით ვერაფერი დააკლო, მის მიერ მოსყიდულმა დიდებულებმა და პატრიარქმა პეტრემ აიძულეს. მეფე წასულიყო კონსტანტინეპოლიში, კითომც მეგობრობისათვის და ანისის სახელმწიფოს მისთვის და მისი შთამომავლობისათვის დასამტკიცებლად, მაგრამ გაგიქ II იქ დაატუსაღეს და აიძულეს ფორმალურად დაეთმო ანისის სამეფო ბიზანტიისათვის. სანაცვლოდ გაგიქმა მიიღო პატარა ქალაქი ბიზ უკაპალოვიაში. იქ მას და მის შეიღებს ფანატიკოსმა ბიზანტიელმა მცხოვრებ-

ლეგმა ბოლო მოულეს 1079 წელს. დასასრულ, 1064 წ. ყარსის მეფემ გაგიკ აბასის ძემ დასამო, სელჯუკთა შიშით, თავისი სამეფო და გადასახლდა ბიზანტიაში. ამრიგად, XI საუკუნეში ამიერკავკასიაში სამუდამოდ მოისამ სომებთა სამეფონი. მათთან ერთად გაქრენენ მათი მეფენი, სომები ბაგრატიონები, რომელთა ხელმწიფობამ სომხეთში სულ 2 საუკუნეს გასტანა¹.

მოღალატე დიდებულები და გამცემელი ეპისკოპოსები საქართველოშიც არა ნაკლები იყო, ვიდრე სომხეთში, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ბაგრატიონთა სამეფოების მოსპობა საქართველოში. გავიხსენოთ, თუ როგორ ულალატა ბანელმა ეპისკოპოსმა მეფე ბაგრატ IV და როგორ მიემსრო იგი ბიზანტიის იმპერატორს, მაგრამ სამაგიეროდ ტბეთის ეპისკოპოზმა საბამ უერთველა ბაგრატს, ხელად ააშენა სიმაგრე „სვეტი“ და ობიზის ეპისკოპოზთან ერთად, შავშეთის მცხოვრებთა დახმარებით და თავისივე საჩლოლობით მედგრად გაუმჯლადა ბიზანტიის ჯარს². გავიხსენოთ შემდეგ, თუ როგორ გადუდგა იმავე ბაგრატს ყველაზე ძლევამოსილი ფეოდალი ლიპარიტ რაბელიანი, რომელიც ერთ დროს ფაქტიური მეფეც იყო საქართველოსი, თუმცა თავისი თავის მეფედ გამოცხადება ვერ გაბედა. ბოლოს და ბოლოს ბაგრატმა შესძლო მისი დამორჩილება და იძულებული გახდა იგი ბერობა მიეღო და პოლიტიკას ჩამოშორებოდა.

ამგვარი მაგალითები ბევრი იყო საქართველოს სამეფოში, მაგრამ საქართველოს ბაგრატიონთა უნარიანი, გაბედული და მოქნილი პოლიტიკით ხელი დაბული დინასტია გადაურჩა თავის სომებ თანამომეთა საუალალო ბერს.

ბაგრატ ონთა ხელისუფლება და მეფობა საქართველოში დაშარდა მე-9 საუკუნის დამდევს და გაგრძელდა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, ესე იგი შრულ 10 საუკუნეს იარსება.

¹ Jacques de Morgan—„Histoire du peuple Arménien“. Paris, MCMXIX, p. p, 150—152; Kevork Aslan—„Études historiques sur le peuple Arménien“. Paris, 1928. p. p. 323—326.

² უნდა ეითიქროთ, რომ ამის შემდევ მიენიჭა ტბეთის ეპისკოპოს შავშეთის ერისთავის უფლება, რასაც ცხადად ამტკიცებს „ხელმწიფის კარის გარიგება“ (იხ. ჩვენი გამოცემა, 1920 წ. გვ. 15), რომელშიც ვკითხულობთ: „მტკევეარსა ხედა დარბაძს მისსა საჯდომისა უკანით, მისსა მოლარეთუსუკესსა ფარი და ხმალი აქვთ უკანით, ამად რომე ერისთავიც არის შავშეთისა“. ეს ხომ ერთად ერთი მაგალითია, რომ ეპისკოპოსი ერისთავადაც ითვლება. თვით მას, როგორც სამღვდელო პირს, არ შეჟენოდა საკურვლის დაკერა და ამიტომ ედგა უკან მოლარეთუსუკესი ფარით და ხმალით.

II. ცუმართ დავითის ძის ძრონიკის სათაფრი:

ცეორეგა¹ და უფრეგა ბაზრატონიათია, ჩუენ
შართველთა გეფეთასა, თუ საღით² მოიჭივეს
ამას ქუჩანასა იგინი, ანუ რომელით³ უამითგან
უპარის მათ გეფეთა შართლისა, რომელი აღწერა
ცუმართ, ძემან დავითისაგან.

¹ მჩ. ცხოვრება.

² მჩ. სადათ.

³ მჩ. რომლითა.

ზემოქმდებანი:

მ—მარიამისეული ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა.
მჩ—მაჩაბლისეული ვარიანტი " "
ან—ანასეული ვარიანტი " "
გლ—ჭალაშვილისეული ვარიანტი " "
თ—თეიბერაზისეული ვარიანტი " "
< ეს ნიშანი აღნიშვნას სიტყვას თუ სიტყვებს, რომელიც ამ თუ იმ ვარიანტს აკლია ძირითადთან შედარებით.
+ უმაღლებს სიტყვას თუ სიტყვებს, რომელიც ამა თუ იმ ვარიანტს აკლია.

III. ରହିବାକିର୍ତ୍ତମାନ ପାଇସଟର

ტექსტი პარაგრაფებად ჩვენ მიერ არის დაყოფილი.

- ს 1. 1. ადამ შვა სეით,
2. სეით შვა ენოს,
3. ენოს შვა კაინან,
4. კაინინ შვა მალელ,
5. მალელ შვა იარედ,
6. იარედ შვა ეროქ,
7. ენოქ შვა მათუსალა,
8. მათუსალა შვა ლამექ,
9. ლამექ შვა ნოე,
10. ნოე შვა სემ,
11. სემ შვა არფაქსად,
12. არფაქსად შვა კაინან,
13. კაინან შვა სალა,
14. სალა შვა ეგერი,
15. ეგერი შვა ფალეგ,
16. ფალეგ შვა რაგავ,
17. რაგავ შვა სერუქ,
18. სერუქ შვა ნაქორ,
19. ნაქორ შვა თარა,
20. თარა შვა აბრამ,
21. აბრამ წვა ისაკ,
22. ისაკ შვა იაკობ,
23. იაკობ შვა იუდა,
24. იუდა შვა ფარეზ,
25. ფარეზ შვა ესრომ,
26. ესრომ შვა [სარამ] ¹,
27. არამ შვა ამინადაბ,
28. ამინადაბ შვა ნაასონ,
29. ნაასონ შვა სალმონ,
30. სალმონ შვა ბოოს,
31. ბოოს შვა იობეთ.

32. იობეთ შვა იესე,
33. იესე შვა დავით მეფე,
34. დავით მეფემან შვა სოლომონი,
35. სოლომონ? შვა რობუამ,
36. რობუამ შვა აბია,
37. აბია შვა ასაფ,
38. ასაფ შვა იოსაფარტ,
39. იოსაფარტ შვა იორამ,
40. იორამ შვა ოზია,
41. ოზია შვა იოთამ,
42. იოთამ შვა აქეზ,
43. აქეზ შვა ეზეკია,
44. ეზეკია შვა მანასე,
45. მანასე შვა ამონ,
46. ამონ შვა იოსია,
47. იოსია შვა იოვაკიმ,
48. იოვაკიმ შვა იეჟონია,
49. იეჟონია შვა სალათაელ,
50. სალათაელ შვა ზორაბაბელ,
51. ზორაბაბელ შვა აბიუდ,
52. აბიუდ შვა ელიაკიმ,
53. ელიაკიმ შვა აზორ,
54. აზორ შვა სადუქ,
55. სადუქ შვა აქიმ,
56. აქიმ შვა ელიუდ,
57. ელიუდ შვა ელიაზარ,
58. ელიაზარ შვა მატათან,
59. მატათან შვა იაკობ,
60. იაკობ შვა იოსებ,

იოსებ ქმარი მარიამისი და ძმა იოსე-
ბისი—ელიონა,

1 ԲԻ. ՊՐՈՐԱ.

Digitized by srujanika@gmail.com

³ ეს და კავებში ჩამოყალიბდებოდა აკლია ორთავე დედას და ჩვენ დაბალებძე მიხედვით ვაჲსტ.

• მწ. სოლომან

• ମର୍ଦ୍ଦିତ କାନ୍ତି

• ପିଲାତ୍ତାନ୍ତାର୍ଥୀ

61. კლეოპა შვა ნაომ,
62. ნაომ შვა სალა,
63. სალა შვა რობუამ,
64. რობუამ შვა მოხთარ,
65. მოხთარ შვა ელიაკიმ,
66. ელიაკიმ შვა ბენიამენ,
67. ბენიამენ შვა რობერ,
68. რობერ შვა მოსე,
69. მოსე შვა იუდა.
70. იუდა შვა ელიაზარ,
71. ელიაზარ შვა ლევი,
72. ლევი შვა იარომ,
73. იარომ შვა მანასე,
74. მანასე შვა იაკობ,
75. იაკობ შვა მიქია,

76. მიქია] შვა იოვაკიმ,
77. იოვაკიმ შვა რობერ,
78. რობერ შვა აბრაჟმ,
79. აბრაჟმ შვა იობ,
80. იობ შვა აქაბ,
81. აქაბ შვა სფიმონ,
82. სფიმონ შვა იზაქარ,
83. იზაქარ შვა აბია,
84. აბია შვა გაად,
85. გაად შვა ასეორ,
86. ასეორ შვა ისაკ,
87. ისაკ შვა დან,
88. დან შვა სოლომონ,
89. სოლომონ შვა შეიიღნი ძმანი, რომელი
იგი მოსცნა ღმერთმან ტყვეობასა შინა!

§ 2. და ესენი² შეიღნი ძმანი, ძენი ამის სოლომონი-სანი³, მოიწინეს ეკლესი წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს, და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა, და მუნ დღეინდელად დღემდე შეიღნი მათნი მთავრობენ სომხითს.

§ 3. და ოთხნი ძმანი მათნი მოვიღეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ⁴ განაჩინეს⁵ ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატონიანი შეიღნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი.

§ 4. ხოლო ძმა მისი, სახელით საპაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს.

§ 5. და სხუანი ორნი იგი ძმა ამათნი, სახელით ასამ და ვარზარად⁶ წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი, და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხორებად ხორნაბუჯს⁷, და ამ უამამდე შეიღნი მათნი მთავრობენ მას შინა.

§ 6. ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შეიღლთა გორგასლისათა, მით უამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე, არამედ და-ესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან.

§ 7. მას უამსა მცხეთას კათალიკოზი იყო სეიმონ-პეტრე, და მცხეთა ალთხელდებოდა, და ტფილისი აღშენდებოდა⁸, არმაზი შემცირდებოდა და კალაა განდიდებოდა, სპარსი უფლებდეს ქართლს, კახეთს, პერეთს, სომხითს, სიცინიეთს⁹, ასპურაგანს¹⁰.

¹ ზოგიერთი პირის სახელის მართლწერა ჩვენ ქართლის ცხოვრების ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით ალნიშნული გვაქვს „სამ ისტორიულ ხრონიკაში“ და აქ აღარ ვიმეორებთ.

² მჩ. ეს სიტყვა არ არის,

³ მჩ. სოლომონისნი.

⁴ მჩ. ში ეს სახელი ყოველთვის სწერია როგორც გურამ და ჩვენ სხვა ადგილებში აღარ ვეჩვენებთ ამ სხვაობას.

⁵ მჩ. განაჩინ.

⁶ მჩ. ვარაზარად.

⁷ მჩ. ხორნაბუჯს.

⁸ მჩ. აშენდებოდა.

⁹ მ. მჩ. სავანეთს.

¹⁰ მ. ასპორაგანს, მჩ. ასპორაგანს.

§ 8. მას უამსა კათალიკოზი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი, და გამოარჩიეს გუარამ დავითის ნათესავისაგან, მოწვენული ძმათა მისთა თანა ოსამს და ვარაზ-ვარდს¹, რომელნი იგი ზემო ვაკეუნენით.

§ 9. ესე[ნი] წარმოვიდეს ეკლეცით, რომელნი მონათლა² რაქელ დელოფალმან ძმანი პურიანი, ტყუეობით მოსულნი, ქუეყანით ფილისტიმით, და ნათელ იღეს ეკლეცს კელითა რაქელ დელოფლისათა, რომელ მან სამთა მათგანთა უცვალა სახელი, რამეთუ ერთსა სახელსდვა მოშალე, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატონიანთა³, ერთსა აბგავარ, ერთი შემოიუანა სიძედ, და ორნი მათგანნი ამზადა სომხითის მეფეთა.

§ 10. ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვაკეუნეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად, და მოსუა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურატპალატობა. და ამან დადვა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას.

§ 11. ხოლო სამი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საპატა დაემზახა ბაკურს, ძესა ნერსესასა, და უსამ [და] ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩიანს⁴ და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა⁵ [ბაჰარ ჩუბინისასა და ვეზან მოჰკლეს], და დაიპყრეს მათ კაშხანი.

§ 12. და იყო მას უამსა მცხეთას კათალიკოზი სამოველ, და ამისზე ტფილისის მკვდრთა ეკლესიისა⁶ გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი, და კათალიკოზი იყო მცხეთას ბართლომე.

§ 13. და შემდგომად ამის გუარამისა ერისთაობდა ძე მისი სტეფანოზ და ძმა დემეტრესი და აშენებდეს ეკლესიასა ჯუარის მცხეთას.

§ 14. და ამისზე წარვლო ერეკლე მეფემან ბერძენთამან და მივიდა ტფილისად და დადგა დამართებით ციხესა კალისასა, და ციხისთავმან კმა უყო ციხით გამოლმართ და ჰერეკლე მეფესა: „რომელსა გასხენ წუერნი ვაკისანი და ვაცბოროტისანი“.⁷ მაშინ ესმა ჰერეკლე მეფესა, განრისხნა მისთვეს და აღმოიკითხა წიგნისაგან დანიელ წინასწარმეტყუელისა სიტყუა იგი: „ვითარმედ აღმოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს რქანი აღმოსავლისა ვერძისანი“, და თქუა მეფემან: „უკეთუ იყო ჩემდა სიტყუა ეგე კადნიერებისათვეს ჩემისა, მისაგებელი ორკეცი დაგიტეო შენ“, და დაუტევა ტფილის⁸ ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისა და თვე წარემართა ბალდაცს.

¹ მ. ვარზავარდს. ეს სიტყვა ყოველთვის ასე სწორია მ-ზი.

² მ. მჩ. მონათანი,

³ მჩ. ბაგრატიონთა.

⁴ მჩ. კამბეჩიანს.

⁵ მ. მჩ. ერისთავი.

⁶ მჩ. ეკლესია.

⁷ მ. მჩ. ტფილისი.

§ 15. და მივიღა გარდაბანს გარაზ გაგელისასა და დაილაშექრა ადგილ-სა-მას, რომელსა ჰქვან ხუზაშენი და ნათელსცა პერაკლე გარაზ-გრიგოლის და ყოველსა ერსა მისსა, და იწყო შენებად ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინ-ვალეს არს ყოველთა ეკლესიათა, და წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულა სოფლისასა², და აღმართა ჯუარი ქვს[...] და დადგა საფუძველი წმიდისა ლთისმშობლისა ეკლესიისა³ და აღასრულა გუმბათი⁴ მისი.

§ 16. ხოლო მან ჯიბლუ⁵ ციხე იგი ტფილისისა გამოიღო და ციხის-თავი იგი შეიპყრა და დრაპენითა⁶ პირი აღუვსო ამისთვს, რამეთუ თქუ სადიდებელი იგი მეფისა პერაკლესი, ხოლო კადრებისა მისთვს ტყავი გაჭა-და და მეფესა მისწია იგი გარდაბანს გარაზ-გრიგოლისასა.

§ 17. და გარდაბნით მეფემან მიცვალა ლალს და უწოდა მეწეკევნელთა მთავარსა, ნათელსცა და წარვიდა ბალდაცს⁷, და გამოიღო ბალდადი და შეიპყრა ხუასრო მეფე და მოალებინა ძელი⁸ ცხორებისა⁹ და იწყო შენებად იელუსალიმისა¹⁰. და დასუა მოდისტოს პატრია[რ]ქად.

§ 18. და წარმოემართა აქათვე და მოვიდა წელსა მეშვიდესა.

§ 19. და ვიღრე მოსულვადმდე მისსა ტფილისის ეკლესია [სიონი] გაესრუ-ლა[თ], ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა¹¹.

§ 20. და მან პერეკლე მეფემან ტფილისს¹² და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განაცლინნა, რათა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიასა შევიღენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი, რომელნიცალა არა მოინათლენ, მოისრენ. ხოლო მათ ნათლისლება არა ინგბეს, არამედ ზაკვთ¹³ აღერივნეს ქრისტიანეთა თანა, და¹⁴ მიაწიეს ყოველთა მათ ზედა მახვილი, და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს, და განწმიდა¹⁵ სჯული ქრისტეს ლთისა ჩუენისა და წარეიდა პერაკლე მეფე სამეფოდევე თვსად.

§ 21. და მთავრობდა ქართლს¹⁶ იგივე სტეფანოზ დიდი. კათალიკოზი იყო მეორე ბართლომე მისზედავე.

§ 22. და¹⁷ შემდგომად მისსა მთავრობდა ადარნასე, ძე მის სტეფანო-ზისი, და მისზედა სამნი კათალიკოზი იცუალნეს; იოვანე, ბაბილა და თაბორ.

¹ მ. გარაზ-გრიგოლისი; მჩ. გარაზა-გრიგოლისი.

² მ. შჩ. სოფიოსასა.

³ მჩ. ეკლესის.

⁴ მ. გუმბათი.

⁵ მჩ. ჯიბალუ.

⁶ მჩ. დრაკითა.

⁷ მ. ბალდა.

⁸ მ. მჩ. ძალი.

⁹ მჩ. ცხოვრებისა.

¹⁰ მჩ. იელუსალემისა.

¹¹ მ. მჩ. აკლიდა,

¹² მ. მჩ. ტფილისი.

¹³ მ. მჩ. ზაკვთ.

¹⁴ მჩ. <

¹⁵ მჩ. განწმინდა.

¹⁶ მჩ. ქართლსა.

¹⁷ მჩ. <

§ 23. და ამისა შემდგომად [მოქუდა ადარნას მთავარი და დაჯდა¹ სტეფანოზ, ძე მისი. და მან განასრულა ექლესია [ჯუარისა] და განაწესა მუნ ჯუარისა კრება, და დაჯდა ტფილის[ს] ცხოვრებად², და კათალიკოზი იყო სამოელ და ენონ. და მიზე ქუეყანა ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს, და ჰამბავი მოიწია, ვითარმედ ბალდადი³ დაიპყრეს აგარის ნათე-სავთაო.

§ 24. და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთაობდა ძე მისი გუარაშ კურატპალატი.

§ 25. და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაურ, ძე მისი, ანთიპატრიკიოსი, რომელმან გარდაბანელნი მოაქცივნა.

§ 26. და მერმე⁴ ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე.

§ 27. და ძენი მისნი, გურგენ ერისთავი, აშოტ კურატპალატი⁵.

§ 28. ხოლო აშოტ კურატპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად⁶ მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა.

§ 29. და მაშინ განძლიერდა კელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურატპალატისა, და ვერ უძლო წინააღმდეგომად მათდა აშოტ, და ივლტოდა მათგან, და წარემართა⁷, რათა წარვიდეს საბერძნეთად, და თანა ჰყულეს მათ დედა⁸ და ცოლი, და ორნი ძენი ასაკითა ჩვილნი, უხუცესი ადარნასე და ბაგრატ, ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა, და⁹ ერი¹⁰ თვისი მცირედ ჰყულა თანა, მცვიდრნი მისნი, დედაწულითურთ და შვილითურთ. [და] მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდსა ტბისა ფარავნისასა და-მაშერალნი სლვისაგან, და¹¹ გარდაპედეს განსვენებად კიდესა მის ტბისასა, ჭამეს რა პური და ბერი მიერულა[თ], და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშ-ქარნი სარკინოზთანი, [მაშინ] შეეწია ლმერთი აშოტ კურატპალატსა და კნინსა მას ლაშქარსა მისსა, მოსკა ლმერთმან ძლევა მათზედა, და¹² მოსრნეს სიმ-რავლენი ურიცხვი. წარმოვიდეს და მოიწივნეს¹³ კევსა შავშეთისასა.

§ 30. ხოლო კევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა¹⁴ სოფელთასა, რამეთუ უამთა სპარსთა¹⁵ უფლებისასა აოკრდა, ოდეს იგი ყრუმან¹⁶.

¹ მჩ. <

² მჩ. ცხოვრებად.

³ მ. ბადადი.

⁴ მ. მოსრა.

⁵ მ. კურატპალატისა.

⁶ მ. ს ხელად.

⁷ მ. წარემართა.

⁸ მ. დედა.

⁹ მ. მჩ. წმატებენ: არა.

¹⁰ მჩ. ერთი.

¹¹ მჩ. <

¹² მჩ. <

¹³ ძ. ჯერ სწერია: „მოვიდეს“, ხოლო თავზე აწერია . მოიწივნეს.

¹⁴ მჩ. უძალებს „ქუეყანასა“, მაგრამ შემდეგ ეს სიტყვა გარმეობაზულია.

¹⁵ შეცდომა: ლემველია, „სარკინოზთა“ უნდა იყოს.

¹⁶ მჩ. „ყრუმან“.

ბალდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ლადონი, და კუალად შემდგომად მისსა სრგამან¹ სატლობისამან მოაოკრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლა ღაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ, ხოლო ღაშთომილთა მათ მკკლრთა შავშეთისა შეიწყნარეს იგი სიხარულით და სიყუარულითა, და დაემქეიდრა მუნ, და მისცა ღმერთმან გამარჯვება, და აკელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა, და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა და ზოგი ოკერი აღაშენა, და განამრავლა² სოფელი აშოტ კურატპალატმან ქუეყანათა მათ შინა, და მისცა ღმერთმან და განამტკიცა კელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა.

§ 31. და პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასალს გახტანგს ციხეთ აღეშენა, სახელით არტანუჯი, და აოკრებულ იყო ბალდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა³ აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა, ქუეშეთ, აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და დაემჟედრა ციხესა მას შინა ცხოვრებად, და მერმე კვალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე⁴ ბარდავის ქალაქისა, და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურატპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა.

§ 32. და იყო ერთსა შინა უამსა, განვიდა, რათამცა შეიკრიბა⁵ ლაშქარი ბრძოლისათვეს სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე, განაელინა ლაშქრის მშვეველნი⁶ და ვიდრე არლარა შეკრებილიყო ლაშქარი იგი მისი მისთანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად, და აოტეს იგი, წარმოემართა და მოიწია კევსა ნიგალისასა⁷, და იწყო ძებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი⁸ თვისი, და წარმოემართნეს მოსვლად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდეს კლვად⁹ მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნამდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაქუა [მათი], და არა ჰყვა მას ერი თვისი, თვინიერ მცირედთასა. ვერ წინააღმდეგ-ბოდა იგი მათ, ამისთვისცა შეივლტოდა აშოტ კურატპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახვილითა საკურთხეველსა ზედა, და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხეველისასა და სისხლი მისი დათხეული დღესცა¹⁰ საჩინოდ სახილველ არს.

¹ მ. მჩ. სლვამან.

² მჩ. „განამდლა“.

³ მ. მჩ. განახლა.

⁴ მჩ. კარდამდე.

⁵ მჩ. შეიკრიბა.

⁶ მჩ. მწუერგალნი.

⁷ მჩ. ნიგლისისა.

⁸ მჩ. ლაშქარნი.

⁹ მ. მჩ. კალავდი.

¹⁰ მჩ. დღესაც.

§ 33. ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისისა, რომელნი იგი იყვნეს დოლის-ყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ კელითა ოროზ-მოროზის ძეთათა, წარვიდეს დოლის-ყანით და დევნა უცუეს მეულელთა მათ უფლისა თვისისათა, დაეწივნეს¹ მათ სავანეთა ზედა ქოროხისასა, მოსრინეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთა ერთი მათგანი, და წარმოილეს მეუდარი აშოტ კურატპალატი და დაფლეს მისისა მას საფლავსა შინა, ცახე-სა არტანუჯისასა, ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა, რამეთუ მოიკლა ესე აშოტ კურატპალატი დასაბამითგან წელთა ხვლ (=6430), ქორანიკონსა მეათ-ცამეტედ მოქცეულსა შინა ზე (=46), თუესა იანვარსა ოცდა ცხრასა!

§ 34. და დაუტევნა სამნი ძენი: უხუცესი ადარნასე, და შემდეგი მისი ბაგრატ. ესე ორნი თანა პყუეს მას, რაეამს იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად, ხოლო უმრწემესი გუარამ არტანუჯს მოსლეასალა შინა დაებალა.

§ 35. და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდა, წაუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყუნეს იგინი უსრულასაკითა. ხოლო რაეამს სრულ ასაკ იქმნეს იგინი, კუალადცა მოსცა ღმერთმან მათვე იგი ნაქონები მამისა მათისა, და ვიდრე უსრულოდა იყუნეს იგინი ასაკითა, იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყუნეს ხარის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე კევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი², ხოლო არტანუჯით გამოლმართ დაიპყრეს მათ³ ნაქონები იგი მამისა მათისა, და დასუეს ბაგრატ კურატპალატად, და წარმართა ღმერთმან კელმწიფება მათი.

§ 36. და იყუნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურატპალატად⁴ დასუეს, და ძმანი მისნი, აშოტ კეკელაძე⁵ და სუმბატ არტანუჯელი, რომელი კელმწიფობასა⁶ მისისა დასუეს ანთიპატოს-პატრიკალ.

§ 37. და ძენი ბაგრატ კურატპალატისანი სამნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა დასუეს კურატპალატად, ადარნასე და აშოტ.

38. და ძენი უმრწემესისა აშოტის ძისა გუარამისნი ორნი: ნასრა⁷ და აშოტ.

§ 39. ხოლო აშოტ კეკელაძე, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქორონიკონსა პზ (=77, ე. ი. 867), და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურატპალატად დასუეს, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი⁸.

¹ მჩ. და დაეწივნეს.

² დასაბამითგან წელი 6430 ქართული სათვალავით უდრის 826 წელს (6430—5604=826). ამასვე უდრის 46 ქორონიკიც (780+46=826). სხვა ვარიანტების ქორონიკონი ის. მარიამისეულ ვარიანტში, გვ. 346, შენ. 6.

³ მჩ. შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისნი.

⁴ მ. მათი.

⁵ მ. კურატპალატ. მჩ. კურადპალატად.

⁶ მ. მჩ. კეკელაძა.

⁷ მჩ. კელმწიფობას; ბ. კელმწიფობას.

⁸ მჩ. ნასრა.

⁹ ჩერნი აზრით, ეს სუმბატ არტანუჯელი იგულისმება ატენის ტაძრის ახლად აღმოჩენილს წარწერაში (იხ. საქართვ. აკადემიკის მოამბე, ტ. VII, № 1—2, 1916, გვ. 87, სარა ბარნაველის წერილი: „ატენის ახალი წარწერები“). მართ: ლია, წარწერაში სუმბატი მმმდალის პატივით არის მოხსენებული და ამ პატივით კი სუმბატის ქორონიგა მას არ ისტონიებს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან სუმბატი ყველა ბაგრატიონს როდი იხსენიებს მათი პატივით.

§ 40. გარდაიცვალა აშოტ, ძე მამფლისა¹ გუარაბისა, უწინარეს მამისა თვისისა, ქორანიკონსა პთ (=79, ე. ი. 869), არა დაუტევა ძე.

§ 41. გარდაიცვალა ადარნასე², ძე ბაგრატ კურატპალატისა, ქორანიკონსა ზდ (=94, ე. ი. 874), სიცოცხლესავე მამისა თვისისა, და არა დაუტევა შვილი.

§ 42. და მამა მისი ბაგრატ კურატპალატი³, ძე აშოტ კურატპალატისა, გარდაიცვალა ქორონიკონსა უვ (=96, ე. ი. 876), და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისისა კურატპალატ ყუეს და მოიკლა იგი კელითა მამისა⁴ ძმისწულისა თვისისა ნასრა, გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისა ქორანიკონსა რა (=101, ე. ი. 881), სუფევასა შინა გუარამისა⁵, ხოლო გუარამ მამფალი⁶, მამის ძმა მისი, მამა ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურატპალატისათა, და დაუტევა ამან დავით მოქლულმან ძე მცირე ადარნასე, მოუწიფებელი⁷ ჰასაკითა, ხოლო ნასრ, მკლველი⁸, ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელ.

§ 43. და ამისა შემდგომად დასუეს გურგენ, ძე ადარნასესი, კურატპალატად, დიდისა აშოტ კურატპალატისა ძისა.

§ 44. გარდაიცვალა გუარამ მამფალი, ძე აშოტ დიდისა, მამა ნასრისა, ქორანიკონსა რბ (=102, ე. ი. 882).

§ 45. და⁹ გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ კურატპალატისა, ქორანიკონსა რე (=105, ე. ი. 885). .

§ 46. და¹⁰ ამისსა შემდგომად გამოვიდა ნასრ სამეფოთ და მოვიდა აფხაზეთს, და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, სიძე¹¹ ნასრესი, და შესწია მან დიდითა ლაშქრითა, მეფემან აფხაზთამან, და მუნით გარდამოვიდა ნასრ სამცხეს, და შეერიბა სხუაცა ლაშქარი ურიცხვი, ხოლო ადარნასე, ძე მოქლულისა კურატპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიპყუა მისთანა შეწევნად ადარნასესა გურგენ კურატპალატი და შვილნი მისნი. და ყუეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა, და შეეწია ლმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს. შეიძყრეს და მოქლეს ნასრა კევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქორანიკონსა რც (=108, ე. ი. 888), და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიკოცა საკსენებელი მისი.

¹ მ. მამეფლისა.

² ეს ადარნასე ადიშის სახარებაში მოხსენებულია არსენის სახელით, რომელიც მისი ბერობის სახელი უნდა იყოს (იხ. ჩვენი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“, გვ. 910).

³ მჩ. პალატი.

⁴ მ. მჩ. მის.

⁵ მ. მჩ. გუგობასა.

⁶ მ. მამაფელი. მჩ. მამეფელი.

⁷ მჩ. ჩოწიფებული.

⁸ მჩ. თ. მკულელი.

⁹ მჩ. <

¹⁰ მჩ. <

¹¹ მ. მჩ. დის ძე.

§ 47. ადარნასე, ძე დავით კურატპალატისა, დასუეს ქართველთა შეფედ, [ნაცვლად] მის მოკლულისა, და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა კელითა კკრიკე¹ ბანელისათა, რომელი იგი იქნა პირველ ებისკოპოზ ბანელ.

§ 48. და მაშტალი სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, ძისა აშორ დიდისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა რთ (=109, ე. ი. 889), და დაუტევნა ძენი ორნი: [დავით მამთალი და]² ბაგრატ მამთალი არტანუჯელი.

§ 49. და სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისისა³ ნოისრა ნასრ და ქუეყანა ნასრისი დაიბურეს სხეათა ამათ მთავართა.

§ 50. ხოლო გურგენ კურატპალატი წარმოვიდა⁴ ტაოთ-კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს.

§ 51. და ამისა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშ-ქარი ერთმანეთსა ზედა, ერთ კერძ გურგენ კურატპალატმან და ერთა მისთა, მეორე კერძ ადარნასე, ქართველთა მეფემან, და ბაგრატ არტანუჯელმან, მოედეს ესენი კევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავს, და ბრძოლეს ერთმანერთსა. და მეორ იქმნა გურგენ კურატპალატი, [წყლეს და შეიბურეს, და მოქუდა] წილულებითა მისითა [გურგენ კურატპალატი], ძე ადარნასესი. ძისა აშორ დიდისა, ქორანიკონსა რია (=111, ე. ი. 891), და დაუტევნა ორნი ძენი: ადარნასე ერისთავთა ერისთავი და [აშორ ერისთავთა ერისთავი]⁵.

§ 52. შემდგომად გურგენ მამისა თვისისა კურატპალატისა გარდაიცვალა [ადარნასე] ქორანიკონსა რიკ (=116, ე. ი. 896) და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთავთა ერისთავი [და] გურგენ, რომელი შემდგომად, მერმე⁶, დიდი ერისთავთა ერისთავი იყო.

§ 53. და გარდაიცვალა ბაგრატ მამთალი არტანუჯელი, ძე სუმბატისა, ქორანიკონსა რკთ (=129, ე. ი. 909), თუესა აპრილსა კ (=20), დღესა აღვსებისა, და დაუტევნა ძენი ოთხი: ადარნასე, რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ ედვა ჩას, გურგენ ერისთავი, აშორ და დავით.

§ 54. გარდა დაცვალა დავით ერისთავი, ძე ადარნასესი, ძისა გურგენ კურატპალატისა, ძმა დიდისა გურგენისა, ქორანიკონსა, რკტ (=128, ე. ი. 908) და არა დაუტევა შეილი⁷.

¹ მ. მჩ. კაე.

² კავებში ჩასმულ სიტყვებს, აქაც და ქვემოთაც, ვუმატებთ თეიმურაზისეული ვარიანტის გიჩედვით.

³ მ. მჩ. + და.

⁴ მ. ჭარვიდა.

⁵ ვინაიდან აზოტის სახელი რჩსავე ხრლნაწერში გამოშევბულია, შესაძლოა უფრო სწორი იყოს ასეთი აღდეგება რეგისისა: „და დაწერეთ ადგი რონი [ცადარნასე და აშორ] ერისთავთა კოსტავი“. ამას თეორუასეცელი ცერიტიცე ხერს უპერს—იქ სწერია: „ორნი ძენი: ადარნასე და აშორ. როცელცა ზე დეგონად ცერისტავდ დასერეს“. რომ ეს აშორ კუნძული ერისთავთ ერისთავი იყო, ეს ნჩ-ე პარაგრაფიდანაც ჩანს; ბოლო ადარნასე სხვა ადგრძლას ამ ხარისხით მრასენებული არ არის და ამიტომ მისი ერისთავთ-ერისთავბა საეჭვოა.

⁶ მ. მერძე.

⁷ ეს პარაგრაფი, ხელნაწერებში შეცდომით არეულად წარმოდგენილი, აღდგენილია ჩვენ მიერ (იხ. სემოვა, გვ. 18—20).

⁸ ე. თაყაიშვილი

§ 55. აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწევბითა სულისა წილითათა. და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქორანიკონსა რლც (=138, ე. ი. 918) და არა ესუა შვილი.

§ 56. და ამისა შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა ერისთავად.

§ 57. გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონსა რმბ (=142, ე. ი. 922) და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისასა, რომელსა იგი ეწოდა ბაგრატ.

§ 58. გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქორანიკონსა რმბ (=143, ე. ი. 923), და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურატპალატი და ბაგრატ მაგისტროსი და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურატპალატი დასუეს.

§ 59. გ ა რ დ ა ი ც' ვ ა ლ ა [გურგენ] ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა¹, ქორანიკონსა რმბ (=143, ე. ი. 923) მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიცვალა, და დაუტევა ამან ძე გურგენ მუცელსა შინა ცოლისა თვებისასა, რომელსა ეწოდა გურგენვე, სახელი მამისა თვისისა.

§ 60. გარდაიცვალა დავით, ქართველთა მეფე, ძე ადარნასე მეფისა ქართველთასა, ქორანიკონსა რნზ (=157, ე. ი. 937) და არა ესუა ძე.

§ 61. გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონსა რნზ (=159, ე. ი. 939), თუესა იქნისა, და არა ესუა ძე.

§ 62. გარდაიცვალა გურგენ დიდი, ერისთავთა ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმსნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქორანიკონსა რდა (=161, ე. ი. 941), თუესა თებერვალსა იდ (=14). არა ესუა ძე.

§ 63. გარდაიცვალა შამუალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა, მონაზონობასა შინა, ქორანიკონსა რდა (=163, ე. ი. 943), ფეხერვალსა ოცსა და დაუტევა ძე თვისი სუმბატ, რომელიცა იგი დასუეს ერისთავთა ერისთავად.

§ 64. გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა რდა (=165, ე. ი. 945), თვესა მარტსა, და დაუტევა ძე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კურატპალატი იქმნა.

§ 65. მასვე წელსა, ბაგრატ მაგისტროსის გარდაცვალებისასა (ე. ი. 945, ე. თ.), ბასილი მონაზონი კლარჯი² გარდაიცვალა, ძე ბაგრატ მამცლისა.

§ 66. გარდაიცვალა აშოტ კურატპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა რლც³ (=174, ე. ი. 954) და არა ესვა შვილი.

¹ მჩ. არტანუჯელი.

² მჩ. კალარჯი.

³ მ. მჩ. რუდ.

§ 67. და ამასვე წელსა (ე. ი. 954) აშოტ, ძე სუმბატისა, გარდაიცვალა, და არა ესვა ძე.

§ 68. და შემდგომად აშოტ კურატპალატისა ძმა მისი დასუეს კურატ-პალატად, სუმბატ. და ესე სუმბატ¹ კურატპალატი, ძე აღარნასე ქართველთა შეფისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა რომ² (=178, ე. ი. 958) და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, რომელი ქართველთა შეფედ დასუეს, რეგუ[ე]ნი³, და აღარნასე კურატპალატი.

§ 69. [გარდა აიცვალა ადარნასე კურატპალატი]⁴, ძე ბაგრატ მაგი-სტროსისა, ქორანიკონსა რპა (=181, ე. ი. 961), რომელი ესე ძეთა შეიძყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიერ ფიჩითა, და დაუტევნა ძენი: ბაგრატ ქერისთავთ ერისთავი⁵ და დავით ერისთავთ ერისთავი.

§ 70. გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორანიკონსა რპგ (=186, ე. ი. 966), ბოლო ძმა მისი⁶ დავით კურატპალატი იქმნა დიდად.

§ 71. გარდა აიცვალა გურგენ, ძე გურგენის, ძისა ბაგრატ მამფლისა, ქორანიკონსა რპც (=188, ე. ი. 968).

§ 72. გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურატპალატისა, ძმა ბაგრატ რეგუნისა, ქორანიკონსა სგ (=203, ე. ი. 983) და დაუტევნა⁸ ძე⁹ დავით მცირე.

§ 73. გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქორანიკონსა ხც (=208, ე. ი. 988), და დაუტევნა ძენი ორნი, დავით და ბაგრატ.

§ 74. და შემდგომად მიცვალებისა მისისა. დღესაც მეორმოცესა (ე. ი. 988 წელსვე), გარდაიცვალა ძე მისი ბაგრატ და დაუტევნა ძენი ორნი: სუმბატ და გურგენ.

§ 75. გარდაიცვალა სუმბატ, ძე ბაგრატ რევუნისა, ქართველთა მე-ფისა, ქორანიკონსა ხიბ (=212, ე. ი. 992) და არა ესუა შეილი.

§ 76. გარდაიცვალა დავით, ძე სუმბატ ერისთავთა ერასთავისა, დიდე-ბულისა¹⁰, კაცისა მართლისა¹¹.

§ 77. და გარდაიცვალა ბაგრატ რეგუ [ე]ნი, ქართველთა შეფე, ძე კურთ-ხეულის[ა] სუმბატ კურატპალატისა, ქორანიკონსა. ხიდ (=214, ე. ი. 994) და დაუტევნა ძე თვისი უბუცესი გურგენ, რომელსა უზოდეს მეფეთა¹² მეფე.

¹ მჩ. აკლია ეს სამი სიტყვა.

² მ. მჩ. რუპ.

³ მჩ. რეგვნი.

⁴ მ. მჩ. ვარიანტებს ფრჩებილებში ჩასმული სიტყვები არა.

⁵ მ. მჩ. არისტოსი.

⁶ მ. მჩ. ვარიანტებში გამოშვებულია.

⁷ მ. ძემა მისი. მჩ. ძე მარასი.

⁸ მჩ. დაუტევნა.

⁹ მჩ. ძენი; შემდევ ნი ჭაშლილია.

¹⁰ მ. მჩ. შიდებულისა.

¹¹ თ. კაცი მართალი.

¹² მჩ. მეფე.

წ 78. და ა?ას გურგენს ესვა დედით ბაგრატ აფხაზთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს და ამისთვის გურგენს მეფეთ მეფობა [ეწოდა].

წ 79. გარდაიცვალა დავით დიდი კურატპალატი, ძე ადარნასე კურატ პალატისა, ქორანიკონსა სკა (=221, ე. ი. 1001), და არა ესუა ძე.

წ 80. და აოკრდა იმიერ-ტაო¹: და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე და მისცნეს შას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და² დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით³ კურატპალატისა.

წ 81. და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე [და] მარა შის გურგენი, და მისცა მათ ბასილი მეფემან პატივი, გურგენს მაგისტროსობა, და ბაგრატს კურატპალატობა, რათამცა უითარ მტერ ყუნა⁴ ერთმანეთისა მიმართ მაშა-ძენი ესე, და ამით ლონითა იშპაცვა. ხოლო გურგენ კეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა⁵ გული მისი ზაკვითა ამით მიზეზთა და ვერა უძლო ლონის ძიებათა.

წ 82. გარდა აიცვალა ესე გურგენ მეფეთა მეფე, ძე ბაგრატ ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა სკა (=228, ე. ი. 1008) და დაუტევა ძე ესე თვისი ბაგრატ აფხაზთა მეფე კურატპალატი დიდი და ეუფლა ტაოს მამულსა თვესსა, და დაიპყრა ყველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქენითგან ვიდრე გურგენიდმდე⁶. ხოლო აღარბადაგანი და შირვანი⁷ მოხარეე ყო სომხითისა⁸ კელტშითებითა, ნებიერად⁹ განაგებდა. მეფე სპარსთა თვეს მევობრად და ერთგულყო სიბრძნითა და ძლიერებითა თვესითა უფროს სახლეულთა თვესთასა, და რამეთუ ბერძენთა მეფესაცა¹⁰ შიში აქუნდა ამის ყოვლადვე.

წ 83. და ამან ბაგრატ კურატპალატმან მოიუანა კლარჯნი კელმწიოდენი, სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვესნი მამის ლიწულნი¹¹, დარბაზობად მის წინაშე, ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიძყრნა იგინი, და აღიხენა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინ პატიმარ ყუნა ციხესა შიგა თმოგვისასა, და მუნ ციხესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა¹² სუმბატ არტანუჯელი ქორანიკონსა სლა (=241, ე. ი. 1011) და აგრეთვე მასევ წელსა შინა¹³ გურგენცა გარდაიცვალა, ძპა სუმბატისი, ქორანიკონსა სლბ (=232, ე. ი. 1012).

¹ მ. იმარ-ტაო.

² მს. გამოტოვებულია.

³ მს. დავითისა ბამული.

⁴ მს. ყუნან.

⁵ მ. მჩ. აზრა.

⁶ მჩ. გორანგეთამდე.

⁷ მჩ. ადრაბაგანი და შირვანი.

⁸ მჩ. სომხითის.

⁹ ძ. მჩ. ნებიერარ.

¹⁰ მჩ. ბერძენ მეფესაც.

¹¹ მჩ. ძმისულისანი.

¹² მჩ. გარდაიცვალ.

¹³ მჩ. გამოტოვებულია.

§ 84. ხოლო შეიღნი ამათნი წარეციდეს კონსტანტინეპოლედ¹, დე სუმ-ჰატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე ბასილი ბეფისა² წინაშე, და მათ-თვის შვილნი კლარჯთა მეფეთანი, რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრნეს კულტურის სიკუდილითა პატიმრობასა შინა.

§ 85. ამისა შემდგომად მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფო თვისი, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და ლაიზამთრა კექთა ტაოსათა, და მორაიშია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა წელსა მესა-მესა და მუნ შინა გარდაიცვალა ეს ბაგრატ ქორანიკონსა ს. ლ. (= 234, ე. ი. 1014), თუესა მაისა ზ (= 7), დღესა პარასკევასა, და დაუტევა ძე თვისი გი-ორგი³, და დაჯდა იგი მეტედ წლისა იც (= 18).

§ 85. ხოლო დაჯდა [რა] ესე გიორგი მეუედ, გან[უ]და აშას ქუეყანა⁴ ჰერეთ-კახეთისა, და ლალობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანად კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირეელ აქუნ-და იგი.

1 მწ. კონსტანტინევოლეს.

ମୋହନ ପାତ୍ର

• მს. ჭირა წერებულა. „გიორგოლი“, მაგრამ შემდეგ ზედამდები ასოები გაუსაღია, ამა

• მრ. ქავეყანასა.

• ၃၆၁

• ఉ. ఉ. కృష్ణరావు.

© 88. କୁଳାପ୍ରକାଶ

და მიუღა მას უკანა ბასილი ჯავახეთით კერძო, და მოაოკრა. ყოველიცე-გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა ბასილიცა თრიალეთადვე და რა ეასლნეს ერთმანეთსა, კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყუანა წანარნი და შაქნი, ხოლო იხილა რა ესე ბასილი, შეიქცა თრია-ლეთით და უქმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთრისათა და კუალად უბოროტეს ადრე მოაოკრა. და წარვიდა და დაიზამთრა ქუეყანასა ხალდასა¹, ქალაქსა ტრაპიზონთასა², და ვიღოდეს მოციქულნი ორთავე ამათ მეფეთანი ზავისათვეს ერთმანერთისა წინაშე [და] მშვიდობისა.

§ 88. ხოლო იქმნა მას უმსა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეირთნეს ბასილის სპასპეტი და წარვიზი, ძე ფოქას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფენ³ და მიიღინეს მათ ყოველი აღმოსავლეთი კერძი ქუეყანა, ხოლო ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივ სცა, რამეთუ გა-ნუდეს ქსიფენს წარვიზი⁴ და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი შეიცვეს ციხესა შინა, შეიპყრეს და ბასილის წინაშე წარმოგზავნეს, და მან ექსორია ყო იგი კუნძულსა შინა, და მიმდგომთა მისთა მრავალთა თავი მოპეუეთა, რომელთა თანა იყო ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი.

§ 89. და კუალად შემოიქცა ბასილი მეფე და მოვიდა ბასიანს და ით-ხოვდა იგი გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა და ალუთქმიდა ზავსა და შშვი-დობასა. ხოლო გიორგი მეფემან განავლინა ზვიადი ლაშქრითა დიდითა უწი-ნარეს თვესსა. და დაილაშქრა ზვიადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა. რეცა ზამთრის სახედ. ხოლო თვე გიორგი მეფე უკანა ისრე განვიდა ზავად წადიე-რი ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზ-ნაურნი არა მიეშუნეს გიორგის⁵ ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშვი-დობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად. აწვიეს⁶ იგი ბასილის ზედა, რომელი იგი ზავად და მშვიდობად ჰერინებდა მისულასა მათსა, და ჰერინებდა და მოე-ლოდა, ხოლო გიორგისთა იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ბასილის ლაშქ-რისა. მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან დამოკიდება წუერსა პოროლისასა წე-რილი მათი⁷, რომელნი მისად დაეწერნეს გიორგი მეფისა ჩუენისა სიმტკი-ცისა და ზავისანი⁸ და ესრეთ ბასილი მეფემან პოროლისა წუერითა ამართნა იგინი, მიუპყრა ღმერთსა და თქუა: „იხილე, უფალო, წერილი ესე მათი [და]⁹ საქმე, რომელსა აწ იქმან, და კუალად მოილო ბასილი მეფემან ძელი ცხორე-ბისა მანდილითა წმიდითა და დასცა იგი ქუეყანასა. ზედა და თქუა ესრეთ, ვი-

¹ მ. მჩ. ხალადასა.

² მ. ტრაპიზონზას. მჩ. ტრაპიზონზას. ეს. სიტყვა შემდეგ ნაწევალებია და გადაკეთ-ბლობი.

³ მ. მჩ. ქისიფი.

⁴ მ. განდეს ქსიფენ წარვეზს. მჩ. განდეს ქსიფენ წარვეზ.

⁵ მ. მჩ. გიორგის.

⁶ მ. მჩ. იწყეს.

⁷ მ. მჩ. და წუერილით მათ.

⁸ მ. მჩ. ძლევისანი.

⁹ მ. მჩ. გამოტოვებულია.

თარმედ უკუეთუ მიმცე¹ მე კელთა მტერთასა, არღარა თაყუანის გცე უკუნისამდე². და ვითარ ესე ყო და თქუა, მყის მასვე უამსა იძლივნეს და მეოტი იქმნეს სპანი გიორგისნი, რომელზი იგი პირველ მივიდეს, და გამოვიდეს მიერ კერძო ტალმანი მეფისანი რუსნი, და არა განერა ერთიცა პირველ მის-რულთა მათ თვინიერ მცირეთასა, რამეთუ თვთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყო ჯერეთ ყოვლადვე, და მოიკლენ მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა იგი მშვიდობის ყოფა [არა ენებათ]³, და მეოტი იქმნეს ყოველნი, და მოისჩნეს ურიცხვი პირითა მახვილისათა, და რომელნიმე⁴ მეოტი იქმნეს. წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეფო ყოველი სრულიად, რომელი აქუნდა.

§ 90. და წარმოიძრა მცირედ ბასილი მეფე და მოუღგა უკანა, და კუალად იწყო ზავად და მშვიდობად პირველსავებრევ, რამეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა⁵ და ყუეს მაშინ მშვიდობა, და დაზავნეს.

§ 91. [და მისცა]⁶ გიორგი მეფემს მძევლად ძე თვისი ბაგრატ სამისა წლისა ყრმა ჩვილი და მისცა ციხე ათორმეტი და ქუეყანანი დავით კერატ-პალატისა⁷ ნაქონები ტაოს და⁸ ბასიანს და ჯავახეთს. შავშეთს⁹. და ესრეთ¹⁰ წარვიდა ბერძენთა მეფე ბასილი და თანა წარიზანა ბაგრატ ყრმა მცირე¹¹ და აღუთქუა გიორგის [წარმოგზავნა] ბაგრატისი შემდგომად სამისა წლისა¹².

§ 92. გარდაკლეს რა სამნი წელნი, მაშინ წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით კონსტანტინეპოლით ბაგრატ ძე გიორგისი, ვითარცა იგი აღუთქუა. და მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თვისსა მამულსა ბანას, თანა-მოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავლისათა ზღურადმდე ბაგრატის მამულია. და წინაშე ჩუენსა მოგზავნე.

§ 94. და ვითარცა აღმოიკითხა კატაბანმან [ბრძანებად მეფისა], მსწრაფლ მოიქცა და დევნა უყო ბაგრატს, გარნა ვერ ეწია მას, რამეთუ თვისსა მამულ-სა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებულ ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვე-

¹ მჩ. მიმცე.

² მ. მჩ. გამოტოვებულია.

³ მ. მჩ. რომელი.

⁴ მ. მჩ. განდგომილებითა.

⁵ მ. მჩ. გამოტოვებულია.

⁶ მჩ. კურტაპალატისა.

⁷ მჩ. გამოტოვებულია.

⁸ მჩ. შავშეთს.

⁹ მჩ. და ერეთს.

¹⁰ მჩ. უმატებს: და მცირე.

¹¹ მ. მჩ. და შემდგომად სამისა წლისა შავე (მაჩ. და შავე) წარმოგზავნეს აღუთქუა გიორგის ბაგრატისი.

¹² მჩ. შენსა.

ლარა ეძლო კატაბანსა¹ მას, არამედ გარე უკუნიქუა და წარვიღა. ეპა დიდი² საკურელი შოწყალება ლმრთისა, ვითარლა განერა მართალი კელთაგან შემპყრობელთა და მტერთა მისთასა, ქორანიკონსა სმე (=245, ე. ი. 1025).

წ 95. და³ მოვიდა ბაგრატ [საბერძნეთით] წინაშე მამისა თვისისა გიორგი მეფისა და დედისა თვისისა მარიამ დედოფლისა⁴ ქალაქსა მათსა ქუთათის, და ესრეთ შეკრბეს იგინი მშვიდობით და მისცეს დიდება და მაღლი ღმერთსა მომადლებისათვს მათდა ესე ვითარისა მის კეთილისა. და შემდგომად ამისსა რა გარდაპკდეს წელნი ორნი, გარდაიცვალა გიორგი, მამა ამის ბაგრატისი თრიალეთს, ადგილსა მას, რომელსა ეწოდების მყინვარნი, ქორანიკონსა სმჟ (=247 ე. ი. 1027), თვესა აგვისტოსა ივ (=16) და დამარხეს იგი ქუთათის.

წ 96. და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ ძე მისი ბაგრატ ცხრისა წლისა, ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე,⁵ და ბანელი ებისკოპოსი [იოანე]⁶, და ამთათნ უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი⁷ და რომელნიმე უციხონი განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონტანტინეს⁸, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა, რომელ შემდგომად მისსა მეფე იყო.

წ 97. და წელსა მეორესა გამოგზავნა კოსტანტი მეფემან პარკიმანისი თვისი მიუწოდელისა ძალითა, ლაშქრითა თვისისათა და განძითა ურიცხეითა, ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფისასა⁹. მოვლო და მოაოურა ქუეყანანი იგი, რომელი პირები მოეოურნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესუა, რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს ციხესა ქვეშე კლეიკართასა, სადა იგი იყუნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისანი, და ბრძოლა ყუეს, გარნა არა დიდად. და განდგეს კუალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი. ჩანჩენი¹⁰ ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფისა, თვით წარვიდეს იგინი საბერძნეთს.

წ 98. ხოლო აღა შენა სიმაგრე საბა მტბევარ ებისკოპოს-მან¹¹ მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელსდვა მას სვეტი, და შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი და შევიდეს მას შინა თვით საბა მტბევარ-ებისკოპოსი და ეზრა ანჩელ-ებისკოპოსი და შავშეთის აზნაურნი და განძლიერდა მას შინა.

¹ მ. კაპატანსა.

² მჩ. დიდია.

³ მ. მჩ. გამოტოვებულია.

⁴ მ. დოფლისა მჩ. დედოფლისათა.

⁵ მ. მჩ. კარგის ძე

⁶ მ. პჩ. აკლია.

⁷ მ. მჩ. ციხეთა.

⁸ მჩ. კოსტანტინე.

⁹ მ. მეფისაცა.

¹⁰ მ. ჩანჩახამან.

¹¹ მჩ. ებისკოპოსმან მტბევარმან.

§ 99. ხოლო მოავლინა მუნ პარკიმანოსმან იოვანე ხალტურალი¹ სახელით ვალანგ ლაშქრითა დიდძალითა, და თანა მოსცა მას ქე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუენელად ქუეყანისა მკდრთა, რომელი ესე იქნია ეს-რეთ, რამეთუ მიიქცეს ერნი, სოფელი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა და გამოადგინეს ლაშქარნი სვეტსა მას ტბეთისასა და პპრძმოდის ძლიერად მრავალ ღონედ, და ღმერთმან განაძლიერნა მუოფნი იგი სვეტსა მას შინა მაღლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა, და ლოცვითა წმიდათა ამათ მღუდელ-მოძღუართათა, და ვითარცა ერთგულნი და ჰეშარიტნი მარტვილნი სამღლონი თავთა თვესთა სიკუდილად განწირევი-დეს და კორციელთა უფალთათვეს თავთა თვესთა განწირევიდეს და სისხლთა დასთხევდეს სიტყვსაებრ მოციქულთასა² და განძლიერდებოდეს. ყოველთავე გტყოდეს, ვითარმედ, ნუმცა შეგვიტყუებენ³ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავლნი, არამედ მოვიგოთ მაღლი ერთგულებისა და გვირვვინი ახოვნებისა, რამეთუ მპრძმოლნი იგი გარემოდგომილნი მათდა ლიქნიდეს ალთქმითა⁴ და ქადაგებითა კეთილითა⁵ და საფასეთათა.

§ 100. ხოლო ესე ვითარად რა ლელვად⁶ ალტეხილად იგუემებოდა ალ-მოსავლეთი, მსწრაფლ ეწია რისხუა უმსჯავრისა მას მეფესა კონსტანტინეს, მსგავსაღვე ივლიანეს უსჯულოსა უწყალობისათვეს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოკრებისათვეს მამულისა მისისა და მოსწრაფედ შოეწერა პარკიმანოს-პრო-ედროსსა თვესსა, რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ თვესით და მო-ვიდეს კოსტანტინეპოლედ. და წარვიდა იგი, ესმა რა ესე. და ვითარცა გარ-დაიცვალა ესე კოსტანტი მეფე, დაუტევა შემდგომად მისსა მეფობა რომა-ნოზს ნათესავსა⁷ და მიმდგომსავე თვესსა.

§ 101. ამისსა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმენე და ახოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკთა⁸ და წარვიდა კოსტანტინეპოლედ წინაშე⁹ რომანოზ მეფისა ვედრებად მისსა, რა-თა მშეიღობა ყოს აღმოსავლეთისათვის, რათა არლარა იყოს ბრძოლა ბერძენ-თა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ¹⁰ და მყუდრო იყუნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვესსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახელისა.

¹ მ. ხალტვირალი.

² მ. მჩ. მოციქულთა.

³ მ. მჩ. შეგვიტყებინ.

⁴ მ. ალთქმითა.

⁵ მჩ. კეთილთა.

⁶ მჩ. ლელეუდა.

⁷ მ. მჩ. რომანოზის ნათესავი.

⁸ შ. მჩ. არბაკთა.

⁹ მ. წინაშ.

¹⁰ მ. დაწინარებულ.

IV. ტაო-ქლარჯეთის ბაზრატიონთა გენერალობის II ტაბულის შენიშვნები

1

ქართულ წყაროებში ნაკლებად მოგვეპოვება ქრონოლოგიური ცნობები აშოტ დიდის შესახებ, თუ როდის მიიღო მან არაბთაგან ქართლის ერისთაობა და როდის გადასახლდა იგი შავშეთ-ქლარჯეთში. მისი გარდაცვალების თარიღი სუმბატის ქრონიკაში აღნიშნულია მეცამეტე მოქცევის მფ ქორონიკონით და გამართლებულია ვითომც სოფლის-დასაბამითვანი თარიღით, ხულ-ით, რომელიც უდრიან 826 წელს. მაგრამ დასაბამითვანი თარიღი მერე უნდა იყოს მიმატებული, ვინაიდან სუმბატი სხვაგან არსად უჩევნებს ამგვარ თარიღს. თვით ქორონიკონის ციფრებშიც გადამწერისეული შეცდომა უნდა იყოს, სახელდობრ, როგორც მართებულად შენიშნავს ქ. კეკელიძე, „მ“-ის მაგიერ „ნ“ უნდა ყოფილიყო. თუ ასე აღვადგენთ, გამოვივა რომ აშოტ დიდი გარდაცვლილა ნვ ქორონიკონს ე. ი. 836 წელს.

ქ. კეკელიძე აჯანებს ქართულს, სომხურსა და მუსულმანურ ცნობებს აშოტ I დიდის შესახებ და მიდის შემდეგ დასკვნამდე:

„აშოტ დიდი ქართლის ერისთავად ხდება 810 წელს, შავშეთ-ქლარჯეთში გადადის 820 წლის მომდევნო წლებში, კვლება 836 წელს, ხოლო მისი შეილი ბაგრატ კურაპალატობას ღებულობს 840-841 წლებში“ (იხ. „აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, ნარკვ. I, თბილისი, 1935, გვ. 104, 109).

ეს საკითხი დამატებითს განხილვა-ძიებას მოითხოვს, ხოლო ჯერ კი ამას უნდა დავვარდეთ. ყოველ შემთხვევაში, ქ. კეკელიძის ზემოთ გადმოცემული აზრი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ყველა უწინ გამოთქმული დებულება.

სად და ვის მიერ იქნა მოკლული აშოტ კურაპალატი ამის შესახებ ერთი მეორის საჭინააღმდეგო ცნობები გვაქვს. „მატიანე ქართლისაც“-ს გადმოცემით აშოტი მოჰკლეს არაბებმა გარდაბანს, ეკლესიასა შინა (მარ. ვარ., გვ. 220). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობითაც აშოტი არაბებმა მოჰკლეს, მაგრამ არა გარდაბანს, არამედ არტანუჯის პეტრეპავლეს ეკლესიაში (ვახუშტის ისტორია, გვ. 121). ივ. ჯავახიშვილიც თავდაპირველად აშოტის მოკვლას არაბებს მიაწერდა (ქართვ. ერის ისტორია, II, 1914, გვ. 372). მაგრამ ყველაფერი ეს შეცდომა, აშოტი, როგორც მართებულად აღნიშნავს თ. ლომოური, მოქმედეს მისმა ქვეშევრდომებმა („არილი“, გვ. 49—50). ამას

შემდეგ, როგორც მახსოვს, ივ. ჯავახიშვილმაც გამოასწორა თავისი შეცდომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეცდომა განმეორებულია მეორე გამოცემაში, რომელიც უმისოდ დაიბეჭდა (იხ. „ქართველი ერის ისტორია“ II, 1948, გვ. 93).

სუმბატ დავითის ძეს ეს ამბავი საკმაოდ ვრცლად აქვს მოთხოვნილი. საქმე ასე ყოფილა: ერთ დღეს აშოტი გასულა ჯარის შესაკრებად არაბებთან საბრძოლველად, მაგრამ, სანამ იგი ჯარს შეკრებდა, არაბები უეცრად თავს დასხმიან, აშოტს უკან დაუხევია, ნიგალის ხევს მოსულა და იქ დაუწყია ლაშქრის გროვება. ერთ-ერთი შეგროვილი ნაწილისათვის უბრძანებია მასთან მოსულა. ისინიც მოსულან, მაგრამ არა მოსაშეელებლად, არამედ მოსაკლავად. მათი ბოროტი განზრახვა აშოტს მხოლოდ მაშინ უგრძენია, როდესაც ისინი მის კარს მოსდგომიან. აშოტს თან ჰყოლია მხოლოდ მცირე რაზმი, „რომლითა ვერა წინაალუდგებობა იგი მათ, ამისათვისცა შეიცლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად და მოწყლეს იგი მახვილითა საკურთხეველსა ზედა“ (სუმბატის ქრონიკა, წ32). როცა ეს ამბავი სმენიათ აშოტის ჯარისკაცებს, რომელიც დოლის-ყანას იყვნენ, ისინი გამოსდგომიან მკვლელებს, მოსწევიან „მათ სავანესა ზედა ჭოროხისასა“ და ერთიანად ამოუხოციათ, ხოლო მკედარი აშოტ კურაპალატი წამოუსვენებიათ და დაუქრძალავთ არტანუჯის ციხის პეტრე-პავლეს ეკლესიაში, რომელიც თვით აშოტის მიერ იყო აშენებული და მის სამარხეავად იყო განკუთვნილი. რომ აშოტი თავისსავე ქვეშევრდომებს მოუქლავთ, ამას ამტკიცებს აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის სიტყვები, რომელიც მას, გ. მერჩულის ცნობით, წარმოუთქვამს, როდესაც აშოტის გარდაცვალება გაუგია: „აშვითარმცა მიეცი კელსა შეერაცხსა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელი იყი იუდას მსგავსად შენ უფლისა თვის ისა მკლველ იქმნეს“ (მერჩული, გვ. ით). ამრიგად ცხადია, რომ აშოტ კურაპალატი მის ქვეშევრდომებს მოუქლავთ ლალატით და არა არაბებს. ის კი უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლელნი არაბთაგან იყვნენ მოსყიდული და შემოჩენილი. თორემ ძნელი დასაჯერებელია, რომ მის ქვეშევრდომებს თავისი განზრახვით მოექლათ ეს დიდებული მთავარი.

იმ სოფლის სახელი, რომლის ეკლესიაშიც აშოტი მოკლეს, აღნიშნული არ არის, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მკვლელობა მომხდარა კლარჯეთის ერთ-ერთ თემში, ნიგალის ხევში. სუმბატის ცნობით, აშოტი „მოიკლა კელითა ოროზ-მოროზის ძე თათა“. შესაძლოა, ესენი ყოფილიყვნენ მეგრელები, ვინაიდან ქართლის ცხოვრების ბარათაშეილისეულს და ზოგიერთ სხვა ვარიანტში ვკითხულობთ, რომ „მოიკლა აშოტი მეგრელთაგან“. მართლაც დაჩვენ ვიცით, რომ კლარჯეთის ერთ ნაწილს, ჭოროხის ხეობის ქვემო წელს ანუ ეხლანდელს კახაბერის დაბლობს, ძევლად ეგრი ერქვა და იგი ჭან-მეგრელთა ტომით იყო დასახლებული.

აშოტ I დიდი კურაპალატის ისტორიის სხვა მომენტები საქმიანდა ცნობილი¹. ხოლო ნაკლებადაა გაშუქებული მისი ღვაწლი ეკლესია-მონასტერ-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 1913, გვ. 873—878; მარიამისული ვარიანტი, გვ. 219, 220, 342—345; გიორგი მერჩული, ცხოვრებად გრიგოლ ხანძთელისა, გვ. იბ, იზ, ით, კ, კშ, ნვ, ავ, აბ, და პ.

თა აღმშენებლობაში. გიორგი მერჩულისაგან ვიცით მხოლოდ, რომ აშოტი დიდი ნივთიერი დახმარება გაუწევია გრიგოლ ხანძთელისათვის ხანძთის მონასტრის აშენებაში და ამასთანავე ხანძთის აგარაკად შეუწირავს შატბერ-დის ადგილი, სადაც გრიგოლმა აშორის სიკვდილის შემდეგ მისი შვილების საფასით აღაშენა ახალი, სახელგანთქმული შატბერდის მონასტერი (მერჩული, გვ. იზ, კტ, კთ). მაგრამ მერჩული სდუმს ტაო-კლარჯეთში სხვა ეკლესია-მონასტრების აშენების შესხებ, რადგანაც ამ მშენებლობაში გრიგოლ ხანძთელსა და მის მოწაფეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. სუპბატის ქრონიკიდან კი ცნობილია, რომ აშოტმა არტანუჯში აღაშენა პეტრე-პავლეს ეკლესია, რომლის ნანგრევები დღესაც დაცულია (ნ. მარის დღიური, გვ. 15—98). აშოტის აღმშენებლობის დიდი კეალი ცხადად ჩანს აგრეთვე ოპიზის მონასტერში. აქ, მთავარ გუმბათიან ეკლესიაში, დ. ბაქრაძის დროს, 1879 წელს, შიგნით კედელზე თურმე კიდევ მოჩანდა აშოტ კურაპალატისა და მისი დროის სხვადასხვა უმაღლეს პირთა ფრესკული სურათები. ეს მხატვრობა ჩემს დროს თითქმის ირყეოდაო, დასძნეს დ. ბაქრაძე, მაგრამ წარწერა კარგად მოჩანდაო (ვახუშტის ისტორია, გვ. 122, შენ. ბ.). ნ. მარის დროს სურათი, ეტყობა, უკვე სულ მოშლილი ყოფილა, მაგრამ ასომთავრული წარწერა კარგად ყოფილა დაცული, ისევე როგორც ბაქრაძის დროს. იქ წერებულა: „აშოტ კურაპალატი მეორედ მაშენებელი ოპიზისაც და წარწერა ამის საყდრისაც“ (ნ. მარის დღიური, გვ. 160, ვახუშტის ისტორია, გვ. 122, შენიშ. ბ.).

იქვე დიდი სამნავიანი შენობის, საოსტიგნე-სემინარიის კედელზე ყოფილა შემდეგი ასომთავრული წარწერა:

„ქ. ესე მე აშოტმან დ (ოთხსა) წელსა გავა(შენებინე), ან, ეგებ გავა-(კეთებინე)“ (მარის დღიური, გვ. 163, ბაქრაძე, ვახუშტის ისტორია, გვ. 122, შენ. ბ.).

ოპიზა ერთადერთი მონასტერი იყო კლარჯეთში, მანამ აშოტ კურაპალატი და გრიგოლ ხანძთელი დამკვიდრდებოდნენ იმ მხარეში. აშოტის ბიერ ოპიზის „მეორედ აშენება“, ჩვენი აზრით, გამოიხატა, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ ძველი ბაზილიკური ტაძარი მან გადააკეთა გუმბათიან მთავარ ეკლესიად, მიაშენა რა აღმოსავლეთით ჯვრის სამი მელავი, ისევე როგორც გადაკეთდა ჩილდირის ჭყაროსთავის ეკლესია XI საუკუნეში¹. ნ. მარის აზრით აშოტ კურაპალატის მიერ აშენებული ტაძარი ბაზილიკას წარმოადგნდა და გუმბათიან ეკლესიად ის გადაკეთებულია XII—XIII საუკუნეებში, თამარ მეფის დროს და მაშინვე არის მოხატული (იხ. მისი დღიური, გვ. 161). ეს აზრი მიუღებელია: არსებობს ორ თხევთხედ ქვაზედ ამოჭრილი ბაზელიეთები, რომელნიც ოპიზიდანაა მოტანილი დ. ერმაკოვის მიერ და ინახება საქართველოს მუზეუმში. ამ ქვებზე სამი ფიგურაა წარმოდგნილი: შუაში ტახტზე მჯდომარე მაცხოვარი სახარებით ხელში; მას აშოტი აწვდის ეკლესიის გეგმას; მაცხოვარი მაკურთხეველი მარჯვენა ხელით იღებს შეწირულე-

¹ იხ. ჩვენი მონოგრაფია „Материалы по археологии Кавказа“-ს XII ნაკვეთში, გვ. 45—51.

ბას. შემწირველის ფიგურას აწერია: „აშტ“ („აშოტ“), ეკლესიის გეგმას აწერია „ეკლესა“, („ეკლესიად“), მაცხოვარს აწერია: „ჰე ქე“ („იესე ქრისტე“). მაცხოვარს მარჯვნივ (მაყურებლის მხრით) მეორე მომცრო ფიგურაა, ისეთივე ტანისამოსით შემოსილი, როგორითაც აშოტი: მას აწერია „დვთ“ („დავით“). გეგმაზე ჩანს, რომ ეკლესია გუმბათიანია, მაშასადამე აშოტს გუმბათიანი ეკლესია აუშენებია და არა ბაზილიკა, როგორც ნ. მარი ფიქტობდა. რომ ეს ქვები ოპიზის მთავარ გუმბათიან ეკლესიას ამკობდა, ამას ამოწმებს გ. ყაზბეგი, რომელმაც ნახა ეს ბარელიეფი 1873 წელს, ეკლესიის სამხრეთ ფასალზე, „ფრიად საჩინო აღგილას“¹. ბარელიეფები თავიანთი წარწერებითურთ ჩემ მიერ არის გამოცემული². ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ მთავარ გუმბათიან ეკლესიაში დაცული ფრესკის წარწერას, რომლის მიხედვითაც აშოტ კურაპალატი მეორედ მაშენებელია „ოპიზისა და წმილისა ამის საყდრისა“ (ესე იგი მთავარი გუმბათიანი ტაძრისა), რასაც ადასტურებს მთავარი ეკლესიის კედლის ბარელიეფები და წარწერა საოსტიგნე-სემინარიის დიდი ბაზილიკური დარბაზისა, რომელიც იმავე აშოტს აუშენებია ოთხი წლის განმავლობაში, ყოვლად შეუძლებელია აშოტ კურაპალატი არ ვიცნათ ოპიზის ბაზილიკის გუმბათიან ეკლესიად გარდამქნელად და იმ თვალსაჩინო საოსტიგნე-სემინარიის დარბაზის პირველ აღმშენებლად.

ახლა საკითხია, თუ რომელი აშოტ კურაპალატია ყველა ამის მომქმედი? ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის ორი აშოტი ატარებდა კურაპალატის ხარისხს: ერთი აშოტ I დიდი, ბაგრატიონთა მამამთავარი და მეორე აშოტ IV (გარდაიცვალა 954), ადარნასე II ქართველთა მეფის ძე. ამას ჰქავდა ძმა, დავით ქართველთა მეფე (923—937) და ეგებ ეს უკანასკნელი იყოს წარმოდგენილი ზემოაღწერილი ბარელიეფის მეორე ფიგურის სახით, რომელსაც აწერია „დავით“. მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ბარელიეფთა მოტლანები სტილი, რომელიც IX საუკუნეს უფრო შეეფერება, ვიღრე X-ს. კიდევ უფრო ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას ბარელიეფთა წარწერების პალეოგრაფიული სასიათი. მაშასადამე, დავვრჩა აშოტ I დიდი, რომლის გამომხატველი უნდა იყოს პირველი ფიგურა, ეკლესიის გეგმით ხელში. ხოლო მეორე ფიგურა, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს; დავით მცდე—წინასწარმცილების, რომლის შთამომავლადაც სთვლილენ თავს ქართველი ბაგრატიონები და ეს აზრი გატარებულია ამ ჩვენს სუმბატის ქრონიკაშიც.

2

გიორგი მერჩულის ცნობით ადარნასეს მეულე ყოფილა „ბაგრატ შაროელის ხელმწიფის ასული ბევრელი“, რომელიც ადარნასეს მეძავი ქალის ჩაგონებით განუშორებია და გაუგზავნია აფხაზეთში, საიდანაც ყოფილა იგი მოყვანილი. ამის შემდეგ მას სხვა ქალი შეურთავს. გრიგოლ ხანძთელს ამის გამო რამოდენიმეჯერ უშხილებია ადარნასე. როდესაც მხილებას არ გაუჭ-

¹ Г. Казбек — „Три месяца в Турции и Грузии“. Записки Кавказского Отделения Русского Географического Общества“, кн. X, 75—79.

² „Археологические экспедиции, разыскания и заметки“, II. Тифлис, 1905. ჩრ-59. ჩემი ეს გამოცემა ნ. მარს განმარტივია, თორემ არ იწყოდა. აშოტს ბაზილიკა აუშენებია, არამედ იტყოდა, რომ წინათ აწენებული ბაზილიკა მას გუმბათიან ეკლესიად უქცევია.

რია, გრიგოლს ვითომც უწინასწარმეტყველია მისთვის: „არა სმენისათვის სიტყვათა ჩემ გლოხაკისათა მიეც ბოროტთა სენთა, და რომელ აწ ძენი გეხსნეს, ივუემენ ეშმაკთაგან და ვერ განეკურნო და ვერც შვილნი იგი შენი, ვიდრე არა შეინდოთ დედოფლის მისგან“ (გ. მერჩული, ცხოვრებაც გრიგოლ ხანძთელისაჲ, 6. მარის გამოცემა, გვ. 63). ამას შემდეგ ადარნასე მართლაც ავად გამხდარა და განკურნებულა მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოფილ მეუღლეს, მონაზონაც შემდგარს, შეუნდვია მისთვის. გრიგოლის წინასწარმეტყველებას, რა თქმა უნდა, ფაქტად ვერ მივიღებთ; იგი და სასწაულთმოქმედება ჩვეულებრივი სამკაულია ყველა წმიდანის ცხოვრებისათვის, მაგრამ ცნობები მეუღლის ვინაობისა და განშორების შესახებ სწორი უნდა იყოს. დღემდის აღიზიანებდა მკვლევართა ცნობისმოყვარეობას უცნობი ტერმინი შაროელი, რომელიც აქ პირველად გვხვდება ჩვენს ლიტერატურაში. 6. მარმა ეს ტერმინი პიპოთეზურად დაუკავშირა შარვაშიძეთა გვარეულობას, მავრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილის ბოლოდროინდელი კაპიტალური ნაშრომიდან ირკვევა, სახელწოდება შარო ყოფილა ქართული შესატყვისი სარმატებისა, ანუ საურომატებისა და სკრმატებისა, როგორც დე-ლი ბერძნ-რომაელი მწერლები აღნიშნავდნენ ჩრდილო-კავკასიის ერებს, რომელთაც აკუთვნებდნენ აფხაზებსაც. ამრიგად, შაროელთა ჯეუფს შეადგენდნენ: აფხაზები, უბისები, ჩერქეზები ანუ ადილელები, ყაბარლოელები და აგრეთვე სინდურ-ლილორ-ლეგურ-ალბანური ტომები. „შარო“ სახელი, ავტორის სიტყვით, ყოველგან, ფართო ტერიტორიაზე გავრცელებული და მას რაღაც ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. „ამნაირად, დასძნს ივ. ჯავახიშვილი, საურომატებისა, ანუ სარმატებისა და სკრმატების სახელი ადგილობრივი სახელი ყოფილა და შაროელთა ენის აღმნიშვნელია“ (იხ. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. ტფილისი, 1937, გვ. 624). ჩვენი მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ თუ შაროელ ხელმწიფელ აფხაზთა ხელმწიფე იგულისხმება, მაშინ ადარნასე I მეუღლე ყოფილა აფხაზთა მეფის ბაგრატ I (861—873) ასული. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მერჩული ხაზგასმით აღნიშნავს, ეს მანდილოსანი აფხაზეთიდან იყო მოყვანილი და აფხაზეთშივე გაისტუმრია ადარნასე I. ამას გარდა, „ბაგრატი“ ჩრდილო კავკასიის სხვა რომელიმე ერის ხელმწიფის სახელად იმ დროს საგულისხმებელი არ არის.

ადარნასე I გარდაცვალების დრო ჯერჯერობით არ ვჩერით. შეიძლება სუმბატს ქორონიკონი აღნიშნული ჰქონდა, მაგრამ ჩვენს ნუსხებს აკლია.

3

ეს ბაგრატი აშოტის შუათანა შვილი იყო, მაგრამ, მერჩულის თქმით, იგი „უმთავრეს ძმათა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთისა მსახურებისა სისრულითა... და ნებითა ძმათა თვესთავთა და ბრძნებითა ბერძნთა მეფისაცთა მიიღო კურაპალატობა ნაცვლად აშოტ კურაპალატისა მამისა თვესისა, რამეთუ მიეცა მას უფლობაც კელმწიფებისაჲ ზეგარდამო და ძმანი მისნი ყოველნი და დიდებულნი კელმწიფენი ადარნასე უხუცესი და გუარამ მრწემი მშუალესა მას ძმასა მორჩილ ექმნენს საღმრთოესა

ძმობისა სიყვარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს „იგინი“ (გვ. კტ). მართლაც, ბაგრატი შესანიშნავი და გამჭრიახი მმართველი განდა; მან დაიბრუნა ცველა მხარე, რაც მამის სიკვდილის შემდეგ დაეკარგათ, განაღილა თავისი სამფლობელო და, მერჩულისავე თქმით, სახელმწიფო შემოსავლიდან საქველმოქმედო გადასდო „გლახავთა ნაწილი“. ამას გარდა, მისი თვისება იყო „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვად“ (მერჩული, გვ. ლბ) და იგი იყო „წმილათა ეკლესიათა მაშენებელი“. მის დროს და მისი საფასით აღაშენა გრ. ხანძთელმა შატბერდის შესანიშნავი მონასტერი, ხოლო საბან იშნელმა იშნენის მშვენიერი საეპისკოპოსო საყდარი.

4

„მატიანე ქართლისად“-ს ცნობით, გუარამ მამფალი „დამარხეს ოპიზას მეორედ მისგან აღშენებულსა“ (მარ. ვარიან., გვ. 225). დ. ბაქრაძის აზრით, ქართლის ცხოვრებაში ამ ადგილას შეცდომაა, ვინაიდან ოპიზის მეორედ მაშენებელი, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნულიო, აშოტ ეურაპალატი იყო (ვაზუშტ. ისტორია, გვ. 122. შენიშ. ბ). მაგრამ მაპიზის მონანტერში იმდენი სხვადასხვა შენობა იდგა, რომ მას არა ერთი და ორი „მეორედ მაშენებელი“ უნდა ჰყოლოდა.¹ გუარამი და მისი ძმები საერთოდ მხურევალე მონაწილეობას იღებდნენ იმ დროს ეკლესიათა შენებაში. გუარამი ძლევამოსილი ერისთავი ყოფილა: მას დაუპყრია ჯავახეობი, ტაშირი, აბოცი (სომხების აშოცი) და არტანი და იგი „ბრძოლა სარკინოზთა, ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა“. ბოლო დროს მან „განუყენა ქეყუანანი ძმათა თვესთა აღარნასეს და ბაგრატს და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვესთა სომეხთა მეფისასა“ (მარ. ვარიანტი, გვ. 123) და თვით ბერად შედგა, რაც მის სულიერ მისწრაფებას ამჟღავნებს. აღსანიშნავია აგრეთვე ჯავახეთის საეკლესიო კრება, რომელიც გუარამ მამფალს მოუწვევია გრიგოლ ხანძთელის მიერ აღზრდილი ბერის, არსენის მცხეთის კათალიკოზად უკანონოდ, ძალადობით არჩევის გამო. სამცხეის გავლენიან აზნაურს მირიანს შეუკრებია მცირერიცხოვანი ეპისკოპოზები და სამცხეის ერის ჩარევით იძულებული გაუხდია კრება, რომ მისი შეიძლი არსენი ბერი აერჩიათ მცხეთის კათალიკოზად. ამას აუშფოთებია დანარჩენი ეპისკოპოზები და თვით ეფრემ დიდი, აწყურის ეპისკოპოზი, გრიგოლ ხანძთელის მიერვე აღზრდილი და არსენის მეგობარი. მაგრამ გრიგოლ ხანძთელს კრებაზე განუცხადებია, რომ არსენი ლვთის მიერ არის არჩეული. მისი აეტორი-ტეტის წინაშე ყველას ქედი მოუხრია და მათ შორის გუარამსაც, რომელსაც მანამდე კრებაზე მწარე სიტყვებიც უხმარია გრიგოლის მიმართ. ამ ისტორიაში გუარამ მამფალი, ეფრემ დიდი და მთელი კრება საეკლესიო კანონის დამცველად გვევლინებიან, გრიგოლ ხანძთელი კი უკანონო არჩევის მომხრედ, თუმცა არსენი თავისი პირადი ლირსებებით შესაფერი იყო კათალიკიზმისათვის და თავისი მოქმედებით არსენ დიდი ის სახელიც დაიმსახურა (იხ. მერჩული, გვ. მთ).

¹ ესეც რომ არ იყოხ, ჩვეულებად ჰქონიათ, როგორც ეტყობა, „მეორედ მაშენებელი“ ეწოდებინათ კაცისათვის, თუნდაც მას ნამდვილად მესამედ ან მეოთხედ განეახლებინოს შენობა. ვერსად ვერ ვხდედავთ წარწერას, „მესამედ“, „მეოთხედ“ და ა. შ. „აღაშენაო“.

5

იხ. „მატიანე ქართლისახ,“ საღაც ნათქვამია, რომ თეოდოსი აშოტ კურაპალატის სიძე იყო (მარიამ. ვარიან. 219).

6

ბროსეს და მარკვარტის ტაბულებზე გურგენი მამფლის პატივით არის მოხსენებული (Hist. d. I. Géorgie, t. II, livr. 1, p. 622), მაგრამ არ ჩანს, თუ საიდან არის ეს ცნობა ამოღებული. სუმბატი მას ამ პატივით არ იხსენიებს, ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ გურგენი „წარმოვიდა ტაო-კალმახით, მაშულით თვისით, ცხოვრებად შავშეთს და კლარჯეთს“ (წ 50). ამიტომ ეს გურგენი და მისი შთამომავლობა ეკუთვნიან კლარჯეთის შტოს. ბროსეს და მარკვარტის ის ტაოს კურაპალატიდ ჰყავთ გამოცხადებული და საზოგადოდ ისინი ტაოსა და კლარჯეთის შტოებს ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან. ბოლნისის წარწერაში გურგენი ერისთავთ ერისთავის პატივით არის მოხსენებული, ხოლო 881 წლიდან ის კურაპალატი გახდა. ბოლნისის წარწერები გამოსცა ლ. მუსხელი-შვილმა („ენიმის“ მოამბე, III, ტფილისი 1938, გვ. 337—339, 341—342.).

გ. მერჩულის სიტყვით, გურგენ კურაპალატი გრიგოლ ხანძთელის მრნა-თლული ყოფილა და გარდაცვალების წინ მას დაუტოვებია ანდერძი, „ვითარ-მედ ნათლის მამისა ჩემისა ძუალთა მახლობლად დაზღვით ფეხთა თანა მისთა და სხუათა მათ მამათა ძუალნი ჩეზედა დაუსვენენით“, და ეს ანდერძი აუსრულებიათ კიდევაც (მერჩული, გვ. ლგ.).

7

გ. მერჩული ადარნასეს შეილთა შორის იხსენიებს გურგენ კურაპალატს და სუმბატს, ხოლო აშოტ კეკელას, რომელიც გარდაიცვალა 867 წელს, არ იხსენიებს. მერჩულის სიტყვით, ამხდარა გრიგოლის წინასწარმეტყველება მოხსენებული ორი შეილის შესახებ და ისინი „მტრისაგან (ეშმაკისაგან) ფრიად იტანჯებოდეს“, მაგრამ განკურნებულან, როდესაც მამას გაუგზავნია იმუამად უკვე გარდაცვალებული დედის საფლავზე და იქ ულოციათ (მერჩული, გვ. ნთ). თ. ლომოურის აზრით, აშოტ კეკელას მერჩული არ იხსენიებს იმიტომ, რომ მოთხრობილი ამბების დროს ის ცოცხალი აღარ ყოფილა-მაშასადამე, ამ ამბებს ადგილი ჰქონია 867 წლის შემდეგ და ამ დროს მათი მამა ადარნასე ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა (იხ. „არილი“. გვ. 51).

8

ამ სუმბატს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იხსენიებს კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომელიც მას „დიდს“ უწოდებს (გვ. 206), მაგრამ არ აღნიშნავს, თუ ვისი შეილია იგი.

9

დავით კურაპალატის ნათლიაც გრიგოლ ხანძთელი ყოფილა (მერჩული, გვ. ლგ). ეს დავითი გარდაცვალილადაა მოხსენებული აღიშის სახარების ბოლო-სიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 897 წელს, ადარნასე II კურაპალატის (შემდეგ, 899 წლიდან, ქართველთა მეფის) დროს.

10

ადიშის სახარების ბოლოსიტყვაობიდან ჩანს, რომ ეს ადარნასე ბერად ჟემდგარა არსენის სახელით და იქ იგი გარდაცვალებულთა რიცხვშია მოხსენებული 897 წელს. მარკვარტის ტაბულაზე აშოტის ქალი გამოცხადებულია კლარჯეთის შტოის წარმომადგენლის, სუმბატ I დიდის ცოლად, მაგრამ ეს ჟეცდომაა. რომ ადიშის სახარების არსენი იგივე ადარნასე პირველია, ამას მოწმობს გარდაცვალებულ ძმათა ქრონოლოგიური რიგი: არსენი, იგივე ადარნასე I (გარდაიცვალა 874), დავით I კურაპალატი (გარდ. 881), აშოტ II (გარდ. 885).¹

11

როგორც წინა შენიშვნიდან ჩანს, ეს აშოტიც მოხსენებულია ადიშის სახარებაში.

12

ამ სამგებარი სახელით არის ცნობილი ეს გუარამ მამფლის ქე სუმბატისა და სხვა ქრონიკებში. მის მიერ დავით I კურაპალატის მოკვლისა და ამით გამოწვეული ბრძოლის შესახებ იხ. მარიამისეული ვარიანტი, გვ. 224-225, 346-347 და ივ. ჯვახიშვილის ქართვ. ერის ისტორია, II, გვ. 380—382.

13

ბაგრატმა ჯერ ადარნასე მოქლა და მერმე შეირთო მისი ცოლი (მარიამ. ვარიანტ. გვ. 225).

14

ამ ადარნასე II პატივი შეიძლება ერისთავთ ერისთავი იყოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღვადგენთ სუმბატის ქრონიკის ნაკლოვან ტექსტს (§ 51), სადაც იკითხება: „გარდაიცვალა გურგენ კურაპალატი ქორანიკონსა: რია: და დაუტევნა ორნი ქენი, ადარნასე ერისთავთ ერისთავი“... მეორე ძის სახელი აკლია, მაგრამ შემდეგი ადგილიდან ჩანს, რომ ეს ყოფილა აშოტ ერისთავთ ერისთავი, „რომელსა ეწოდა კუხი“ (§ 55). თუ ფრაზას ასე აღვადგენთ: „დაუტევნა ორნი ქენი. ადარნასე და (აშოტ) ერისთავთ ერისთავი“, მაშინ უკანასკნელი პატივი უნდა მივაკუთხოოს მარტო აშოტს, რომელიც ქვემოთაც ამ პატივით არის მოხსენებული. ვახტანგის კომისიის მიერ შესწორებულ თემურაზისეულ ვარიანტში ეს აღვილი ასეა აღდგენილი: „და დაუტევნა ორნი ქენი ადარნასე და აშოტ, რომელიც შემდგომად ერისთავთ ერისთავად დასვეს“ (იხ. მარიამ. ვარიანტ. გვ. 348, შენიშ. 11). ქვემოთ ადარნასე II გარდაცვალება იგულისხმება 896 წელს; მაგრამ იქ არა თუ მისი პატივი არ არის მოხსენებული, არამედ თვით მისი სახელიც შეცდომით გამოშვებულია გადამწერის მიერ (§ 52).

¹ იხ. ჩვენი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეშ-სვანეთში 1910 წელს“, პარიზ, 1938, გვ. 810.

15

სწორედ ამ აშოტ კუხს ეკუთვნის ალშენება ტბეთის დიდებული ეკლესიისა შავშეთში. სუმბატი მოგვითხრობს: „აშოტ ერისთავი ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსაც ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასუა პირველად ებისკოპოზად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა“ (§ 55). ამავე აშოტის ბრძანებით სტეფანე მტბეგარს ალუწერია წამება წმინდისა გობრონისა, რომელიც აწამეს არაბებმა ყველის ციხის აღების დროს (ფოცხოვში), 914 წელს. ვინაიდან აშოტ კუხი გარდაიცალა 918 წელს, მისი ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს 914-918 წლებში (ივ. ჯავახიშვილი, ძეველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1916, გვ. 44). იმავე აშოტ კუხს დაუწყია ახალი ეკლესიის შენება ხანდთაში: „შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან აშოტ ერისთავთა ერისთავმან ხანდთას ახალი ეკლესია დაიწყო წადიერად და ურიცხვი შესაწირავი გარდავმატა მას“ (მერჩული, გვ. ლგ). ამ ეკლესიის ნანგრევების აღწერილობა და სურათები იხილეთ ნ. მარის დღიურში (გრიგოლ ხანდთელის ცხოვრების დამატება), გვ. 126—130.

16—17

აშოტ კეკელას შეიძლები, გურგენ II კურაპალატი და სუმბატ II ანთიპატრიკი ბროსეს ტაბულაზე აღნიშნული არ არიან, თუმცა მის მიერ გამოცემული თეიმურაზისეული ვარიანტის ტექსტში ისინი კი იხსენიებიან (ქართ. ცხოვ. I, გვ. 198—200=Hist. de la Géorgie, I, p. 282). მარკვარტი ამ შეცდომას ასწორებს (გვ. 434). ვახუშტი ბატონიშვილი არ იცნობს არც სუმბატის ქრონიკას და არც თეიმურაზისეულ ვარიანტს. და ამით იხსენება მისი განცხადება. აშოტ კეკელა უძეოდ გარდაიცალა (ქართლ. ცხოვ., ტ. II, გვ. 150).

ზემოთ (გვ. 43) უკვე აღვნიშნეთ, რომ გურგენ II შეცდომით უნდა იყოს კურაპალატად მოხსენებული და ამაში ეგებ გურგენ I კურაპალატობის გავლენასაც მიუძლოდეს წილი. ატენის ტაძრის ერთ ახალაღმოჩენილ წარწერაში იკითხება: „მამფალი სუმბატ, ძე აშოტისი“—ო. ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს სუმბატ II ანთიპატრიკი. თუმცა მას ქრონიკის ავტორი სუმბატ დავითის ძე ამ პატივით არ იხსენიებს, მაგრამ ცნობილია, რომ სუმბატი საერთოდ ხშირად როდი ჩამოსთვლის ამა თუ იმ ბაგრატიონის ყველა პატივის. ზემოთ დამოწმებული წარწერის გამომცემელი, ს. ბარნაველი შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „ისტორიულ თხზულებებში ხსენება მამფალის სუმბატ აშოტის ძისა არ გვხდება, მხოლოდ ატენის სიონის მე 11-12 საუკუნის (აკად. ივ. ჯავახიშვილის დათარილებით) ფრესკაზე (ზემო ფრენა), წარმოდგენილია პორტრეტი, როგორც ეს წარწერიდან ჩანს, სუმბატ აშოტის ძისა. შესაძლოა, იგი იყოს ახლად აღმოჩენილი წარწერის შამფალი სუმბატ, რომელიც, ატენის სიონთან რაღაც დაკავშირების გამო. მოჰკვა ტაძრის ახალ მოხატულობაში“ (იხ. სარა ბარნაველი—„ატენის ახალი წარწერები“. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, №1-2. 1946). ეს აზრი მიუღებელია—უპირველეს ყოვლისა იშიტომ, რომ ფრესკის წარწერაშიც ამ სუმბატს მამფალი არ ეწოდება (იხ.

ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“. 1913, გვ. 378, სურათი) და, ამას გარდა, საერთოდ X საუკუნის შემდეგ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა-გან აღარავინ იხსენიება მამთალის პატივით.

18

ამ დავითს დიდ ს მხოლოდ კონსტანტინე პორფიროგენეტი უწოდებს.

19

აქ სუმბატის ქრონიკის ტექსტში ცოტაოდნად დარღვეულია ქრონოლოგიური რიგი, ვინაიდან ამას მოსდევს ცნობა 908 წ. იმ დავით ერისთავთ ერისთავის გარდაცვალებისა, რომლის ვინაობა და თარიღი ჩვენ ზემოთ გამოვიყვალით (გვ. 18—20).

ამის გამო და აგრეთვე იმის მიხედვით, რომ აღვსება (ე. ი. ალდგომა) 20 აპრილს 909 წელს კი არ მოდიოდა, არამედ 906 წელს. თ. ეორდანია ფიქრობს, რომ აქ 909 წ. შეცდომით სწერია 906 წ. მაგიერ.

20

ადარნასე II ერთი უაღრესად თვალსაჩინო ფიგურაა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის, კარგად ცნობილი ბიზანტიისა და შეტადრე სომხურ ისტორიაში. ადარნასეთი თავდება ქართლის დიდ ერისთავთა პერიოდი, მეექვეუ საუკუნის ბოლოდან დაწყებული, და იწყება ახალი, ქართველთა მეფების პერიოდი, ვინაიდან ის გახდა 899 წ. პირველ „ქართველთა მეფედ“ და შემდეგი მეფეები ყველანი მისგან მომდინარეობენ. მისი ისტორია კრილად იხილეთ ივ. ჯავახიშვილის წიგნში, „ქართველ ერის ისტორია“, II, გვ. 381—385 და ბროსეს „Additions“-ში, p.p. 162—168.

21

ჩვენი შენიშვნები ამ დავითის შესახებ იხილეთ ზემოთ შესავალში, გვ. 18—21.

22

ჩვენი შენიშვნები ამ გურგენის შესახებ იხილეთ ზემოთ, შესავალში, გვ. 33. ვახუშტი ბატონიშვილი ამ გურგენს გვარამს უწოდებს (იხ. მისი ისტორია, ბაქრაძის გამოცემა, გვ. 128). ბაგრატ IV მეფის ცნობილ სიგელში, რომლითაც ის არჩევს ოპიზართა და მიჯნაძოროელთა დავას ადგილის გამო, სხვათა შორის, ნათელებია: „და მოიხუნეს (ე. ი. მოიტანეს, ე. თ.) მიჯნაძოროელთა სიგელნი გურგენ ერისთავთა ერისთავისა, გურგენ მეფეთა მეფისა“... დ. ბაქრაძე და წინათ მეც აქ მოხსენებულ გურგენად ვგულისხმობდით გურგენ V (+968,) მაგრამ ეხლა მე მგონია, რომ აქ იგულისხმება სწორედ ეს დიდი გურგენ IV ერისთავთ ერისთავი (იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 1—5).

23

დინარ დედოფლის, მისი ქმრის ადარნასე პატრიკისა და მათი შვილის იშხანიკის შესახებ ჯერჯერობით ცნობა მოგვეპოვება მარტო „მატიანე ქართლისაში,“ სადაც სწერია: „მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევს ჯარსა, მიუპყრა ზავის პირი (კონსტანტინე აფხაზთა მეფეს და კვირიკე კახეთის ქორიკოზს, ე. თ.)... და ჰერეთს მეფობამდე იშხანიკისა პირველნი ყოველნი იყვნეს მწულებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავი ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცინა მართლმადიდებლად“ (მარიამ ვარ., გვ. 229), დინარ დედოფალი მოხსენებულია მეფის ბაგრატ III დროსაც. დავით დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (1001), როდესაც ბაგრატია მეორედ აიღო ჰერეთი და „დაიმჭირა დინარ დედოფალი თვისად“ (იქვე, გვ. 243).

24

ამ სუმბატის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გ. მერჩული თავისი წიგნის დაწერის დროს, 951 წელს. ერისთავის პატივით იხსენიებს. პარხლის სახარების გადამწერი იოანე ბერაზ მას იხსენიებს 973 წ. ისევე როგორც სუმბატი, ერისთავთ ერისთავის პატივით (იხ. ჩვენი გამოკვლევა — Материалы по археологии Кавказа“-ში, ვ. XII. გვ. 243).

25

ჩვენი შენიშვნები ამის შესახებ იხ. ზემოთ, შესავალში, გვ. 34.

26

რომ ეს გურგენი გურგენ მაგისტროსი არ არის, ამის შესახებ ჩვენი შენიშვნა იხ. ზემოთ, გვ. 33.

27

ჩვენი განმარტება აშოტ კისკასისა და მისი ქალის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 34.

28

ჩვენი შენიშვნა ამ დავითის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 33.

29

ჩვენ ზემოთ (გვ. 34) უკვე გამოვარეულით. რომ რასაც კონსტანტინე პორფიროგენეტი მოგვითხრობს თავისი დროის აშოტ კურაპალატისა და აგრეთვე მისი ძმების გამო, ეხება იმ აშოტ კურაპალატისა და მის ძმებს, რომელნიც იყვნენ შეილები ადარნასე II ქართველთა მეფისა და არა ადარნასე III კლარჯოსა, მონაზონობაში ბასილისა. სხევათა შორის, ამას საბოლოოდ ამტკიცებს იშხნის ეკლესიის ჩრდილო ეკვდერის შესანიშნავი წარწერა, რომელსაც ჩვენ ახლო მომავალში ვაქვეყნებთ ტაო-თოროთუმის 1917 წ. ორქელოგიური ექსპედიციის ანგარიშში. ამ წარწერაში ჩამოთვლილია ადარნასე II ყველა შვილი და აღნიშნულია თითოეულის პატივი:

30

სუმბატს იხსენიებს XII საუკუნის არაბი შწერალი მასუდი, როდესაც იგი საუბრობს აფხაზ-ალანთა მოსაზღვრე დიდი ქრისტიანი ტომის. ჯურზების (ე. ი. ქართველების, ე. თ.) შესახებ (იხ. Hist. de la Géorgie, I. გვ. 286.). როგორც აღვნიშნეთ, სუმბატის შეიქ არის აშენებული მშვენიერი ეკლესია ყოფილ ართვინის რაიონში, სოფელ დოლისყანაში. ამ უკანასკნელის სურათები, აღწერილობა და წარწერები იხილეთ მარის დღიურში, გვ. 184—189. ხოლო გეგმები, აკად. პავლინოვის შეიქ გაკეთებული. „Материалы по археологии Кавказа“-ს III ტომში.

31

სომხის ისტორიკოსი იოანე კათალიკოსი წერს, რომ კონსტანტინე I აფხაზთა მეფე (873—912) ადარნასე II ქართველთა მეფის სიძე იყო, მაგრამ არ აღნიშნავს, კონსტანტინეს ცოლი ადარნასეს ქალი იყო თუ დად? (იხ. ბროსეს „Additions“, გვ. 163). ყოველ შემთხვევაში, იგი უნდა ყოფილიყო პირველი ცოლი, რადგან შემდეგ კონსტანტინემ სუმბატ სომხეთა მეფის ქალი შეირთო.

32

ამას მოწმობს ყარსში აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერა (იხ. C. Ter-Avetisyan. Известия КИАИ, т. III, стр. 124—128).

33

„მატიანე ქართლისაც“ გვამცნევს, რომ ბაგრატ კონსტანტინეს ძე გურგენ ერისთავთ ერისთავის სიძე იყო, მაგრამ დანამდვილებით კი არ აღნიშნავს, ბაგრატის ცოლი გურგენის ქალი იყო თუ დად? (ზარიაშ. ვარიან., გვ. 228).

34

სუმბატ დავითის ძე მეცნიერებად იცავს ქრონოლოგიურ რიცს: 992 წელს აღნიშნული აქვს სუმბატ II გარდაცვალება: ამის შემდევ აღნიშნულია დავით IV გარდაცვალება, მაგრამ ქორონიკონი დედანში შეცდომით გამოშვებულია (§§ 75, 76), ხოლო შემდევ 994 წელს ბაგრატ რევენის გარდაცვალებაა აღნიშნული. ამიტომ დავით IV გარდაცვალება მოდის 992—994 წლებს შუა.

35

ველისციხის ერთი წარწერა, 954 წლისა, იხსენიებს გუარამს, მაგრამ გუარამი ამ დროს ცნობილი არ არის. დ. ბაქრაძის მოსაზრებით გუარამი აქ გურგენის მაგიერ უნდა ეწეროს და უნდა უღრიდეს გურგენ V, რომელიც 968 წელს მიიცვალა (ვახუშ. ისტორ.. გვ. 131. შენიშ. გ.). მართლაც, ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს, სადაც სახელუბი „გუარამ“ ანუ „გურამ“, „გვარამ“, და „გურგენ“ ერთმანეთს ენაცვლება (დამწერლობის ნიადაგზე აღმოცნე-

ბული შეცდომით აიხსნება ეს, თუ სხვა მიზეზით, სხვა საკითხია). მაგალითად, დიდ ერისთავთა სიაში ადარნასე II ერთი შვილი შატბერდის ხელნაწერში „გუარამაძ“ არის მოხსენებული, ხოლო ჭელიშის ხელნაწერში და სუმბატის ქრონიკაში „გუარამის“ მაგიერ სწერია „გურგენ“ (იხ. ჩვენი ი. ცი. რუკი. ინშ. გრამ. II, გვ. 727). საყურადღებოა აგრეთვე, რომ ვახუშტი ამ გურგენ-საც და მის მამასაც ორივეს გუარამს უწოდებს (ქართლ. ცხოვრება, II, გვ. 150). იგივე ვახუშტი, როგორც ჩვენ მე-22 შენიშვნაში ვუჩვენეთ, გურგენ IV დიდს გვარამს უწოდებს. ამ მაგალითების მიხედვით დ. ბაქრაძის აზრი, რომ ველისციხის წარწერის გუარამი გურგენ V უნდა იყოს, მისალებია. (ველისციხის და მისი ეკლესიის აღწერილობა იხ. ჩვენს მონოგრაფიაში— „მათერიალი იო არქეოლოგია ქავკაზა“, XII, გვ. 72).

36

ეს ადარნასე III მოხსენებულია ოშკის ტაძრის წარწერაში, როგორც მამა ბაგრატ IV ერისთავთ ერისთავისა და დავით III დიდისა, ტაოს მეფე-კურაპალატისა, ოლონდ იმ ღროს ჯერ მხოლოდ მაგისტროსისა. მაგრამ ის არ არის შვილებთან ერთად მაშენებელი ოშკის ეკლესიისა, როგორც აცხადებს ივ. ჯავახიშვილი (ქართული პალეოგრაფია, გვ. 165). ამიტომ არც მისი ბარელიეფია იქ წარმოდგენილი. რამ აიძულა შვილები, რომ მამა ძალად „ფიჩისან ექმნენ“, ე. ი. ბერად შეეყენებინათ, ცნობილი არ არის, მაგრამ, ეტყობა, შვილები მისი კურაპალატობით კმაყოფილი არ იყვნენ.

37

ამ ბაგრატის მეფობა ივ. ჯავახიშვილის ტაბულაზე აღნიშნულია 937—994 წლებში. ეს არ არის სწორი. როგორც ზემოთ გამოვარკვიეთ, 937—945 წლებში ქართველთა მეფედ იყო ბაგრატ I მაგისტროსი, ხოლო 945—958 წლებში უმეფობა იყო და შემდეგ, 958—994 წლებში კი უკვი ეს ბაგრატ II რეგვენი მეფობდა.

38

ეს ბაგრატ IV ერისთავთ ერისთავი ოშკის ტაძრის ერთ-ერთი მშენებელია და იქ მისი ბარელიეფია წარმოდგენილი.

ჩვენი ექსპედიციის დროს, 1917 წელს, ეს ბარელიეფი მულავის საშუალებით იქნა გადმოლებული და მულავიდან ჩამოსხმული ამჟამად ინახება მეტეხის მუზეუმში.

იგივე ბაგრატი დახატული ყოფილა იშხნის ტაძრის დასავლეთ კედელზე. ეს ფრესკული სურათი წაშლილია, მაგრამ შვეული ასომთავრული წითლური წარწერა კარგად იყითხება. მოგვყავს იგი, ქარაგმების გახსნით:

„ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, ძე ადარნასე კოვრატპალატისაც“.

ამავე ბაგრატს იხსენიებს გ. მერჩულიც, რომლის სიტყვით „ესე ბაგრატ იყო გულისხმისყოფითა ქებულ, წმიდათა ეკლესიათა აღმაშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მეძიებელ და შემქრებელ, წმიდათა ყოველთა ღირსაღ მაღი-დებელ“ (გვ. მთ).

გიორგი მერჩულს ალბათ წარმოდგენილიც არ ჰქონდა, რომ ეს ბაგრატი მის მიერ დაწერილი ბიოგრაფიის საგანს, გრიგოლ ხანძთელს, „ღირსად ადიდებდა“. მაგრამ, როგორც ჩვენამდის მოლწეული ტექსტის ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, ბაგრატს მართლა „უდიდებია“ გრიგოლი მით, რომ განუახლებია მისი ცხოვრება და შეუვსია იგი „სასწაულთა მათ გამოუსებულთა შერევითა“ /იხ. გვ. თ/. ჩვენი ეხლანდელი შეხედულებით, რა თქმა უნდა, ეს თხულების დამახინჯებას ნიშნავს, მაგრამ იმ ღროის რწმენით, ეს საქებარი საქმე იყო. არა ვგონებ, რომ ბაგრატ ერისთავო ერისთავს გრიგორი მერჩულის სიკოცხლეშივე გაეტენდა ეს თავისებური განახლება გრ. ხანძთელის ცხოვრებისა. ამ საქმეს მან ალბათ მერჩულის გარდაცვალების შემდეგ მიჰყო ხელი.

სუმბატ დავითის ძის ქორნიკის ცნობას, რომ ბაგრატ IV ერისთავთ ერისთავი გარდაიცვალა 966 წელს, ადასტურებს თვით ოშეის ეკლესიის ჩვენ მიერ აღმოჩენილი წარწერა. საქმე ის არის, რომ ოშეის ეკლესიის კედლებზე წითელი ფერადით აღნიშნული ყოფილა ამა თუ იმ ბაგრატიონის თუ სხვა თვალსაჩინო პირთა გარდაცვალების თარიღები. ახლა ეს წარწერები სულ ჩამორეცხილი თუ ჩამოფშვნილია და აღარ იყითხება, მაგრამ წარწერა ამ ბაგრატისა და ბასილ II ბერძნთა მეფის გარდაცვალების შესახებ შერჩენილია სამხრეთის მეორე კარის თავზე, სადაც ჩვენ იგი ამოვიკითხეთ:

„...[კუა]ლად კსენებაც არს ბაგრატ მეფისაც, [ამას დღესა გარდაიცვალა ს]ოკლითა კურთხეული ბაგრატ. ქორნიკონი იყო: რ: პ: გ (=186): დღესა სამშაბათსა. ღმერთმან ღირს ყავ სასუფეველთა საუკუნეთა, ამინ“.

ქორნიკონი უდრის იმავე 966 წელს, რომლითაც სუმბატი აღნიშნავს მის გარდაცვალებას. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს სუმბატის ქორნოლოგიის უებროვ სისწორეს.

ამას ქვემოთ სწორია:

„[გარდაიცვალა თვით მპყრობელი წ | ც] („წმიდაც“) მეფე ბერძნთაი ბასილი, ქორნიკონსა სმე (=245). [თვეესა] დეკემბერსა იბ (=12), დღესა კვირიაკესა. ღმერთმან სული მისი წმიდათა მეფეთა თანა დააწესოს“. ქორნიკონი უდრის 1025 წელს. ბასილი მართლაც ამ წელს გარდაიცვალა, ხოლო ბიზანტიურ წყაროებში 12 დეკემბრის მაგიერ ნაჩვენებია 15 დეკემბერი.

ვინც საქართველოს ისტორია იცის, მას ეს წარწერა არ გააკვირვებს, ვინაიდან იმ დროს იმიერ-ტაო, ესე იგი ოლთისის წყლის მარცხნა მხარე ბერძნებს ეკუთვნოდა: ბასილმა იგი ჯერ კიდევ დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, 1001 წელს მიითვისა და სხვა ადგილებთან ერთად დაიპყრო 1022 წელს, მეფე გიორგი I-თან ომში გამარჯვების შემდეგ.

ბასილ მეფეს და მის ძმას კონსტანტინეს, რომელნიც ერთად მეფობდნენ, დიილ ყურადღება მიუქცევიათ ოშეის ღიღებული ტაძრისათვის და მეორე ხელ გადაუხურავთ იგი. ამის შესახებ მოგვითხრობს ჩვენ მიერ აღმოჩენილი ასომთავრული წარწერა, რომელსაც ვაქევეყნებთ ტაო-თოროთუმის 1917 წ. ექს-პედიციის გრუელ ანგარიშში (იბეჭდება).

იმისათვის, რომ ბაგრატ ერისთავთ ერისთავის მოღვაწეობის შესახებ საუბარი დავასრულოთ, უნდა აღდნიშნოთ, რომ რაკი მას გ. მერჩული „წმიდა-

თა ეკლესიათა აღმაშენებლად“ იხსენიებს, ეტყობა, ბაგრატის ტაო-კლარჯეთში სხვა ეკლესიებიც უშენებია, ვინაიდან ოშკის ეკლესია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დაწერის შემდეგ არის აგებული: ცხოვრება დაწერილია 951 წელს. ხოლო ოშკის ეკლესია დამთავრებულია 960---961 წლებში.

39

ეს დავითი არის სახელგანთქმული დაეთ კურაპალატი, ტაოს მეფე, ერთი მაშენებელთაგანი ოშკის ეკლესიისა, საღაც წარმოდგენილია მისი ბარელიეფი, რომლის წარწერაშიც ის მაგისტროსის პატივით იხსენიება. მასვე ეკუთვნის ხახულისა და პარხლის ცნობილი ტაძრების აშენება და აგრეთვე თლალი ქვით შეძერწვა ოთხთა ეკლესიის ბაზილიკისა. პარხლის სახარებაში ის მოხსენებულია მაგისტროსის პატივით 973 წელს. კურაპალატობა მან მიიღო რა უგვიანეს 978 წლისა, როდესაც მის მიერ თორნიკე ერისთავის სარდლობით გაგზავნილმა ჯარმა ბარდა სკლიაროსი დაამარცხა. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის მან პირველმა დაიწყო მოჭრა ვერცხლის ფულისა, რომელსაც ასომთავრულით აწერია: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი“ (ზედწერილი მოგვყავს ქარაგმების გახსნით). საკვირველია, რომ ჯერჯერობით ამ ფულისა მხოლოდ სამი ცალია ნაპოვნი და სამივე საქართველოს საზღვარებარეთ, ევროპასა და რუსეთში. შესაძლებელია, „ქართველო მეფენი“, ადარნასე II-ი დაწყებული, ადრეც სჭრიდნენ ფულს, მაგრამ მათი ფული ჯერ ნაპოვნი ჰქონდა.

40

ვინაიდან ამ გურგენის შვილი ბაგრატი 978 წ. აფხაზთა მეფე გახდა, გურგენი აღარ დასჯერდა „ქართველთა მეფის“ ხარისხს და მეფეთ მეფედ იწოდა თავი. ის ამ ხარისხით მოხსენებულია იოანე მტევარ-მაწყვერელის მიერ, 995 წელს, ტემეთის სახარების მინაწერში, საღაც გვითხულობთ:

„მოვიგე ეს წმიდა სახარება... სალოცველად ღვთივ გვრჩენოსანთა შეფეთა ჩუქნთა, დავით კურაპალატისა და გურგენ მეფეთა მეფისა და ბაგრატ აფხაზთა მეფისა“ (ა. შანიძე. იოანე მტევარის ვინაობისათვის. „მიმომზიღველი“, I, ტფილისი, 1926, გვ. 222). როდესაც, 2001 წელს, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბასილი II ბერძენთა მეფე დიდი ჯარით მოვიდა დაეთ კურაპალატის მემკვიდრეობის მისაღებად, მას ეახლნენ მამა-შვილი. გურგენი და ბაგრატი. ბაგრატს ბასილმა მიანიჭა კურაპალატის ხარისხი, გურგენს კი მხოლოდ მაგისტროსობა. სუმბატ დავითის ძის განმარტებით, ბასილმა ეს ჩაიღინა, „რათამცა ვითარ მტერ ცენა ერთმანეთისა მიმართ მამა-ძენი ესე და ამით ღონითა იძმაცეა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერ აღძრა გული მისი“ (§ 81).

გურგენის მიერ 1006 წელს იშხნის კათედრალს სამხრით აშენებული ეკლესია. პატარაა, მაგრამ ერთობ ლამაზი, უებრო ჩუქურთმებით დამშვენებული. სამხრეთის კარის, ფრიად მოხდენილი ჩუქურთმებით შემკულ კარაკინზე ასომთავრული წარწერაა (იხ. ჩვენი ანგარიში ტაო-თორთუმის 1917 წ. არქოლო. ექსპედიციისა).

ეს დემეტრე მოჰკოლია საბერძნეთის ჯარს, რომელიც კონსტანტინე კეიისარმა გამოგზავნა ბაგრატ IV წინააღმდეგ 1028 წ. კეიისრის პარქიმანოსმა ტბეთის ეკლესიის ახლოს შდებარე სვეტის ციხის ასაღებად მოავლინა იოვანე ხარტულარი დიდალი ლაშქრით „და თანა მისცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუებლად ქუეყანისა მკდრთა“. მაგრამ მომხდურთ ვერაფერი დააკლეს ციხეს, რომელსაც მედგრად იცავდნენ თვით ცირხის ამშენებელი საბა მტბევარი, ეზრა ანჩელი ეპისკოპოზი და შევეონის აზნაურნი, და კოსტანტინე ავალმყოფობისა და გარდაცვალების გამო ბერძნებთა ლაშქარი კოსტანტინებოლში იქნა უკან გაწვეული (მარიამ. ვარ., გვ. 360). ამის შემდეგ დემეტრეს და მისი ძმის ბაგრატ IV კლარჯის თავგადასავალი ჩვენს წყაროებში აღისად არის მოთხოვბილი.

ამ ბაგრატ III ისტორია ვრცლად იხილეთ ივ. ჯავახიშვილის „ქართველების ისტორიაში“, 1913, II, გვ. 409—423.

როგორც აღნიშნეთ, (იხ. გვ. 42—50) ბაგრატ III დროს მთავრდება ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა ისტორია და იწყება გაერთიანებული საქართველოს ისტორია. ამრიგად, გიორგი I არის საქართველოს მე-2-ე მეფე, (1014—1027), ხოლო ბაგრატ IV საქართველოს მე-3-ე მეფე (1027—1072). მათი ისტორია ვრცლადაა მოთხოვბილი როგორც მემატიანეთა, ისე საქართველოს ისტორიის მკვლევართა მიერ (იხ. სუმბატის ქრონიკის წინამდებარე გამოცემა, წქ 86—101; ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, გვ. გვ. 214—221; ანასეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. გვ. 178—183; მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 246—256, ივ. ჯავახიშვილის „ქართველების ისტორია“, 1913, გვ. გვ. 423—432; 6. ბერძნიშვილის. ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“, 1948 წლის გამოცემის გვ. გვ. 147 და შემდ.; აგრეთვე საჭლვარგარედ გამოქვეყნებული ნაშრომები; Z. Avalichvili—„La succession du curopalate David d'Iberie, dinaste de Tao“, ქურნ. „Byzantion“, VIII, 1, Bruxelles, 1933, გვ. გვ. 176—202; N. Adontz—„Tornik le moine“, იმავე ქურნალში, ტ. XIII 1938, გვ. გვ. 143—164).

(პ) — აღნიშვნაშის კლარტეიტის შტოს

(ტ) — აღნიშვნაშის ტაოს შტოს

პირთა საძირგველი

ა

ადგავარ ს 9.

ადარნასე ქე სტეფანოზისა მთავარი ქართლისა
ს 22, 23.

ადარნასე ქე ნერსესი ს 26.

ადარნასე I ქე აშოტისა (პ) ს 29, 34, 36.

ადარნასე II ერისთავი (პ) ს 51, 52, 62.

ადარნასე III მონაზონობაში ბასილ (პ) ს 53, 65.

ადარნასე I (ტ) ს 37, 41.

ადარნასე II ქათველთა მეფე (ტ) ს 42, 46 47,
51, 58, 60, 64, 68.

ადარნასე III მაგისტროს—კურაპალატი (ტ)
ს 64, 69, 70.

ადარნასე IV კურაპალატი (ტ) ს 68, 72.

არშაკთა მეფენი ს 101.

ასამ ს 5.

აშოტ I კურაპალატი ს 27, 28, 29, 30, 31,
32, 33, 35, 36.

აშოტ II კეპლავ (პ) ს 36, 39.

აშოტ III კუხი ერისთავე ერისთავი (პ) ს 51,
54, 55.

აშოტ IV (პ) ს 53, 61.

აშოტ II (ტ) ს 37, 45.

აშოტ III (ტ) ს 38, 40.

აშოტ IV კურაპალატი (ტ) ს 58, 66, 68.

აშოტ V ქე სუმბატ I (ტ) ს 67, 68.

ბ

ბაბილა კათალიკოზი ს 22.

ბაგრატონიანი ს 3.

ბაგრატ (მამა ბაგრატონიანთა) ს 9.

ბაგრატ I მამფალი (პ) ს 48, 53, 65, 71.

ბაგრატ II არტანუჯელი (პ) ს 73, 74.

ბაგრატ III (პ) ს 57.

ბაგრატ IV (პ) ს 84.

ბაგრატ I კურაპალატი (ტ) ს 29, 34 35, 37, 42.

ბაგრატ II მაგისტროსი (ტ) ს 58, 64, 65, 69.

ბაგრატ III რეგუენი (ტ) ს 68, 72, 75, 77.

ბაგრატ IV ერისთავე ერისთავი (ტ) ს 69, 70.

ბაგრატ I აფხაზთა მეფე ს 46.

ბაგრატ II აფხაზთა მეფე, იგივე ბაგრატ III
საქართველოს მეფე ს 78, 81, 82, 83, 85.

ბაგრატ IV საქართველოს მეფე და კურაპალა-
ტი (ტ) ს 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 100, 101.

ბაკურ ქე ნერსესისა ს 11.

ბართლომე კათალიკოზი ქართლისა ს 12.

ბართლომე II კათალიკოზი ს 21.

ბასილ II ბერძენთა მეფე ს 80, 81, 87, 88, 89,
90, 91, 92, 93, 97.

ბალდაცელი ყრუ მურვან ს 30.

ბაპარ ჩუბინისი კამბეჩოვანის გამგე ს 11.

გ

გიორგი I საქართველოს მეფე (ტ) ს 86, 87, 89,
91, 92, 93, 95.

გორგასალთა შეილი ს 6.

გორგასალი ვახტანგ ს 31.

გუარამ მამფალი (ტ) ს 29, 34, 42, 44.

გუარამ ერისთავი ს 3, 8, 10, 13.

გუარამ კურაპალატი ქე სტეფანოზისა ს 24.

გურგენ ერისთავი ს 27.

გურგენ I კურაპალატი (პ) ს 36, 43, 51, 54, 55.

გურგენ II " (პ) ს 36, 39, 46, 50.

გურგენ III ერისთავი (პ) ს 53, 59, 71.

გურგენ IV დიდი, ერისთავთ ერისთავი (პ)
ს 52, 54, 56, 62.

გურგენ V (პ) ს 59, 71.

გურგენ VI (პ) ს 74, 83, 99.

გურგენ მეფეთა მეფე (ტ) ს 77, 78, 81, 82.

დ

დავით I მამფალი (პ) ს 48, 63, 73.

დავით II ერისთავე ერისთავი (პ) ს 52, 54.

დავით III ერისთავი (პ) ს 58, 57.

დავით IV (პ) ს 73, 76.

დავით I კურაპალატი (ტ) ს 37, 42, 58.

დავით II ქართველთა მეფე (ტ) ს 58, 60.

დავით III დიდი, ერისთავთ ერისთავე, შემდეგ
მაგისტროს—კურაპალატი (ტ) ს 69, 70, 79,
80, 91.

დავით IV მცირე (ტ) ს 72.

დანელ წინასწარმეტველი ს 14.

დემეტრე ქე გუარამისა ს 13.

დემეტრე აფხაზთა მეფე ს 78.

დემეტრე ქე გურგენისი (პ) ს 84, 99.

დინარ დედოფალი (პ) ტაბ. II.

ე

ენრა ანჩელ ეპისკოპოსი ს 98.

ენონ კათალიკოზი ს 13.

3

- ვარაზბაკურ ძე გურამ კურაპალატისა წ 25.
 ვარზვარად წწ 5, 11.
 ვარაზ გაფელი წწ 15.
 ვარაზ ვრიგოლ წ 16.
 ვალანგ-იოანე ხალტურალი წ 99.
 ვაჩე კარიქის ძე წ 96.
 ვეზან ერისთავი ბაჟარ ჩუბინისა წ 11.

4

- თაბორ კათალიკოზი წ 22.
 თვევდოსი აფხაზთა მეფე წ 78.

5

- ივლიანე მეფე წ 100.
 ოვანე ბანელი ეპისკოპოსი წ 96.
 ოვანე ხალტურალი ვალანგ წ 99.
 ოვანე კათალიკოზი წ 22.
 იშხანიკ ძე დინარ დიდოფლისა (კ) ტაბ. II.

6

- კონსტანტინე მეფე ბერძენთა წწ 96, 97, 100.
 კვრიკე ეპისკოპოსი ბანელი წ 47.

7

- მარიამ დედოფალი (ტ) წწ 95, 100, 101.
 მეწყევენერთა მთავარი წ 17.
 მოდისტოს პატრიარქი იელუსალიმისა წ 17.
 მოშალე წ 9.
 მურვან ყრუ ბალდადელი წ 30.

8

- ნასრა (ტ) წწ 38, 42, 44, 46, 49.
 ნერსე ერისთავი კახეთისა წწ 4, 11.
 ნერსე ერისთავი წწ 26.
 ოროზ მოროზის ძენი წ 23.
 ოსამ (იგივე ასამ და უსამ) წწ 5, 8, 11.

9

- პეტრე და პავლე მოციქული წ 31.

10

- რატი ერისთავთ ერისთავი წ 87.
 რაქაელ დედოფალი წ 2, 9.
 რომანოზ მეფე ბერძენთა წ 100, 101.

6

- საბა მტბევარი წ 98.
 სამოელ კათალიკოზი წ 8, 12.
 სამოელ კათალიკოზი მცხეთისა წ 28.
 საქაქ წწ 4, 11.
 სეიმონ-პეტრე კათალიკოზი მცხეთისა წ 7.
 სოლომონი წ 2.
 სტეფანე ეპისკოპოსი წ 55.
 სტეფანოზ დიდი ერისთავი ქართლისა
 ძე გურამისა წწ 13, 21.
 სტეფანოზ მთავარი ქართლისა ძე აღარიასესი
 წწ 23, 24.
 სტეფანოზ ერისთავი ძე ნერსესი წ 26.
 სუმბატ I არტანჯელი (კ) წწ 36, 48, 63.
 სუმბატ II ანთიპატრიკი (კ) წ 39.
 სუმბატ III ერისთავთ ერისთავი (კ) წწ 63, 73,
 76.
 სუმბატ IV (კ) წწ 74, 81.
 სუმბატ I კურაპალატი (ტ) წწ 58, 67, 68, 72, 77.
 სუმბატ II (ტ) წ 75.

11

- უსამ (ოსამ) წწ 5, 8, 11

12

- უერის ჯოჯიჯის ძე წ 88.
 ფილიპე ძე ნერსესი წ 26.
 ფოკა განდგომილი წ 85.

13

- ქსიფე შეუე ბერძენთა წ 18.

14

- ჩაჩუბა ერისთავი წ 97.

15

- წარვიზი ძე ფოკა განდგომილისა წ 88.
 წანარნი წ 87

16

- ხუასრო მეფე წ 17.

- ხურსი ერისთავი წ 87.

17

- ჯიბლუ ერისთავი (ხაკანი) წწ 14, 16.

18

- ჰერაკლე მეფე ბერძენთა. წწ 14, 15, 16, 20.

გეოგრაფიულ სახელთა საქონი

ა	კლდე-კარი წ 97. კოლა წ 87. კონსტანტინეპოლი წს 84, 92, 100.
არმაზი წ 7.	ლ
ასურაგანი წ 7.	ლალი წ 17.
არტანი წს 50, 87.	მ
არტანის კევი წ 51.	მელინავი წ 51. მყინვარი წ 85. მცხვთა წს 7, 8, 12.
არტანუჯი წ 35.	ნ
არტანუჯის ციხე წს 31, 33, 35.	ნიალი წ 87. ნიგალი წ 35. ნიგალის კივი წ 32.
აფხაზეთი წ 85.	ო
ბ	ოლთისი წ 87.
ბანა წს 47, 92.	ს
ბარდავი წს 28, 31.	საბერძნეთი წს 23, 29, 90, 93, 96. სავანეთი კორობისა წ 33.
ბასიანი წს 87, 89, 91.	სამცხე წ 87.
ბალდაძი წს 14, 17.	სივნიშთი წ 7. სომხითი წს 2, 7, 9, 82.
ბერძუჯი წ 17.	ტ
გ	ტაო წ 82, 85, 81. ტაო-გალმაზი წ 50. ტაო-იმერი წ 80. ტბეთი წ 35. ტბეთის ეკლესია წ 96. ტრაპიზონი წ 87. ტფილისი წს 7, 14, 28. ტფილისის ციხე წ 14.
გარდაბანი წს 15, 17.	უ
გ	უჯარმა წ 20.
დოლის ყანა წ 33.	ფ
ი	ფანასკერტის ციხე წს 83, 85. ფარვანის ტბა წ 29. ფილისტიმი წ 9.
ჩელები წ 2, 9.	ყ
გ	ყანასკერტის ციხე წს 83, 85.
თმოგვის ციხე წ 83.	
თრიალეთი წს 87, 95.	
თრიალეთის ციხე წ 97.	
ი	
იელუსალიმი წ 17.	
კ	
კავკასია წ 82.	
კახეთი წს 4, 7, 85.	
კალაა წ 7.	
კალაის ციხე წ 14.	
კამბეჩონი წს 5, 11.	
კლარჯეთი წს 30, 31.	

გ
ქართლი სს 8, 8, 23.
ქუთათისი ს 95.

ღ
ღადონი ს 30.

ჟ
შავშეონი სს 30, 35, 50, 55, 91, 98.
შავშეთის კევი ს 29.
შავშეთ-კლარჯეთი სს 29, 30
შაქნი ს 87.
შირვანი ს 82.
შირიმთა ს 87.

ვ
წევთის ციხე ს 97.

გ
გორობის სავანენი ს 33.

ხ
ხალდა ს 87.
ხორნაბუჯი ს 5.
ხუზაშენი ს 15.

ჯ
ჯავახეთი სს 29, 87, 91.
ჯიქეთი ს 82.

ჸ
ჸერეთი სს 7, 85.
ჸერეთ-კაჭეთი ს 86.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს დადგენილებით



ჩედაქტორი—საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი
წევრი ნ. ბერძენიშვილი
ტექნიკური კ. კაკაბაძე



სტამბის შეჯ. № 1203, უე04876, ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 26.8.1949. ქა-
ლალდის ზომა 74×108, ანაწყობის ზომა
7×11. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6,
საალრიცხვო საგამომცემლო ფურცელი 8,
ტირაჟი 2.000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიის, გამომცემლობისა
და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს № 2 სტამბა.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Управления по делам полиграфической промышленности,
издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР,
г. Тбилиси, ул. Пуцеладзе № 5.

შენიშვნა: მარჯვენა მხარეს თითოეული ტაბულისა შეიცავს ტაოს ბაგრატიონების ნუსხას, მარცხნა მხარე კლარჯეთის ბაგრატიონების ნუსხას. რიგი საკუთარ სახელთა ცალ-ცალება აღნიშნული რომაულის ციფრებით ორთავე შტოში, როდესაც მცვლევარი უჩენებს რომელიმე ბაგრატიონს, იქვე უნდა აღნიშნოს, რომელ შტოს ეკუთვნის ის, კლარჯეთისა თუ ტაოსა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონია გევალობია სუმბატ

აშოტ I დიდი კურაპალატი (+826, 29 იანვარს; დამარხუ

კ ტ რ ა მ თ ი ს შ ტ ი

| უხუცესი ადარნასე I. § 34.

| გურგენ I, კურაპალატი (+891). § 51.

| აშოტ II, კეკელაძ (+867). § 39.

| სუმბატ I, მამფალი, არტანუჯელი ანთიპატოს-პატრიკი (+889). § 48.

| ადარნასე II (+896). § 52.

| აშოტ III, კუხი, ერის-თავთ ერისთავი (+918, უშვილოდ). § 55.

| გურგენ II, კურაპალა-ტი. § 39.

| სუმბატ II არტანუ-ჯელი, ანთიპატრიკი. § 39.

| დავით I, მამფალი (+943, 20 თებერვალს, მონაზნობაში). § 63.

| ბაგრატ I, მამფალი, არტანუჯელი (909, 20 აპრილს, აღვესების დღეს). § 53.

| დავით II, ერისთავთ ერისთავი (+908, უშვილოდ). § 54.

| გურგენ IV, დიდი, ერისთავთ ერისთავი (+941, 14 თებერ-ვალს, უძეოდ). § 62.

| სუმბატ III, ერისთავთ-ერისთავი, არტანუჯე-ლი (+988). § 73.

| ადარნასე III, კლარ-ჯი, მონაზნობაში ბა-სილი (+945). § 65.

| გურგენ III, ერისთავი (+923). § 59. დავით IV (+939, ივნისში, უძეოდ). § 61.

| ბაგრატ I, მამფალი, არტანუჯელი (922). § 57.

| ბაგრატ II, არტანუჯელი; მეულე—ბაგრატ რეგენის ასული. (+988, ორმოცი დღის შემდეგ მამის გარდაცვალებისა). § 74.

| დავით IV (+992—994). § 76.

| გურგენ V (+968). § 71.

| ბაგრატ III. § 57.

| სუმბატ IV, კლარჯი, არტანუჯელი (+1011, თმოგვის ციხეში). § 83.

| გურგენ VI, კლარჯი (+1012, თმოგვის ციხეში). § 83.

| ბაგრატ IV, კონსტანტინეპოლში წავიდა. § 84.

| დემეტრე, კონსტან-ტინეპოლში წავიდა. § 84.

ატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით

რხულია არტანუჯის ეკლესიაში) სს 27—33.

ტ ა რ ს ჟ ტ ო

შუალა, ბაგრატ I, კურაპალატი (+876). § 42.

დავით I, კურაპალატი ადარნასე I (+874). აშოტ II (+885 უძეოდ). უშვილოდ § 41. § 45.

ადარნასე II (მამას შეენაცვლა 881, ქართველთა მეფე გახდა 899; (+923). § 58.

უმრწემესი, გუარამ ვამფალი (+882, მონაზნობაში). § 44.

ნასრ, ნასრა, ნასრე (+888, უშვილოდ). აშოტ II (+869). ქალი, ცოლი აფხაზთა მეფე-უძეოდ § 40. ებისა (ჯერ ადარნასესი, შემდეგ ბაგრატ I). § 46.

დავით II, ქართველთა მეფე 923 წლითგან აშოტ IV, კურაპალატი (+954, უშვილოდ). ბაგრატ II, მაგისტროსი (+945, მარტში). § 66. სუმბატ I, კურაპალატი (954—958). § 68.

ადარნასე III, მაგისტროსი 945 წ., კურაპალატი 958 წ. დავით ფიჩისანქემნილი შეიღება მიერ (+961). § 69.

ბაგრატ III რეგენი, ჯერ ერისთავთ ერისთავი, შემდეგ, 958 წლითგან ქართველთა მეფე ბაგრატ II (+994). § 77.

აშოტ V (+954, უძეოდ). § 67.

ადარნასე IV, კურალით ფიჩისანქემნილი (+983). § 72.

ბაგრატ IV, ერისთავთ დავით III, დიდი, ერისთავთ ერისთავი, კურაპალატი 978 წლიდან (+1001, უძეოდ). §§ 69, 70.

სუმბატ II (+992, უშვილოდ). § 75.

გურგენ მეფეთა მეფე (994—1008), მაგისტროსი (1001). ცოლი—გურანდუხტ, ასული აფხაზთა მეფის გიორგი II, (+1008). §§ 78, 79, 82, 84.

ქალი, ცოლი ბაგრატ II არტანუჯელისა. § 83.

დავით IV, მცირე. § 72.

ბახრატ V ერისთავი, იგივე ბაგრატ II, აფხაზთა მეფე 978; ქართველთა კურაპალატი 1001; იგივე—ბაგრატ III საქართველოს მეფე (1008—1014), გამაერთიანებელი აფხაზ—ქართველთა სამეფოებისა. §§ 81, 85.

სუმბატ III (?). მოსაზრებით ქრონიკის ავტორი.

საქართველოს მეფე გიორგი I (1014—1027). §§ 85—95.

საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027—1072), კურაპალატი. §§ 91—101.

შემოკლებული სიტყვების ახსნა:


1. კონსტანტინე პორფიროგენტი, ბიზანტიის იმპერატორი,
ავტორი წიგნისა—„De administrando imperio“.
2. მარ. ქართ.=მატიანე ქართლისა.
3. ერისთ. ერისთავი=ერისთავთ ერისთავი.

ტარ-ქლარჯეთის ბაგრატიონია გენე:

აშოტ I დიდი, კურაპალატი (+826 (?),

კლარჯეთის ჰაო

უხუცესი, ადარნასე I; ცოლი—ბაგრატ შაჰირლი ხელმწიფის ქალი ბევრელი (მერჩული)²



პეტრელის უკალა არსებული ცნობების მიხედვით

26 (?), 29 იანვარს. დამარხულია არტანუჯის ეკლესიაში)¹

ტ ა რ ს ჭ ტ რ

ლი)²ბაგრატ I, კურაპალატი, ცოლი სომეხთა
მეფისა სუმბატ აღმსარებლის
ქალი (+876)³.უმრწემესი გუარამ მამფალი, ცოლი — დად
სომეხთა მეფის სუმბატ I დიდისა; (+882
მონაზობაში; დამარხულია ოპიზის მონას-
ტერში⁴)ქალი—ცოლი აფხაზთა მეფის
(789—816). მატ. ქართლ., გვ. 162)⁵

დიდი

389)⁶:დავით I, კურაპალატი 876 წლი-
დან; ცოლი—კლარჯელი სუმბატ
I-ს, მამფლის ცოლის ბიძაშვილი
(კონსტ). (+881)⁷.ადარნასე I, მონაზობა-
ში არსენი (აღიშის სა-
ხარება), (+874, უშვი-
ლოდ)¹⁰.აშოტ II (+885,
უშვილოდ)¹¹.ნასრ, ნასრა, ნასრე.
(+888, უშვილოდ)¹²აშოტ III (+869,
უშვილოდ).ქალი, ცოლი ჯერ აფხაზთა მეფის
ადარნასესი, შემდეგ აფხაზთა მე-
ფის ბაგრატ I (861—873)¹³.მაგის-
ტანუ-
რილს,
.ადარნასე II, კურაპალატი; ქართველთა მეფე 899 წლიდან; ბანას ეკლესიის მაშენებელი; ცოლი—დავით I, მამფ-
ლის არტანუჯელის ქალი(კონსტ); (+923)¹⁴.იი თა-
ვილის
III
.)დავით II, ქართველთა
მეფე (923—937), მა-
გისტროსი (კონსტ).
(+937, უშვილოდ).
ბაგრატ II (ერისთავ-
თა შორის), ბაგრატ I;
ქართველთა მეფე
(937 წლიდან, იშხნის
წარწერა), მაგისტროსი,
(+945, მარტში).აშოტ IV კურაპალატი,
ქართველთა ზედა მთა-
ვარი (მერჩული),
(+954)²⁹.სუმბატ I ერისთავი
951 (მერჩული); ანთიპატოს
პატრიკი (იშხნის წარწერა),
კურაპალატი 954 წლიდან;
დოლის ყანის ეკლესიის მაშე-
ნებელი; (+958)³⁰.ქალი—ცოლი აფხაზთა
მეფის კონსტანტინე III
(871—912)³¹.ქალი—ცოლი აბას სპა-
რაპეტისა, სომეხთა
მეფის აშოტ I ბაგრა-
ტუნიანის ძმისა (ყარ-
სის წარწერა)³².ადარნასე III, მაგისტროსი
945; კურაპალატი 958;
(+961, მალდატანებით ფი-
ჩოსანქმნილი შვილთა
მიერ)³³.ბაგრატ III, ერისთავთ ერი-
სთავი, ხოლო მეფეთა შორის
ბაგრატ II, რეგვენი, ქარ-
თველთა მეფე, (+994)³⁷.აშოტ V (+954,
უშვილოდ).ადარნასე IV, კურაპა-
ლატი (+983).ბაგრატ IV, ერისთავთ ერისთავი,
ოშკის ეკლესიის ერთი მაშენებე-
ლთაგანი (+966)³⁸.
დავით III, დიდი, ერისთავი,
თავი, მაგისტროსი, კურაპალატი
978 წლიდან, ტაოს მეფე, ოშკის,
ხახულის. პარხლის ეკლესიათა მა-
შენებელი და განმაახლებელი
ოთხთა ეკლესიისა. (+1001)³⁹.სუმბატ II (+992
უშვილოდ).
გურგენ, მეფეთა მეფე 994 წლი-
დან, მაგისტროსი 1001. იშხნის
პატარა ეკლესიის მაშენებელი.
ცოლი—გურგენდუსტ, აფხა-
ზთა მეფის გიორგი II ასული;
(+1008)⁴⁰.ქალი, ცოლი
ბაგრატ II არ-
ტანუჯელისა

დავით IV მცირე

ბაგრატ V ერისთავი; იგივე ბაგრატ II—აფხაზთა მეფე 978 წელს,
ქართლის კურაპალატი; 1001 წელს. იგივე ბაგრატ III ქართველთა
მეფე, 1008 წლიდან 1014 წლამდე, აფხაზთა და ქართლის სამეფო-
ების გამართიანებელი, საქართველოს პირველი მეფე (1008—1014);
ქუთაისის, ბედიისა და ნიკორწმინდის ტაძრების მაშენებელი (+1014,
7 მაისს; დამარხულია ბედიაში)⁴².სუმბატ III
მოსაზრე-
ბით ქრო-
ნიკის ვტო-
რი